

ვ ა ღ ე ბ ი

**ს ა ჯ ა რ ო
ს ა მ ა რ თ ა ლ უ ბ ი**

2019 წლის

15 დეკემბრის მდგომარეობით

მეორე გამოცემა

**შემდგენლები: ლიანა ლომიძე
სანდრო ჯორბენაძე**

ტექნიკური რედაქტორი: მარიკა მაღალაშვილი

© ლიანა ლომიძე 2019

© სანდრო ჯორბენაძე 2019

© საქართველოს უზენაესი სასამართლო 2019

საკიებელი

შემდგენლებისგან	4
შემოკლებანი	5
ა (ადგილობრივი – ახალარჩეული)	7
ბ (ბავშვობიდან – ბულატრული)	37
ბ (გადასახადის – გრძელვადიანი).....	41
დ (დაზვერვის – დღეებით).....	48
ე (ეკონომიკური – ეროვნული)	52
ვ (ვალის – ვეტერინარიის)	54
ზ (ზედაპირული – ზოგადსაგანმანათლებლო)	54
თ (თავისუფლების – თვეებით)	54
ი (იარაღთან – იუსტიციის)	57
კ (კადრების – კულტურული)	60
ლ (ლტოლვილის)	64
მ (მაგისტრატურაში – მხილებულის)	64
ნ (ნარკოტიკული – ნორმატიული).....	83
ო (ოჯახში)	85
პ (პარტია – პროცენტის)	86
რ (რაიონული)	93
ს (სააპელაციო – სტუდენტის).....	93
ტ (ტერორიზმთან – ტუბერკულოზით)	145
უ (უმალღეს – უძრავ)	149
ფ (ფასიანი – ფულადი).....	153
ქ (ქალ – ქონებრივი)	154
შ (შეზღუდული – შრომის)	154
ც (ცეცხლსასროლი – ცივი).....	157
ძ (ძალადობის – ძალოვანი)	157
წ (წარმომადგენლის – წლებით)	157
ხ (ხანგრძლივი – ხელფასის)	159
ჯ (ჯარიმის)	159
ჰ (ჰუმანიტარული).....	159

შ ე მ დ გ ე ნ ლ ე ბ ი ს ბ ა ნ

სამართლის ნაწილს, რომელიც ისეთ ურთიერთობებს აწესრიგებს, რაც წარმოიშობა სახელმწიფოს საჯარო უფლებამოსილებათა განხორციელებისას პირთა სუბორდინაციული დაქვემდებარების საფუძველზე, საჯარო სამართალი ეწოდება. საჯარო სამართალში ურთიერთობათა წარმოშობა ძირითადად დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებაზე. ამ მხრივ, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა დარგის შემთხვევაში, საჯარო სამართალში ვადების ცოდნა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

თავის მხრივ, საჯარო სამართლის ძირითადი დარგებია: სახელმწიფო, საკონსტიტუციო, ადმინისტრაციული, საგადასახადო, სისხლისა და საპროცესო სამართალი. აღნიშნულთაგან წიგნზე მუშაობა დავიწყეთ მხოლოდ ადმინისტრაციული სამართლის ვადებთან დაკავშირებით. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული სამართალი სხვა დარგებთან მჭიდროდაა დაკავშირებული, აუცილებელი გახდა სხვადასხვა კანონიდან ვადების დამატება. საბოლოოდ, შინაარსი იმდენად გაფართოვდა, რომ იგი გასცდა ადმინისტრაციული სამართლის ფარგლებს და საჯარო სამართლის ჩარჩოში აღმოჩნდა.

წინამდებარე წიგნში მოყვანილი ვადები სრულად არ მოიცავს საჯარო სამართალს, თუმცა მომავალ გამოცემებში უფრო გაფართოვდება და აუცილებლად დაემატება ვადები ქართული კანონმდებლობის სხვა ნორმებიდან.

წიგნში შესული ვადები ზოგიერთ შემთხვევაში მოიცავს ასაკს, დროს, სტაჟს და ა.შ. შემდგენლებს მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მიდგომა უფრო ამდიდრებს მის შინაარსს და საინტერესოს ხდის.

ვადების ასეთი სახით წარმოჩენა პირველი ცდა იყო ქართულ სამართალში. მკითხელის მოწონებიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ თავიდან გამოგვეცა მათ მიერ გამოთქმული რჩევებისა და საქმიანი შენიშვნების გათვალისწინებით.

მეორე გამოცემაში, გათვალისწინებულია ყველა ცვლილება, რაც პირველი გამოცემის შემდეგ იქნა მიღებული და დამატებულია ვადები რამდენიმე კანონიდან.

2019 წლის 15 დეკემბერი

შემოკლავანი

- ათკ** – საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი
- ასაგ** – საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ
- ასკ** – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
- ბააამ** – საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ
- ესფვა** – საქართველოს კანონი ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ
- ზაკ** – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
- ზგშ** – საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ
- იღშ** – საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ
- ისმხ** – საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ
- იუსშ** – საქართველოს კანონი იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ
- იხ.** – იხილეთ
- მპგშ** – საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ
- ნოაშ** – საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ
- პატ.კ.** – პატიმრობის კოდექსი
- პგშ** – საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- პოლშ** – საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ
- სასა** – საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ
- სასკ** – საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
- საუდს** – საქართველოს კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ
- სახ.პენ.** – საქართველოს კანონი სახელმწიფო პენსიის შესახებ
- სახ.საზ.** – საქართველოს კანონი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ
- სახ.საიდ.** – საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ
- სახ.ქონ.** – საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ
- სდას** – საქართველოს კანონი საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ

- სდიშკ** – საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ
- სდპ** – საზოგადოებრივი დაინტერესების პირი
- სდსს** – საქართველოს კანონი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ
- სდშ** – საქართველოს კანონი საერთაშორისო დაცვის შესახებ
- სდშაშ** – საქართველოს კანონი საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ
- სვშ** – საქართველოს კანონი სახელმწიფო ვალის შესახებ
- სკ** – საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (შესაბამისი ნორმები)
- სკსას** – საქართველოს კანონი სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ
- სოცდშ** – საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ
- სრეშ** – საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ
- სსეშ** – საქართველოს კანონი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ
- სსკ** – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (შესაბამისი ნორმები)
- სსუს** – საქართველოს კანონი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ
- სსშ** – საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ
- სშშ** – საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
- უგშ** – საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ
- ფდშ** – საქართველოს კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ (შესაბამისი ნორმები)
- ფსგერ** – საქართველოს კანონი ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ
- ქმოძა** – საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ (შესაბამისი ნორმები)
- ყუპ** – საქართველოს კანონი საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ
- შენ.** – შენიშვნა
- შმ** – საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ
- შსს** – შინაგან საქმეთა სამინისტრო

ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტის მიღების დღე – იხ. ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თარიღი.

ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთვის“ გამოსაქვეყნებლად გაგზავნის ვადა – აქტის მიღებიდან არაუგვიანეს მეორე დღე (ნოამ მუხლი 27.3).

ადგილობრივი თვითმმართველობის ჩანაცვლების ერთჯერადად ან დროებითი ღონისძიების სახით გამოყენების ვადა – არაუმეტეს ერთი წლით. ჩანაცვლების გამოყენება მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების პირველი და ბოლო 6 თვის განმავლობაში არ დაიშვება (ათკ მუხლი 136.7).

ადვოკატის მიერ, მისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების მოსამართლეთა სადისციპლონო პალატაში გასაჩივრების ვადა – 1 თვე გადაწყვეტილების გადაცემიდან (სასა მუხლი 75⁵⁴.7).

ადმინისტრაციულ დავაზე მხარისათვის მტკიცებულებათა წარსადგენად დანიშნული დამატებითი ვადა – ადგენს სასამართლო (სასკ მუხლი 19.3).

ადმინისტრაციულ დავაზე პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების შეწყვეტის (გარკვეული პირობების არსებობისას) ვადა – პროცესის ნებისმიერ სტადიაზე (სასკ მუხლი 26².2).

ადმინისტრაციულ პატიმრობასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებად მიღების ვადა – საქმის მასალების მიღებიდან 24 საათი, სააპელაციო სასამართლოს მიერ ზეპირი მოსმენის გარეშე (ასკ მუხლი 281²).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის ვადები – 15 დღე – განმხილველი უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და სხვა მასალების მიღებიდან. სხვადასხვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე კანონმდებლობით გათვალისწინებულია მათი განხილვის 1, 3 და 7-დღიანი ვადები (ასკ მუხლი 262).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად ჩატარებულ ღონისძიებათა შესახებ წინადადების შემტან ორგანოსათვის (თანამდებობის პირებისათვის) შეტყობინების ვადა – 1 თვე წინადადების მიღებიდან (ასკ მუხლი 270).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილების გამომტანი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ ამ დადგენილებაზე მასთან შეტანილი საჩივრის უფლებამოსილი ორგანოსათვის (თანამდებობის პირისათვის) გადაგზავნის ვადა – 3 დღე (ასკ მუხლი 272).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების ასლის ჩაბარების ან გაგზავნის ვადა – 3 დღე იმ პირისთვის, რომლის მიმართაც არის გამომტანილი დადგენილება. დადგენილების ასლი 3 დღის ვადაში ჩაბარდება აგრეთვე დაზარალებულს მისივე თხოვნით (ასკ მუხლი 268.2).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გამოცხადების ვადა – დაუყოვნებლივ, საქმის განხილვის დამთავრებისთანავე (ასკ მუხლი 268.1).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების ვადა – 10 დღე მხარისათვის დადგენილების ჩაბარებიდან (ასკ მუხლი 273.1).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე პირისათვის დადგენილების ჩაუბარებლობის შემთხვევაში მისთვის ჩაბარებულად ჩათვლის ვადა – მე-3 დღე საჯაროდ გავრცელებიდან (ასკ მუხლი 268.8).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე ქონებრივი ზარალის ანაზღაურების თაობაზე დადგენილების აღსრულების ვადა – 15 დღე დამრღვევისათვის დადგენილების ჩაბარებიდან ან საჩივრის და პროკურორის პროტესტის დაუკმაყოფილებლად დატოვების შესახებ შეტყობინების მიღებიდან (ასკ მუხლი 311).

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემონმების ვადა – არაუმეტეს 3 თვე (სასკ მუხლი 34.3').

ადმინისტრაციულ საქმეზე კანონის მოთხოვნებთან შეუსაბამო სასამართლო აქტის კანონთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე ახალი განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (სასკ მუხლი 12.3; სსკ მუხლი 416).

ადმინისტრაციულ საქმეზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა – 6 თვე (სასკ მუხლი 34.4).

ადმინისტრაციულ საქმეზე სასამართლო აქტის გასაჩივრების ვადა – 14 დღე; ხოლო თუ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ მხარეს არ ეცნობა გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი – ერთი წელი აქტის გამოცემიდან (სასკ მუხლი 12.2; სსკ მუხლი 369).

ადმინისტრაციულ საქმეზე სასამართლო აქტის გასაჩივრების ვადის დინების დაწყება – მას შემდეგ, რაც პროცესის მონაწილე პირს სასამართლო აქტით განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი (სასკ მუხლი 12.1).

ადმინისტრაციულ საქმეთა წარმოებისას სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის დანიშვნის ვადა – 2 კვირა სარჩელის მიღებიდან, სარჩელის დასაშვებობის საკითხის საეჭვოდ მიჩნევის შემთხვევაში (სასკ მუხლი 26².1).

ადმინისტრაციულ საქმეში მესამე პირად ჩაბმის შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება, გარდა იმ პირის მიერ, რომელიც სავალდებულო მოწვევის მესამე პირად იქნა ჩაბმული (სასკ მუხლი 16.4).

ადმინისტრაციულ საქმეში სავალდებულო მოწვევის მესამე პირის ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (სასკ მუხლი 16.2³; სსკ მუხლი 416).

ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმის ვადა – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების გამომტანამდე (ზაკ მუხლი 191).

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალდაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით სარჩელის შეტანის ვადა – 1 თვე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადანყვეტილების გაცნობიდან, ასევე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადანყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან; ნორმატიული აქტის შემთხვევაში – 3 თვე უშუალო ზიანის მიყენებიდან (სასკ მუხლი 22.3).

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე კანონსაწინააღმდეგო უარის ან გამოცემის ვადის დარღვევის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა – ადგენს სასამართლო მხარის მოთხოვნით, თუ პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი ადგება მოსარჩელის კანონიერ უფლებასა და ინტერესს (სასკ მუხლი 33.1).

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის წარდგენის ვადა – 1 თვე აქტის გამოცემაზე უარის მიღებიდან (სასკ მუხლი 23.3).

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე (სარჩელის აღძვრის შემთხვევაში) შეგებებული სარჩელის წარდგენის ვადა – არ დაიშვება (სასკ მუხლი 23.4).

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების ვადის ათვლა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისას – ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან (ზაკ მუხლი 184).

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტის ვადის ათვლა – ა) მისი ძალაში შესვლის დღიდან; ბ) მისი ბათილად ცნობის დღიდან; გ) მომავალში, კონკრეტული თარიღის მითითებით (ზაკ მუხლი 60¹).

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეცვლის ან ბათილად გამოცხადების თაობაზე ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოსათვის შეტყობინების ვადა – 5 დღე (ზაკ მუხლი 188).

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ვადის ათვლა – აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან, რაც გულისხმობს აქტის მოქმედების შეწყვეტას. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ძალადაკარგულად გამოცხადებულ აქტზე შესაძლებელია განისაზღვროს მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმება (ზაკ მუხლი 61).

ადმინისტრაციულ სახდელად ჯარიმის დადების შესახებ დადგენილების იძულებითი აღსრულების ვადა – ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის დადგენილი (ასკ მუხლები 290.1 და 290¹) ვადის გასვლის შემდეგ (ასკ მუხლი 283).

ადმინისტრაციულ სახდელდაუდებლად პირის ჩათვლის ვადა – ადმინისტრაციული სახდელის მოხდის დღიდან ერთი წლის შემდეგ, თუ ამ ხნის განმავლობაში ადმინისტრაციული სახდელდადებულს არ ჩაუდენია ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში პირი სახდელდაუდებლად ჩაითვლება, თუ იგი ჯარიმის დაკისრების დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ ჩაიდენს ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას (ასკ მუხლი 39).

ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ვადა – ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდგომ (ზაკ მუხლი 179).

ადმინისტრაციულ წარმოებაში გაშვებული ვადის აღსადგენად განცხადებით მიმართვის ვადა – არაბრალეულად – დაუძლეველი ძალის, ავადმყოფობის, ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით ან სხვა საპატიო მიზეზით გარემოებათა აღმოფხვრიდან არა უგვიანეს 15 დღე. წერილობით განცხადებას უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ადასტურებენ ვადის გაშვების საპატიო საფუძვლის არსებობას. ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ განიხილავს 5 დღის ვადაში (ზაკ მუხლი 94).

ადმინისტრაციულ წარმოებაში ვადის დინების დაწყება – მხოლოდ დაინტერესებული მხარისათვის შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის გადაცემის ან ამ ინფორმაციის ოფიციალური გამოქვეყნების დღიდან (ზაკ მუხლი 94).

ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლების მქონე სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ან საზოგადოებრივი ექსპერტისათვის განცხადების და მასზე დართული დოკუმენტების ასლის გავზავნის ვადა – განცხადების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენიდან 3 დღე. ადმინისტრაციული ორგანო ან/და საზოგადოებრივი ექსპერტი დასკვნას წარადგენს ორი კვირის ვადაში. ასეთი დასკვნის წარუდგენლობა ან უარყოფითი დასკვნის წარდგენა არ აბრკოლებს განცხადების განხილვას და მასში დასმული საკითხების გადაწყვეტას (ზაკ მუხლი 84).

ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა – ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებაამდე (ზაკ მუხლი 67).

ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ნაცვლად დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების ძალაში შესვლის ვადა – იმ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემდეგ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად (ზაკ მუხლი 68).

ადმინისტრაციული დავის სასამართლო წესით განხილვისას მხარის მიერ საპატიო მიზეზით მტკიცებულებათა უშუალოდ მიუღებლობისა და სასამართლოსთვის წარუდგენლობის შეუძლებლობის თაობაზე სასამართლოსთვის შეტყობინების ვადა – წინა სამუშაო დღე სასამართლო სხდომის დაწყებამდე (სასკ მუხლი 19.4).

ადმინისტრაციული დაკავების ვადები – არაუმეტეს 12 საათისა. პირი, რომლის დაკავების ვადა ემთხვევა არასამუშაო დროს, შეიძლება დაკავებულ იქნეს და მოთავსდეს დროებითი მოთავსების იზოლაცორში უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქმის განხილვამდე დაკავების საერთო ვადით – არაუმეტეს 48 საათისა. ადმინისტრაციული დაკავების ვადა ჩაითვლება ადმინისტრაციული პატიმრობის ვადაში (ასკ მუხლები: 247; 309).

ადმინისტრაციული დაკავებისას დაკავებულის პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანის დრო – დაუყოვნებლივ (ასკ მუხლი 245).

ადმინისტრაციული დაკავებისას დაკავებულისათვის მისი უფლე-

ბების განმარტების დრო – დაკავებისთანავე, დამკავებელი მოხელე პირის მიერ გასაგები ფორმით (ასკ მუხლი 245).

ადმინისტრაციული ორგანოების შენობათა ფასადებზე, აგრეთვე მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შორის, ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების სავალ ნაწილზე სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებურად განმეორებით შესრულებისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა – 15 დღემდე და იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა 3 წლამდე (ასკ მუხლი 150.2¹-2²).

ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირის აცილების თაობაზე განცხადების დაყენების ვადა – ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარის მიერ წერილობითი განცხადებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე (ზაკ მუხლი 93).

ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირის აცილების თაობაზე განცხადების წარდგენის ვადა – ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარის მიერ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან ან იმ მომენტიდან 2 დღის განმავლობაში, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ფაქტი ან გარემოება, რომელიც იძლევა აცილების საფუძველს (ზაკ მუხლი 93).

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე დაპირების გაცემის უფლებამოსილების ვადა – მხოლოდ დაინტერესებული მხარეების მიერ საკუთარი მოსაზრებების წარდგენისა და იმ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემდეგ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია დაპირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად (ზაკ მუხლი 9).

ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების გასაჩივრების ვადა – ერთი თვე იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ. გასაჩივრების ვადა არ შეიძლება დადგინდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დარღვევის შემთხვევაში. გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გაშვების შემთხვევაში

იგი შეიძლება აღდგეს, თუ ამ ვადის გაშვება მოხდა დაუძლეველი ძალის ან სხვა საპატიო მიზეზით (ზაკ მუხლი 180).

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ასაკი – 16 წლის მიღწევისთანავე (ასკ მუხლი 13).

ადმინისტრაციული პატიმრობის გამოანგარიშების ვადა – იხ. ადმინისტრაციული სახდელის გამოანგარიშების ვადა.

ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა იმ ჰუმანიტარული დახმარების პროდუქციის გაყიდვისათვის, რომელიც უფასოდ გასაცემად იყო განკუთვნილი – იხ. ჰუმანიტარული დახმარების პროდუქციის (უფასოდ გასაცემად განკუთვნილის) გაყიდვისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა.

ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვების, შენახვის, რეალიზაციისა და გადაზიდვისთვის – იხ. მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია და გადაზიდვისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა.

ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათვისვის, მოყვანის ან კულტივირებისათვის – 15 დღემდე (ასკ მუხლი 100²).

ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების გამოძახების ერთიან სატელეფონო ნომერზე („112“) ცრუ შეტყობინების განხორციელებისათვის – იხ. საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების გამოძახების ერთიან სატელეფონო ნომერზე („112“) გადაუდებელი დახმარების მოთხოვნის მიზნით ცრუ შეტყობინების განხორციელებისათვის (რასაც შედეგად მოჰყვა შემთხვევის ადგილზე შესაბამისი საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურის გასვლა) ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა.

ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა სავალუტო ოპერაციების ლიცენზიის გარეშე წარმოების ან მომსახურებისთვის – იხ. სავალუტო ოპერაციების ლიცენზიის გარეშე წარმოების ან მომსახურებისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა.

ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა საზოგადოებრივ ადგილებში ალკოჰოლური სასმელების სმისთვის – იხ. ალკოჰოლური სასმელების სმისთვის (ერთი წლის მანძილზე განმეორების შემთხვევაში, სტადიონზე, სკვერში, პარკში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, გარდა სავაჭრო და საზოგადოებრივი ყვების სანარმოებისა და იმ ადგილებისა, სადაც ალკოჰოლური სასმელები ჩამოსხმით იყიდება) ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა.

ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის, აღსრულების პოლიციელის ან სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან მასთან გათანამრებული პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა – იხ. სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის, აღსრულების პოლიციელის ან სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან მასთან გათანამრებული პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა.

ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა სამხედრო სარეზერვო სამსახურში გამოუცხადებლობის გამო – იხ. სამხედრო სარეზერვო სამსახურში გამოუცხადებლობის (სამხედრო სარეზერვო სამსახურისთვის თავის არიდების მიზნით) გამო კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდებლობისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა.

ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა სასამართლოს შესასვლელის ბლოკირების, შეკრების ან მანიფესტაციის მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას ან საქართველოს საერთო სასამართლოში ჩატარებისათვის – იხ. სასამართლოს შესასვლელის ბლოკირების, შეკრების ან მანიფესტაციის მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას ან საქართველოს საერთო სასამართლოში ჩატარებისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა.

ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა უნებართვო გარე ვაჭრობისათვის – იხ. უნებართვო გარე ვაჭრობისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა.

ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარებისთვის – იხ. შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარებისას კანონით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა.

ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა ცივი იარაღის ტარებისათვის – იხ. ცივი იარაღის ტარებისათვის (ქუჩაში, ეზოში, სტადიონზე, სკვერში, პარკში, საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სასამართლოში, აეროპორტში, კინოთეატრში, თეატრში, საკონცერტო დარბაზში, კაფეში, რესტორანში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ავტოსადგურში, რკინიგზის სადგურში და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა) ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა.

ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა წვრილმანი ხულიგნობისთვის – იხ. წვრილმანი ხულიგნობისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა.

ადმინისტრაციული პატიმრობის ვადები – 15 დღემდე (გამოიყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში). ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოს ორსულ ქალებს, დედებს, რომლებსაც ჰყავთ თორმეტ წლამდე ასაკის ბავშვები, თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველ პირებს, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს. ადმინისტრაციული პატიმრობის ვადაში ჩაითვლება ადმინისტრაციული დაკავების ვადაც. კონკრეტული სამართალდარღვევა ითვალისწინებს ადმინისტრაციული პატიმრობის შემდეგ ვადებს: 7 დღემდე – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153³-ე, 153⁶-ე, 175²-ე მუხლები; 10 დღე – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55-ე მუხლი; 15 დღემდე – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე, მე-100², 116-ე, 121-ე, 123-ე, 150-ე, 155²-ე 157-ე, 166-ე, 171-ე, 173-ე, 174¹-ე, 174¹⁵-ე, 175²-ე, 177¹-ე, 178-ე, 181¹-ე, 197¹-ე, 197²-ე, 197³-ე მუხლები (ასკ მუხლები: 32; 309).

ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ დადგენილების აღსრულების ვადა – დადგენილების გამოტანის შემდეგ დაუყოვნებლივ (ასკ მუხლი 308).

ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილების გასაჩივრებისას სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვის ვადა – 48 საათი საჩივრების დასაშვებად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანიდან (ასკ მუხლი 281³).

ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილების სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში ერთჯერადად გასაჩივრების ვადა – დადგენილების გამოტანიდან 48 საათი, იმ პირის, რომელსაც შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა, ან მისი ადვოკატის (კანონიერი წარმომადგენლის), აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ (ასკ მუხლი 281¹).

ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს დადგენილების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (ასკ მუხლი 281³).

ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ, სასამართლოს მიერ დაინტერესებული პირის შეტყობინების და საქმეში მესამე პირად ჩაბმის ვადა – იხ. სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ დაინტერესებული პირის შეტყობინების და საქმეში მესამე პირად ჩაბმის ვადა.

ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის მიერ დარიცხული საურავის გადახდის ვადა – 30 დღე – საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან, ან საჯარო მოხელის ჩაბარებიდან ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის გათვალისწინებული 30-დღიანი ვადის გასვლიდან (ასკ მუხლი 288⁴).

ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის მიერ იმ პოლიციელის რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას და ზედამხედველობს საგზაო მოძრაობის წესების დაცვას) მოთხოვნის შეუსრულებლობისას (რომელსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან საგზაო მოძრაობის შეფერხება), სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერებისა და და ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა – 2 წელი ან ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღემდე ვადით, აგრეთვე, იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა 3 წლამდე ვადით (ასკ მუხლი 123.4; 123.7).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ დადგენილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის ვადა – არაუგვიანეს 5 დღე, სახდელის დადების შესახებ დადგენილების (საჯარიმო ქვითრის) გასაჩივრებისათვის დადგენილი 10-დღიანი ვადის გასვლიდან (ასკ მუხლი 40).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის იარაღის (დაკავების, პირადი გასინჯვის ან ნივთების გასინჯვის დროს ჩამორთმეული ნივთები და დოკუმენტები) შენახვის ვადა – სამართალდარღვევის საქმის განხილვამდე (ასკ მუხლი 249).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გაგზავნის ვადა – დაუყოვნებლივ (ოქმის შედგენიდან), იმ ორგანოსთვის (თანამდებობის პირისთვის), რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე (ასკ მუხლი 241).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში გასაჩივრებისას ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადის დენის შეჩერების ვადა – სასამართლოს მიერ ამ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე (ასკ მუხლი 38.3).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენის და საქმის განხილველი ორგანოების მიერ საქართველოს შსს-ის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის (ერთიანი საინფორმაციო ბანკი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების შესახებ შეტყობინების ვადა – 10 დღე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენიდან ან/და დადგენილების გამოტანიდან (ასკ მუხლი 270).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილების გამოტანი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ ამ დადგენილებაზე მასთან შეტანილი საჩივრის უფლებამოსილი ორგანოსათვის (თანამდებობის პირისათვის) გადაგზავნის ვადა – 3 დღე (ასკ მუხლი 272).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე დამრღვევის მიერ ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ვადა – 15 დღე დამრღვევისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე დადგე-

ნილების ჩაბარებიდან; ამ დადგენილების გასაჩივრების ან გაპროტესტების შემთხვევაში – საჩივრის და პროკურორის პროტესტის დაუკმაყოფილებლად დატოვების შესახებ შეტყობინების მიღებიდან (ასკ მუხლი 311.3).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ დადგენილებაზე საჩივრისა და პროტესტის განხილვის ვადა – საამისოდ უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ, საჩივრისა და პროტესტის შესვლიდან 30 დღემდე. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილებაზე შეტანილი საჩივრის განხილვის ვადა (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა) არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს სააპელაციო სასამართლოში საჩივრის შესვლიდან (ასკ მუხლი 276).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების ან გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების ვადა – დადგენილ ვადაში საჩივრის ან პროკურორის პროტესტის შეტანიდან მის განხილვამდე (ასკ მუხლი 275).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გამო საჩივართან ან პროტესტთან დაკავშირებით გამოტანილი დადგენილების ასლის გაგზავნის ვადა – 7 დღემდე. ასლი ეგზავნება იმ პირს, რომლის მიმართაც იყო გამოტანილი დადგენილება, ხოლო დაზარალებულს მისივე თხოვნით. პროტესტის განხილვის შედეგი ეცნობება პროკურორსაც (ასკ მუხლი 278).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილების სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში გასაჩივრების ვადა – დადგენილების გამოტანიდან 10 დღე (გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა). საჩივარი შეიტანება იმ სასამართლოში, რომელმაც მიიღო დადგენილება (ასკ მუხლი 271).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილების აღსრულების ვადა – ამ დადგენილების გამოტანის მომენტიდან. დადგენილების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი (ასკ მუხლი 272).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებაში მო-

ნაწილე პირებისთვის (დაზარალებული, მონმე, ექსპერტი, თარჯი-მანი) თავის სამუშაო ადგილზე ხელფასის შენახვის ვადა – იმ ვა-დით, რაც მან დაჰყო ორგანოში (თანამდებობის პირთან) გამოცხადე-ბასთან დაკავშირებით, რომლის წარმოებაშიც იმყოფება ადმინისტრა-ციული სამართალდარღვევის საქმე (ასკ მუხლი 259).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად სახელმწიფო-სათვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვადა – არა უმე-ტეს 30 დღე (ასკ მუხლი 40¹).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ წარმოების ან დისციპლინური წარმოების დაწყების თაობაზე პროკურორის დად-გენილების განხილვის ვადა – მიღებიდან არა უგვიანეს 10 დღე, უფ-ლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ. განხილვის შე-დეგები პროკურორს ეცნობება დაუყოვნებლივ (პრშ მუხლი 25).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის გამას-ნორებელი სამუშაოების ვადა – იხ. გამასნორებელი სამუშაოების გამოყენების ვადა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლო-ბის დამამძიმებელ გარემოებად ჩათვლის ვადა – წლის განმავლო-ბაში ერთგვაროვანი სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა, რომ-ლის გამოც პირს უკვე დაედო ადმინისტრაციული სახდელი; სამარ-თალდარღვევის ჩადენა წინათ დანაშაულის ჩამდენი პირის მიერ (ასკ მუხლი 35).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ჯარიმის გადახ-დის ვადა – კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამარ-თალდღვევისას – დაჯარიმების შესახებ დადგენილების ასლის მისთ-ვის ჩაბარებიდან: ადგილზე დაჯარიმების შემთხვევაში – საჯარიმო ქვითრის მისთვის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, ან ფოსტით ჩაბა-რებიდან 30 დღის ვადაში, ან დაჯარიმების შესახებ დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში (ასკ მუხლი 290.1).

ადმინისტრაციული სარჩელის წარმოებაზე უარის თქმისა და სარ-ჩელის დაუშვებლად ცნობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებების გასაჩივრების ვადა – იხ. პირველი ინსტანცი-

ის სასამართლოში ადმინისტრაციული სარჩელის წარმოებაზე უარის თქმისა და სარჩელის დაუშვებლად ცნობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებების გასაჩივრების ვადა.

ადმინისტრაციული საქმეების (ალიმენტის გადახდევინებაზე, დასახიჩრებაზე ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებაზე, მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე, შრომითი და „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი“ ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნებზე) სასამართლო განხილვის ვადა – არაუგვიანეს 1 თვე სასამართლოში განცხადების განსახილველად მიღების დღიდან (ზაკ მუხლი 94; სსკ მუხლი 59).

ადმინისტრაციული საქმეების (განსაკუთრებით რთული კატეგორიის) სასამართლო განხილვის ვადა – სასამართლოში განცხადების განსახილველად მიღების დღიდან 2 თვის გასვლის შემდეგ შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 5 თვე (ზაკ მუხლი 94; სსკ მუხლი 59).

ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის და მასზე დართული დოკუმენტების ასლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის გაგზავნის ვადა – საჩივრის რეგისტრაციიდან 5 დღე (ზაკ მუხლი 195).

ადმინისტრაციული საქმის სააპელაციო წესით განხილვისას დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (სასკ მუხლი 26².5; სსკ მუხლი 416).

ადმინისტრაციული საქმის საკასაციო წესით განხილვისას დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (სასკ მუხლი 26².6).

ადმინისტრაციული საჩივრის განსახილველად კანონმდებლობით დადგენილი ვადის გაგრძელების მაქსიმალური ვადა – არაუმეტეს ერთი თვე (ზაკ მუხლი 183).

ადმინისტრაციული საჩივრის განსახილველად კანონმდებლობით დადგენილი ვადის გაგრძელების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ვადა –

ადმინისტრაციული წარმოების დანყებიდან არაუგვიანეს 7 დღე, რომლის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს (ზაკ მუხლი 183).

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა – ერთი თვე (ზაკ მუხლი 183).

ადმინისტრაციული საჩივრის მიღების თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადა – 5 დღე (ზაკ მუხლი 182).

ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის მიერ ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა – ადმინისტრაციული საჩივრის მიღების ან განხილვაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე (ზაკ მუხლი 182).

ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის ვადა – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვე (ზაკ მუხლი 180).

ადმინისტრაციული სახდელის გამოანგარიშების ვადა – ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა – დღე-ღამით; გამასწორებელი სამუშაოების – თვეებით ან დღეებით; სპეციალური უფლების შეჩერების – წლებით ან თვეებით (ასკ მუხლი 37).

ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადა – არაუგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არაუგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ დადებული ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ოთხ თვეს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში არ შეიძლება აღემატებოდეს ექვს თვეს სამართალდარღვევის გამოვლენის დღიდან. სისხლისსამართლებრივი დევნის ან გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში, როცა დამრღვევის მოქმედებაში არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნიშნები – არაუგვიანეს ერთი თვისა სისხლისსამართლებრივი დევნის ან გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან (ასკ მუხლი 38).

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღს-

რულების გადადების ვადა – 1 თვემდე, დადგენილების გამომტანი ორგანოს მიერ, კანონმდებლობით არსებული გარემოებების არსებობისას, აგრეთვე, საომარი მდგომარეობის დასრულებამდე (ასკ მუხლი 285).

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულების გადადების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების ვადა – გადადების ვადის გასვლამდე (ასკ მუხლი 287).

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულების ვადა – მისი გამოტანის მომენტიდან, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. დადგენილების გასაჩივრების ან გაპროტესტების დროს დადგენილება აღსრულება საჩივრის ან პროტესტის დაუკმაყოფილებლად დატოვების შემდეგ, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა (ასკ მუხლი 283).

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულების ხანდაზმულობის ვადა – 6 თვე დადგენილების გამომტანიდან (ასკ მუხლი 287).

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულების ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერება – საჩივრის ან პროკურორის პროტესტის განხილვამდე (ასკ მუხლი 287).

ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ დადგენილების გამომცემი პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის, ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდებისათვის შესაბამის სასამართლოში წარდგენის ვადა – დაუყოვნებლივ (ასკ მუხლი 208¹).

ადმინისტრაციული ქმედუნარიანობის ვადა – 18 წლის ასაკიდან (ზაკ მუხლი 74; სკ მუხლი 12).

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ვადა – დაინტერესებული პირის განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან და ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით დაკისრებულ სხვა შემთხვევაში (ზაკ მუხლი 76).

ადმინისტრაციული წარმოებისათვის არასახელმწიფო ენაზე წარ-

დგენილი განცხადების ან დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის წარდგენის ვადა – იხ. არასახელმწიფო ენაზე ადმინისტრაციული წარმოებისათვის წარდგენილი განცხადების ან დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის წარდგენის ვადა.

ადმინისტრაციული წესით გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების ვადის შეჩერების დაწყება – სარჩელის სასამართლოში მიღებიდან (სასკ მუხლი 29.1).

ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შესახებ მესამე პირისათვის (როდესაც მის ინტერესებს შეეხება) შეტყობინების ვადა – ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებაამდე (ზაკ მუხლი 67).

ადმინისტრაციული ხელშეკრულების მოქმედების ვადა – იხ. საჯარო სამსახურში პირის მიღების მიზნით დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების (როდესაც ზღუდავს მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას) ძალაში შესვლის ვადა – მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ (ზაკ მუხლი 67).

ადრე არსებული საჯარო ინფორმაციის ღიაობის პერიოდი – საჯარო ინფორმაცია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა ღიაა, თუ იგი შექმნილი, გაგზავნილი ან მიღებულია 1990 წლის 28 ოქტომბრამდე, ამ ინფორმაციაში მოხსენიებული პირების იდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით მათი სიცოცხლის განმავლობაში (ზაკ მუხლი 50).

ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების დაწესებულების ავტორიზაციის ვადა – 4 წელი (ასაგ მუხლი 16).

ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების საჯარო დაწესებულების მიერ დამფუძნებლისათვის წლიური და ფინანსური ანგარიშების წარდგენის პერიოდულობა – ყოველწლიურად (ასაგ მუხლი 25.2).

ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების საჯარო დაწესებულების საკონსულტაციო საბჭოს არჩევის ვადა – 1 წელი. ეს ვადა შეიძლება განახლდეს ერთხელ (ასაგ მუხლი 18.5).

ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების საჯარო დაწესებულების საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევის ვადა – 2 წელი (ასაგ მუხლი 18.7).

ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისთვის, რომელსაც არ გაუვლია პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება, ან ასეთი ავტოსატრანსპორტო საშუალების სხვა პირისათვის სამართავად/საექსპლუატაციოდ გადაცემისთვის მართვის უფლების შეჩერების ვადა – 6 თვე, ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობიდან (ასკ მუხლი 118.შენიშვნა 1).

ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის (მძღოლის) უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებით საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის გარეშე გადაადგილების გამო ამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელი ვადა – 2 დღე. ამ ვადაში სატრანსპორტო საშუალების დაძღვევა არ ათავისუფლებს მფლობელს (მძღოლს) ჯარიმის გადახდისაგან (ასკ მუხლი 191¹).

აკადემიური უმაღლესი განათლებისა და მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი განათლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა – არანაკლებ 3 წელი (უგმ მუხლი 46.2).

ალკოჰოლური სასმელების სმისთვის (ერთი წლის მანძილზე განმეორების შემთხვევაში, სტადიონზე, სკვერში, პარკში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, გარდა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და იმ ადგილებისა, სადაც ალკოჰოლური სასმელები ჩამოსხმით იყიდება) ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა – 15 დღემდე და იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა 3 წლამდე (ასკ მუხლი 171).

ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვის ან სიმთვრალის დასადენად შემონმებისგან თავის არიდების გამო სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლე-

ბის შეჩერების ვადა – 6 თვე. 18 ნელს მიუღწეველი პირისთვის – 1 ნელი (ასკ მუხლი 116.1).

ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვის ან სიმთვრალის დასადენად შემონმებისგან თავის არიდების გამო სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების ვადამდე აღდგენის მიზნით საქმის განმხილველი ორგანოსათვის მიმართვის ვადა – 3 თვე ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან (ასკ მუხლი 116. შენიშვნა 4¹).

არაიდენტიფიცირებული პირის დადგენისას (ნებისმიერ ეტაპზე) საქმის მწარმოებელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქმეზე არსებული შემაჯამებელი გადაწყვეტილებების შესაბამისობაში მოყვანისა და გადასინჯვის ვადა – 72 საათი არაიდენტიფიცირებული პირის ვინაობის დადგენიდან (ასკ მუხლი 312¹).

არაიდენტიფიცირებული პირის დროებით ჩამორთმეული და შენახული საქონლის კონფისკაციის ან რეალიზაციის ვადა – ადმინისტრაციული სახდელით დაკისრებული ჯარიმის 3 თვეში გადაუხდელობის შემდგომ (ასკ მუხლი 312¹.6).

არაიდენტიფიცირებული პირის ვინაობის დადგენისას საქმის მწარმოებელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქმეზე არსებულ გარემოებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შემაჯამებელი გადაწყვეტილებების გადასინჯვის ვადა – 72 საათი არაიდენტიფიცირებული პირის ვინაობის დადგენის მომენტიდან (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე) (ასკ მუხლი 312¹.7).

არაიდენტიფიცირებული პირის მიერ ადმინისტრაციული სახდელის სახით დაკისრებული ჯარიმის გადახდის ვადა – 3 თვე (ასკ მუხლი 312¹.6).

არაიდენტიფიცირებული პირის მიერ ვაჭრობის წესების დარღვევის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ადმინისტრაციული სახდელის სახით დაკისრებული ჯარიმის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის, უშუალო ობიექტის, საგნის, საქონლის, ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალების დროებითი ჩამორთმევისა და შენახვის ვადა – არა უმეტეს 3 თვემდე (ასკ მუხლი 312¹.5).

არანებაყოფლობითი იზოლაციის შეწყვეტის თაობაზე ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის შუამდგომლობის სასამართლოს მიერ განხილვის ვადა – 72 საათი შუამდგომლობის მიღებიდან (სასკ მუხლი 21⁵⁵.2).

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების განწვევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებაზე სასამართლოს მიერ უარის თქმის შემთხვევაში პირის სტაციონარიდან განწვევის ვადა – დაუყოვნებლივ (სასკ მუხლი 21¹⁸.6).

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების განწვევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანებაზე სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვის ვადა – 1 კვირა საჩივრის შეტანიდან (სასკ მუხლი 21²⁰.4).

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების განწვევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (სასკ მუხლი 21²⁰.6).

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების განწვევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების გაგრძელებული ვადის ამონურვისას (თუ არ არის ამონურული პაციენტის არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმები) განმეურებითი გაგრძელების შესახებ ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართვის განხილვის ვადა – 72 საათი ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის შესაბამისი მიმართვის წარდგენიდან (სასკ მუხლი 21¹⁹.2).

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების განწვევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების ვადის ათვლა – პირის სტაციონარში მოთავსებიდან (სასკ მუხლი 21¹⁹.1).

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების განწვევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების ვადის გაგრძელება (ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე და პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე) – არაუმეტეს 6 თვე, მკურნალობის კრიტერიუმების ამონურვამდე (სასკ მუხლი 21¹⁹.2).

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების განწევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების თაობაზე მოსამართლის ბრძანების მოქმედების შეჩერების ვადა – არ ჩერდება ბრძანების გასაჩივრების შემთხვევაში (სასკ მუხლი 21²⁰.2).

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების განწევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების თაობაზე მოსამართლის დასაბუთებულ ბრძანებაზე (დადგენილებაზე) სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა – 48 საათი მხარისთვის ბრძანების (დადგენილების) ასლის გადაცემიდან (სასკ მუხლი 21²⁰.2).

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების განწევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების თაობაზე მოსამართლის დასაბუთებული ბრძანების (დადგენილების) გაუქმების შესახებ საჩივრის (საქმის მასალებთან ერთად) სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნის ვადა – დაუყოვნებლივ (სასკ მუხლი 21²⁰.2).

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების განწევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების სასამართლო საქმეზე ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართვის გამოთხოვის ვადა – მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე (სასკ მუხლი 21¹⁸.10).

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების განწევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმეზე მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) ძალაში შესვლის ვადა – მხარეებისათვის ბრძანების (დადგენილების) გამოცხადებისთანავე (სასკ მუხლი 21¹⁸.11).

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების განწევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ მოსამართლის ბრძანების მოქმედების ვადა – არაუმეტეს 6 თვე, პაციენტის არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმების ამონურვამდე (გარდა იმ პაციენტისა, რომელიც სასჯელს იხდის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში) (სასკ მუხლი 21¹⁹.1; ფდმ მუხლი 18.9).

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების განწევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ სასამართლოში საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა – 24 საათი სასამართლოსადმი შესაბამისი მიმართვის წარდგენიდან (სასკ მუხლი 21¹⁸.1; ფდმ მუხლი 18.8).

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების განწევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ ფსიქიატრიული ან პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მაგისტრაცი მოსამართლის ან რაიონული(საქალაქო) სასამართლოსათვის ბრძანების გამოსაცემად თხოვნით მიმართვის ვადა – 48 საათი პაციენტის (მსჯავრდებულის) სტაციონარში მოთავსებიდან ან უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულების დადებითი დასკვნის მიღებიდან (სასკ მუხლი 21^{17.2}; ფდმ მუხლი 18.7).

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების განწევის მიზნით სტაციონარში მოთავსებული პაციენტის (ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის გადაწყვეტილების საფუძველზე) სტაციონარიდან გამონერის ვადა – დაუყოვნებლივ, არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმების ამონურვისას და პირის სტაციონარში მოთავსების გაგრძელებული ნ-თვიანი ვადის გასვლამდე (სასკ მუხლი 21^{19.3}).

არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადები – არარა აქტების მიმართ არ ვრცელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრებისათვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადები (ზაკ მუხლი 60).

არასახელმწიფო ენაზე ადმინისტრაციული წარმოებისათვის წარდგენილი განცხადების ან დოკუმენტის სანოტარო წესით დამონებული თარგმანის წარდგენის ვადა – დგინდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გარკვეული მოქმედების შესრულება დაიწყება მხოლოდ თარგმანის წარდგენის შემდეგ. ადმინისტრაციული ორგანო ადგენს იმ ვადასაც, რაც საჭიროა წარდგენილი დოკუმენტის თარგმანისთვის, რომელიც არ შეიძლება იყოს სამ დღეზე ნაკლები. თუ კანონმდებლობით განსაზღვრულია ვადა, რომლის განმავლობაში დაინტერესებული მხარე ვალდებულია წარადგინოს რაიმე განცხადება ან დოკუმენტი, ეს ვადა დაცულად ჩაითვლება დოკუმენტის არასახელმწიფო ენაზე წარდგენის დროსაც (ზაკ მუხლი 73).

არასრულწლოვანზე მოძალადე პირისგან განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილების პირველი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა – ნებისმიერ დროს კანონმდებლობით დადგენილი წესით. არასრულწლოვნის მშობლის ან სხვა

კანონიერი წარმომადგენლის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრებით არ ჩერდება განცალკევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოქმედება (სასკ მუხლი 21¹².8).

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ ადვოკატთა მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ არასრულწლოვნის იურიდიული დახმარებით (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში) უზრუნველყოფის ვადა – არასრულწლოვნის პირველი მოთხოვნისთანავე, უმოკლესი დრო (იღმ მუხლი 4²).

არასრულწლოვანი პირის ადმინისტრაციული ქმედუნარიანობის ვადის ათვლა – 18 წლის ასაკამდე დაქორწინებიდან (ზაკ მუხლი 74; სკ მუხლი 12).

არასრულწლოვნის ადმინისტრაციული დაკავების შესახებ მშობლისათვის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლისათვის აუცილებელი შეტყობინების დრო – პირველი შესაძლებლობისთანავე (ასკ მუხლი 245).

არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილების დაუმორჩილებლობისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის დაგამასწორებელი სამუშაოების ვადა – ადმინისტრაციული პატიმრობა – 7 დღემდე ან გამასწორებელი სამუშაოები – 1 თვემდე (ასკ მუხლი 175²).

არასრულწლოვნის მიერ სასამართლოსადმი მიმართვის ვადა – 14 წლის ასაკიდან (სსკ მუხლი 81¹; ქმოძა მუხლი 14.5).

არასრულწლოვნის მოძალადე მშობლ(ებ)ისაგან განცალკევების თაობაზე სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დროებითი ღონისძიების სახით განკარგულების მიღების ვადა – 24 საათი შესაბამისი მიმართვის წარდგენიდან (სასკ მუხლი 21¹³.5²).

არასრულწლოვნის მოძალადე პირისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების ან მის გაუქმებაზე უარის თქმის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების ვადა – 3 დღე დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან (სასკ მუხლი 21¹².14).

არასრულწლოვნის მოძალადე პირისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების ან მის გაუქმებაზე უარის თქმის თაობაზე სასამართლოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემის ვადა – 24 საათი გადაწყვეტილების მიღებიდან (სასკ მუხლი 21¹².13).

არასრულწლოვნის მოძალადე პირისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოსათვის სარჩელისა და თანდართული მასალების გაგზავნის ვადა – 24 საათი სარჩელის დადგენილი წესით წარმოებაში მიღებიდან. ეს ორგანო წერილობით გასცემს სარჩელში მითითებულ საკითხზე პასუხს და მტკიცებულებებს წარადგენს 2 დღის ვადაში (სასკ მუხლი 21¹².9).

არასრულწლოვნის მოძალადე პირისგან განცალკევების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეტანილი სააპელაციო საჩივრის განხილვის ვადა – 3 დღე (სასკ მუხლი 21¹².15).

არასრულწლოვნის მოძალადე პირისგან განცალკევების შესახებ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (სასკ მუხლი 21¹².16).

არასრულწლოვნის მოძალადე პირისგან განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებაზე შეტანილი სარჩელის სასამართლოს მიერ განხილვისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ვადა – 5 დღე სარჩელის დადგენილი წესით წარმოებაში მიღებიდან (სასკ მუხლი 21¹².12).

არასრულწლოვნის მშობლისგან, სხვა კანონიერი წარმომადგენლისგან ან არასრულწლოვანზე მოძალადე სხვა პირისგან განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის ვადა – დაუყოვნებლივ და 24 საათის განმავლობაში ეგზავნება არასრულწლოვნის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენელს (წარმომადგენლებს) მისი (მათი) იდენტიფიკაციის შემთხვევაში (სასკ მუხლი 21¹².7).

არასრულწლოვნის რეფერირების დანესებულებაში გაგზავნის ასაკი და ვადა – 10 წლიდან 18 წლის შესრულებამდე, არაუმეტეს ერთი სასწავლო სემესტრის ხანგრძლივობით (ზგშ მუხლი 48⁷.3).

არასრულწლოვნის რეფერირების დაწესებულებაში გაგზავნის მიზანშეწონილობის საკითხის სპეციალისტთა ჯგუფის მიერ განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა – 15 დღე შესაბამისი მიმართვიდან. გადაწყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღეში სპეციალისტთა ჯგუფი სასამართლოს წარუდგენს შუამდგომლობას. სპეციალისტთა ჯგუფის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება (ზგშ მუხლი 48^{7.6}, 11-12).

არასრულწლოვნის რეფერირების დაწესებულებაში გაგზავნის შესახებ გადაწყვეტილების გადასინჯვის ვადა – 15 დღე სპეციალისტთა ჯგუფისადმი მიმართვიდან, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას გამოყენებული ღონისძიების შეწყვეტის, შეცვლის ან ვადის გაგრძელების შესახებ (ზგშ მუხლი 48⁹.1).

არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის შუამდგომლობის სასამართლოსათვის წარდგენის ვადა – 10 დღე, შუამდგომლობის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან (სასკ მუხლი 21^{35.2}).

არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნასთან დაკავშირებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (სასკ მუხლი 21^{37.8}).

არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნასთან დაკავშირებით სააპელაციო საჩივრის განხილვის ვადა – 10 დღე მისი წარმოებაში მიღებიდან (სასკ მუხლი 21^{37.7}).

არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნასთან დაკავშირებულ საქმეებზე თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილი სააპელაციო საჩივრის თბილისის სააპელაციო სასამართლოსათვის გადაგზავნის ვადა – დაუყოვნებლივ (სასკ მუხლი 21^{37.6}).

არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნის თაობაზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული საქმის სასამართლო წესით განხილვის და გადაწყვეტილების მიღების ვადა – 15 კალენდარული დღე შუამდგომლობის წარდგენიდან (სასკ, მუხლი 21^{37.1}).

არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნის საკითხთან და-

კავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა – 10 დღე გადაწყვეტილების ჩაბარებიდან (სასკ მუხლი 21³⁷.5).

არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნის საკითხთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შეჩერების ვადა – არ ჩერდება, სააპელაციო წესით გასაჩივრების გამო (სასკ მუხლი 21³⁷.6).

ასაკი, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის პასუხისმგებლობისთვის – სამართალდარღვევის ჩადენის დროისთვის: არასრულწლოვანობა; ორსულად ყოფნა იმ ქალის მიერ, რომელსაც ერთ წლადე ასაკის ბავშვი ჰყავს (ასკ მუხლი 34).

აუდიტის ობიექტების (ადმინისტრაციული ორგანოების) მიერ სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების ვადა – 20 დღე ანგარიშის ჩაბარებიდან – მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში (საუდს მუხლი 27.1).

აუდიტის ობიექტების (გარდა ადმინისტრაციული ორგანოებისა) მიერ სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების ვადა – 20 დღე ანგარიშის ჩაბარებიდან – უშუალოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, ასევე სასამართლოში (საუდს მუხლი 27.2).

აუდიტის ჩატარების უფლებამოსილების მისანიჭებლად სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ) პერიოდში ხარვეზის საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენის შემდგომ განახლებული სარეგისტრაციო წარმოების ვადა – იწყება ხელახლა (ბაააშ მუხლი 13.12).

აუდიტის ჩატარების უფლებამოსილების წარმოშობის ვადა – აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ (ბაააშ მუხლი 16.12).

აუდიტორის (აუდიტორული ფირმის), აგრეთვე ფიზიკური პირის, რომელმაც შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა მო-

ახდინოს აუდიტორული მომსახურების შედეგებზე, აუდიტორული მომსახურების მიმღები სუბიექტისაგან დამოუკიდებლობისა და ამ სუბიექტის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შეზღუდვის ხანგრძლივობა – ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო და აუდიტორული მომსახურების განხორციელების პერიოდი (ბაააშ მუხლი 16.3).

აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) დასაქმებულის, პარტნიორის (აქციონერის) და აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) მართვას (კონტროლს) დაქვემდებარებული ფიზიკური პირის მიერ მომსახურების მიმღები სუბიექტის მმართველობითი ორგანოს მნიშვნელოვან წევრად, აუდიტის კომიტეტის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ყოფნის აკრძალვის ვადა – 1 წელი აუდიტორის ფუნქციების განხორციელების დამთავრებიდან (ბაააშ მუხლი 16.12).

აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) მიერ აუდიტის პროცესში შედგენილი და გამოყენებული, ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტების შენახვის ვადა – 6 წელი შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან (ბაააშ მუხლი 15.4).

აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) მიერ აუდიტის ჩატარებისას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო განმეორებითი აუდიტის ჩატარების ვადა – განსაზღვრავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (ბაააშ მუხლი 16.16).

აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნების შესრულების, მისი დამოუკიდებლობისთვის საფრთხის შექმნის რისკებისა და მათი შემცირებისათვის მიღებული ზომების, სათანადო ხარისხის აუდიტორული მომსახურების განსახორციელებლად საჭირო კვალიფიციური დასაქმებულების, დროისა და რესურსების არსებობის, აუდიტორული ფირმის შემთხვევაში – გარიგების პარტნიორის რეესტრში რეგისტრაციის შესახებ შემონმების და წერილობით ან ელექტრონულად ინფორმაციის ასახვისა და დადასტურების ვადა – აუდიტორული მომსახურების განხორციელების დაწყებამდე ან გაგრძელებამდე (ბაააშ მუხლი 16.14).

აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) მიერ ინტერესთა შეუთავსებ-

ლობის აღმოფხვრისათვის ან იმ ურთიერთობების შეწყვეტისათვის, რომლებიც საფრთხეს უქმნის მის დამოუკიდებლობას ყველა საჭირო ზომის მიღების ვადა – დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 თვე აღნიშნული შედეგის დადგომიდან (ბააამ მუხლი 16.13).

აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) მიერ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვადა – პროფესიული მომსახურების განხორციელების პროცესში, აგრეთვე მის შემდეგ, დროის გასვლისა და საქმიანობის შეცვლის მიუხედავად (ბააამ მუხლი 18.2).

აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) მიერ რეესტრში ასახული ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისა და ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციისთვის შეტყობინების ვადა – არაუგვიანეს 5 სამუშაო დღე ცვლილების შეტანიდან (ბააამ მუხლი 13.6).

აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) პარტნიორის (აქციონერის), გარიგების პარტნიორის, დასაქმებულის ან მასთან სხვაგვარად დაკავშირებული პირის მიერ ამ აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების შეზღუდვის ვადა – 3 წელი მასთან ურთიერთობის დასრულებიდან (ბააამ მუხლი 19.12).

აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) რეესტრში დარეგისტრირებისას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ შესაბამისი პირის განცხადების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების ვადა – 10 სამუშაო დღე (ბააამ მუხლი 13.1).

აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) სარეგისტრაციოდ განმცხადებლის მიერ კანონით ან ნორმატიული აქტით გათვალისწინებული აუცილებელი დოკუმენტების ან ინფორმაციის კანონით განსაზღვრულ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში მათ წარსადგენად ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადა – არაუმეტეს 30 დღე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ერთხელ, არაუმეტეს 15 დღით (ბააამ მუხლი 13.11).

აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) სარეგისტრაციოდ განმცხა-

დებლის მიერ კანონით ან ნორმატიული აქტით გათვალისწინებული აუცილებელი დოკუმენტების ან ინფორმაციის წარდგენის ვადა – 10 სამუშაო დღე სარეგისტრაციო განაცხადის მიღებიდან (ბააამ მუხლი 13.11).

აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განმახორციელებელი პირისგან მოთხოვნილი აუდიტორულ საქმიანობასთან და აუდიტორულ ფირმასთან დაკავშირებული გარკვეული უფლებებით სარგებლობის შეზღუდვის ვადა – არანაკლებ 1 წელი ამ საქმიანობის დაწყებამდე (ბააამ მუხლი 19.11).

აუდიტორის (გარიგების პარტნიორის) მიერ მომსახურების მიმღები სუბიექტის მმართველობითი ორგანოს მნიშვნელოვან წევრად, აუდიტის კომიტეტის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ყოფნის აკრძალვის ვადა – 1 წელი აუდიტორული მომსახურების განხორციელების დამთავრებიდან, საზოგადოებრივი დაინტერესებული პირის სდპ-ის შემთხვევაში – 2 წელი (ბააამ მუხლი 16.11).

აუდიტორის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის სრული მოცულობით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურების მოთხოვნის ვადა – 1 წელი ზიანის მიყენებიდან (საუდს მუხლი 33.2).

აუდიტორული ფირმის მიერ თითოეული სდპ-ის მიმართ გარიგების პარტნიორისა და სხვა საკვანძო პერსონალის შიდა როტაციის უზრუნველყოფის პერიოდულობა – არანაკლებ 7 წელინადმი ერთხელ (ბააამ მუხლი 16.15).

აუქციონის ფორმით პრივატიზებისას პრივატიზების განმახორციელებელ ორგანოსა და ქონების შემძენს შორის შესაბამისი ხელშეკრულების დადების ვადა – აუქციონის ჩატარებიდან 45 კალენდარული დღე. საქართველოს მთავრობის მიერ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას – შესაბამისი აქტის მიღებიდან 3 თვე (სახ.ქონ. მუხლი 5).

აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაციის ოფიციალურ გამოქვეყნებად ჩათვლის ვადა – აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ინ-

ფორმაციის ვებგვერდზე www.eauction.ge ან/და www.nasp.gov.ge განთავსებიდან. პრივატიზების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება აგრეთვე ისეთ პერიოდულ გამოცემაში, რომელიც გამოიცემა არანაკლებ კვირაში ხუთჯერ და ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (სახ.ქონ. მუხლი 5.1).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ 10-დღიან ვადაში კანონის ხელმოწერის და გამოქვეყნების ან კანონპროექტის უმაღლესი საბჭოსათვის დაუბრუნების შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ კანონის ხელმოწერის და გამოქვეყნების ვადა – 10-დღიანი ვადის გასვლიდან მომდევნო 5 დღე (ნოაშ მუხლი 20¹.2).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ კანონპროექტის ხელმოწერის და გამოქვეყნების ან კანონპროექტის მოტივირებული შენიშვნებით უმაღლესი საბჭოსათვის დაბრუნების ვადა – 10 დღე. თუ ამ ვადაში მთავრობის თავმჯდომარის მიერ ხელი არ მოეწერა და არ გამოქვეყნდა და არც უმაღლეს საბჭოს დაუბრუნდა, მაშინ კანონპროექტს 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე (ნოაშ მუხლი 20¹.2).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ მიღებული კანონპროექტის ხელმოწერისა და გამოქვეყნების ან კანონპროექტის მოტივირებული შენიშვნებით უმაღლესი საბჭოსათვის დაბრუნების ვადა – 10 დღე (ნოაშ მუხლი 20¹.2).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის შენიშვნების მიღების შემთხვევაში კანონპროექტის საბოლოო რედაქციის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისათვის გადაცემის და მის მიერ ხელის მოწერის და გამოქვეყნების ვადა – 5 დღე კანონპროექტის მიღებიდან (ნოაშ მუხლი 20¹.3).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონპროექტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისათვის გადაცემის ვადა – მიღებიდან 7 დღე (ნოაშ მუხლი 20¹.2).

აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობე-

ბისათვის საქართველოს მთავრობის მიერ ერთგვაროვანი ობიექტების გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით შესყიდვის განხორციელების უფლებამოსილების დელეგირების ვადა – არაუმეტეს 1 წელი (სშმ მუხლი 10¹.3²).

აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების მიერ პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ვადა – 1 წელი თანამდებობაზე დანიშნვიდან (პრმ მუხლი 31.2).

აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიის ნორმატიული აქტის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთვის“ გადაცემისა და გამოქვეყნების ვადა – აქტის მიღებიდან არა უგვიანეს მე-2 დღე (ნოაშ მუხლი 27.5¹).

აქტის აღსასრულებლად უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების დაწყების ვადა – იხ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსასრულებლად უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების დაწყების ვადა.

აქტის ნებაყოფლობით შესრულების ვადა – იხ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულების ვადა.

აღსრულების უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების შეწყვეტის ვადა – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებისთანავე (ზაკ მუხლი 169).

აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების (წერილობითი ფორმით) გამოცემის ვადა – აღსრულების უზრუნველყოფის ზომის განხორციელებიდან 3 დღე (ზაკ მუხლი 166).

ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის მოწვევის ვადა – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 30 დღის განმავლობაში, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ (ათკ მუხლი 25.1).

ბ

ბავშვობიდან შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დასადგენად განსაზღვრული ასაკი – 18 წლამდე, თუ შესაძლებლობის შეზღუდვა ამ ასაკამდე მოხდა (სსემ მუხლი 16.5).

ბაკალავრიატში უმაღლესი განათლების სახელმწიფოს მიერ დაფინანსების ვადა – კანონმდებლობით დადგენილი პირობების არსებობისას – 3, 4, 5, 6 ან 7 წელი (უგმ მუხლი 81.2).

ბრალდებულთა (მსჯავრდებულთა) კონფიდენციალური საჩივრის დაბრუნებისა და შენახვის ვადა – დაბრუნება – ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მიერ 2 კვირის, ხოლო შენახვა – პენიტენციური დაწესებულების მიერ არაუმეტეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში. ამ ვადის ამონურვისთანავე საჩივარი ნადგურდება (პატ.კ. მუხლი 104.3).

ბრალდებულთა (მსჯავრდებულთა) საჩივრების ადრესატისთვის გადაგზავნის ვადა – პენიტენციური დაწესებულების მიერ საჩივრის მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის მანძილზე (პატ.კ. მუხლი 102.1).

ბრალდებულთა (მსჯავრდებულთა) საჩივრების ყუთის გახსნის, დაკეტვის და დალუქვის დრო – ყოველი სამუშაო დღის ბოლოს (პატ.კ. მუხლი 100.4).

ბრალდებულის დაქტილოსკოპიური ბარათის პენიტენციური დაწესებულების მიერ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ცენტრალური ან შესაბამისი ტერიტორიული სამსახურის ან განყოფილებისთვის გაგზავნის ვადა – 7 დღე დაქტილოსკოპირების ჩატარებიდან (პატ.კ. მუხლი 75).

ბრალდებულის (მსჯავრდებულის) დისციპლინური სახდელების ხანგრძლივობა – 14 დღემდე ვადით – სამარტოო საკანში მოთავსება; არაუმეტეს 3 თვის ვადით – ინდივიდუალური საქმიანობის შედეგად დამზადებული ნივთის (ნაკეთობის) რეალიზაციის უფლების შეზღუდვა, სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა, პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა, პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მალაზიით სარგებ-

ლობის უფლების შეზღუდვა, ფულადი გზავნილის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა; არა უმეტეს 6 თვის (თვემდე) ვადით – მუშაობის უფლების შეზღუდვა, ნებადართული ნივთებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა, ამანათისა და გზავნილის მიღების შეზღუდვა, საკნის ტიპის საცხოვრებელში გადაყვანა, პირადი ტელევიზორით ან რადიომიმღებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა; არა უმეტეს წელიწადში 6-ჯერ – კუთვნილი ხანმოკლე პაემნის აკრძალვა (პატ.კ. მუხლი 82.1).

ბრალდებულის (მსჯავრდებულის) კვებით უზრუნველყოფის პერიოდულობა – ყოველდღიურად სამჯერადად (პატ.კ. მუხლი 23.3).

ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მიერ მის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების გასაჩივრების ვადა – 10 დღე (პატ.კ. მუხლი 86.1).

ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მიერ საჩივარის შეტანის ვადა – 1 თვე შესაბამისი საფუძვლის გამოვლენიდან (პატ.კ. მუხლი 96.3).

ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მომსახურების უზრუნველყოფის პერიოდულობა – შხაპის მიღება კვირაში ორჯერ, პარიკმახერი – თვეში ერთხელ (პატ.კ. მუხლი 21.2).

ბრალდებულის (მსჯავრდებულის) პირადი საქმის შედგენისა და შენახვის ვადა – დგება მისი პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებიდან მის გათავისუფლებამდე. გათავისუფლების შემდეგ პირადი საქმე ინახება პენიტენციური სამსახურის არქივში (პატ.კ. მუხლი 36).

ბრალდებულის (მსჯავრდებულის) საჩივრის პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ან (უფლებამოსილი პირის) მიერ განხილვის ვადა – მიღებიდან 5 სამუშაო დღე. განსაკუთრებულ შემთხვევაში საჩივრის განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით. სამსახურის გენერალური დირექტორი საჩივარს განიხილავს მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. სამსახურის გენერალური დირექტორი უფლებამოსილია გააგრძელოს საჩივრის განხილვის ვადა არაუმეტეს 10 სამუშაო დღით (პატ.კ. მუხლი 103.1-2).

ბრალდებულის საპატიმრო დაწესებულებაში სამედიცინო შემოწმების გავლისა და სხეულის დაზიანების დაფიქსირების შემთხვევაში დაწესებულების ექიმის მიერ სამინისტროს გენერალურ

ინსპექციაში შეტყობინების ვადა – დაუყოვნებლივ 9პატ.კ. მუხლი 75.5).

ბრალდებულის სატელეფონო საუბრის ხანგრძლივობა პატიმრობის დაწესებულებაში ყოფნისას – 1 თვის განმავლობაში სამჯერ, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთი (პატ.კ. მუხლი 79.1).

ბრალდებულისთვის (მსჯავრდებულისთვის) ჩამორთმეული ფულის ან სხვა ფასეულობის პენიტენციურ დაწესებულებაში შენახვის ვადა – ბრალდებულის (მსჯავრდებულის) გათავისუფლებამდე (პატ.კ. მუხლი 52.4).

ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი და გადაწყვეტილების მიმღები საბჭოს მიერ კანონით განსაზღვრული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების განხილვის, დარგობრივ-პროფესიული შეფასების და შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენის ვადა – 10 სამუშაო დღე (ბაააშ მუხლი 21.2).

ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი და გადაწყვეტილების მიმღები საბჭოს წევრად წარდგენილი კანდიდატურების დამტკიცების (საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ) ვადა – 2 კვირა ფინანსთა მინისტრის მიერ მათი წარდგენიდან (ბაააშ მუხლი 21.7).

ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი და გადაწყვეტილების მიმღები საბჭოს წევრთა რაოდენების 4-ზე ნაკლებ შემთხვევაში საბჭოს შემადგენლობის შევსების ვადა – არაუგვიანეს 2 თვე ამ ფაქტის დადგომიდან (ბაააშ მუხლი 21.10).

ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი და გადაწყვეტილების მიმღები საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა – 5 წელი (ბაააშ მუხლი 21.13).

ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი და გადაწყვეტილების მიმღები საბჭოს წევრობის კანდიდატისთვის მოთხოვნილი კომპეტენ-

ტური ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, აუდიტის, ეკონომიკის, ფინანსების, ბიზნესის მართვის ან სამართლის სფეროში მუშაობის სტაჟი – არანაკლებ 7 წელი (ბააშ მუხლი 21.3).

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის გადაწყვეტილების გასაჩივრებისას ამ გადაწყვეტილების შეჩერების ვადა – არ ჩერდება (ბააშ მუხლი 27.5).

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) ინიციატივით ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნის შესახებ განცხადების განხილვის ვადა – 10 სამუშაო დღე განცხადების წარმოდგენიდან (ბააშ მუხლი 19.8).

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ერთი დოკუმენტის რამდენჯერმე ან სხვადასხვა ფორმით სუბიექტისთვის (აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის) წარდგენის შემთხვევაში წარდგენის თარიღად მიჩნევის ვადა – შესაბამისი სუბიექტისთვის პირველად ჩაბარების თარიღი. ელექტრონული ფორმით გაგზავნილი დოკუმენტი (ინფორმაცია) ჩაბარებულად ჩაითვლება ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე (ბააშ მუხლი 22¹.3,5).

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ იმ აუდიტორებისათვის (აუდიტორული ფირმებისათვის) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობა – არაუმეტეს 6 წელიწადში ერთხელ, ხოლო იმ აუდიტორებისათვის (აუდიტორული ფირმებისათვის), რომლებიც სდკ-ების და პირველი კატეგორიის საწარმოების აუდიტს ატარებენ – არაუმეტეს 3 წელიწადში ერთხელ (ბააშ მუხლი 19.9).

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ სუბიექტის მიმართ გაორმაგებული ჯარიმის დანიშვნის ვადა – 1 თვე წერილობითი გაფრთხილების ან/და დაკისრებული პასუხისმგებლობის შეუსრულებლობიდან (ბააშ მუხლი 26.2).

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამ-

ხედველობის სამსახურის მიერ სუბიექტების წარდგენილი ანგარიშგებების (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგებების) და აუდიტორული დასკვნების (გარდა მეოთხე კატეგორიის საწარმოების ანგარიშგებებისა) გამოქვეყნების ვადა – 1 თვე მათი წარდგენიდან (ბაააშ მუხლი 9.3).

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ სუბიექტზე პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ შეტყობინების გაგზავნის ვადა – 10 დღე პასუხისმგებლობის დაკისრებიდან (ბაააშ მუხლი 26.3).

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ სუბიექტისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარმოსადგენად განსაზღვრული დამატებითი ვადა – არანაკლებ 1 თვე და არაუმეტეს 6 თვე (ბაააშ მუხლი 26.3).

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების სამოქმედოდ შემოღების უზრუნველყოფის ვადა – 6 თვე სარეგისტრაციო წარმოების განახლებიდან (ბაააშ მუხლი 19.3).

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დაწყების ვადა – არაუგვიანეს 2 კვირა გადაწყვეტილების მიღებიდან (ბაააშ მუხლი 19.8).

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადა – 5 სამუშაო დღე აუდიტორული ფირმის მიმართვიდან (ბაააშ მუხლი 19.10).

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისათვის სუბიექტის (საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები, სხვა ქვეყნის საწარმოს ფილიალი, ინდივიდუალური მენარმე) მიერ ანგარიშგების წარდგენის (თუ სუბიექტის საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ

ნელს) ვადა – ხელმისაწვდომობის თანავე დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 9 თვისა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან (ბააამ მუხლი 9.4).

ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნის (საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ) ვადა – 5 წელი (ერთი და იგივე პირი ზედაზედ მხოლოდ ორჯერ) (ბააამ მუხლი 20.5).

ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებული დავის არსებობისას საჩივრის ავტორის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის პერიოდი – დავის ნებისმიერ ეტაპზე (ბააამ მუხლი 27.4).

ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნების დარღვევისთვის აუდიტორისთვის (აუდიტორული ფირმისთვის), გარიგების პარტნიორისთვის აუდიტის ჩატარების ან/და აუდიტორულ დასკვნაზე ხელის მოწერის და აუდიტორული ფირმის პარტნიორებისათვის (აქციონერებისათვის) ფუნქციების განხორციელების დროებითი აკრძალვის ხანგრძლივობა – არაუმეტეს 3 წელი (ბააამ მუხლები: 23.1; 24.1).

ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნების დარღვევისათვის სდპ-ის მმართველობითი ორგანოს წევრისთვის სდპ-ში ამ კანონით გათვალისწინებული თავისი ფუნქციების განხორციელების დროებითი აკრძალვის ხანგრძლივობა – არაუმეტეს 3 წელი (ბააამ მუხლი 23.1).

ბულალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგებების და დოკუმენტების (ელექტრონული და მატერიალური ფორმით არსებული) სუბიექტთან (საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები, სხვა ქვეყნის საწარმოს ფილიალი, ინდივიდუალური მენარმე) შენახვის ვადა – 6 წელი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან (ბააამ მუხლი 4.18).

გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის საკითხთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანების გამოცემის ვადა – 14 დღე საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის ნარდგენიდან (სასკ მუხლი 21²³.1).

გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ნაწილში მოსამართლის ბრძანების მოქმედების შეჩერების ვადა – მოსამართლის ბრძანების გასაჩივრებიდან (სასკ მუხლი 21²³.6).

გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ნაწილში მოსამართლის ბრძანების ძალაში შესვლის ვადა – ბრძანების გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ (სასკ მუხლი 21²³.6).

გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ნაწილში მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივრის შეტანის ვადა – 48 საათი მხარისათვის ბრძანების ეგზეკუციის გადაცემიდან. აღნიშნულ საჩივარს მოსამართლე დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს (სასკ მუხლი 21²³.7).

გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ნაწილში სააპელაციო საჩივრის განხილვის ვადა – 10 დღე საჩივრის შეტანიდან (სასკ მუხლი 21²³.8).

გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ნაწილში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (სასკ მუხლი 21²³.9).

გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დასაბუთების გარეშე გამოცემული წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წერილობითი დასაბუთების გამოცემის ვადა – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან ერთი კვირა (ზაკ მუხლი 53).

გადაუდებელი აუცილებლობისას კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ სხდომის ჩატარების ან სხდომის დახურვის შემთხვე-

ვაში დანესებულების მიერ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის განმარტების ვადა – იხ. კოლეგიური საჯარო დანესებულების მიერ გადაუდებელი აუცილებლობისას სხდომის ჩატარების ან სხდომის დახურვის შემთხვევაში დანესებულების მიერ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის განმარტების ვადა.

გადაუდებელი აუცილებლობისას კოლეგიური საჯარო დანესებულების მიერ ჩატარებული სხდომის (სხდომის დახურვის კანონიერების) შესახებ სასამართლოში სარჩელის წარდგენის ვადა – იხ. კოლეგიური საჯარო დანესებულების მიერ გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული სხდომის (სხდომის დახურვის კანონიერების) შესახებ სასამართლოში სარჩელის წარდგენის ვადა.

გადაცილებული საპროცესო ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (ზაკ მუხლი 94; სსკ მუხლი 68).

გადახდისუუნარო პირისთვის სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წინააღმდეგ იურიდიული დახმარების (სასამართლოში წარმომადგენლობის) უზრუნველყოფის პერიოდი – 2018 წლის 1 მარტიდან 2021 წლის 1 იანვრამდე, საქმის მნიშვნელობისა და სირთულის შესაბამისად (იდმ მუხლი 23¹.1).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის, წამების წინააღმდეგ ან რასობრივი დისკრიმინაციის კომიტეტების გადაწყვეტილების საფუძველზე კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას პირის (მისი წარმომადგენლის) ფულადი კომპენსაციის გაცემის საკითხთან დაკავშირებით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების ვადა – 14 დღე (სასკ მუხლი 21⁶⁰.4; სსკ მუხლი 369.1).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის, წამების წინააღმდეგ ან რასობრივი დისკრიმინაციის კომიტეტების გადაწყვეტილების საფუძველზე კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით პირის (მისი წარმომადგენლის) მიერ რა-

იონულ (საქალაქო) სასამართლოში ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარდგენის ვადა – 6 თვე შესაბამისი კომიტეტის გადანყვეტილების მიღებიდან (სასკ მუხლი 21⁵⁷.2).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის, წამების წინააღმდეგ ან რასობრივი დისკრიმინაციის კომიტეტების გადანყვეტილების საფუძველზე კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (სასკ მუხლი 21⁶⁰.7).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის, წამების წინააღმდეგ ან რასობრივი დისკრიმინაციის კომიტეტების გადანყვეტილების საფუძველზე კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის (თანდართული დოკუმენტების ასლების) მოპასუხისათვის გაგზავნის ვადა – დაუყოვნებლივ სასამართლო განჩინების გამოტანის ან ასეთი განჩინების გამოტანის ვადის გასვლის შემდეგ და განუსაზღვრავს შესაგებლის წარდგენის ვადას (სასკ მუხლი 21⁵⁸.4).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის, წამების წინააღმდეგ ან რასობრივი დისკრიმინაციის კომიტეტების გადანყვეტილების საფუძველზე კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (სასკ მუხლი 21⁵⁸.3; სსკ მუხლი 416).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის, წამების წინააღმდეგ ან რასობრივი დისკრიმინაციის კომიტეტების გადანყვეტილების საფუძველზე კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხის განხილვის ვადა – 5 დღე სარჩელის შეტანიდან. თუ სარჩელი ხარვეზიანია, მოსამართლე უნიშნავს მის გამოსასწორებლად გონივრულ ვადას (სასკ მუხლი 21⁵⁸).

გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის მიერ ტერიტორიის დატოვების ვადა – განსაზღვრავს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორი – ბრძანებით (პატ.კ. მუხლი 10¹.4).

გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულის მიერ, დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, დაწესებულების დროებითი დატოვების ვადა – არაუმეტეს 3 დღე-ღამე 1 კვირის განმავლობაში (პატ.კ. მუხლი 71⁶.3).

გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის დისციპლინური სახდელის ვადები – 1 თვემდე – მუშაობის უფლების შეზღუდვა, ნებადართული ნივთებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა, ამანათებისა და გზავნილების მიღების უფლების შეზღუდვა, სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა, პირადი ხასიათის კორექსონდენციის მიღებისა და გაგზავნის უფლების შეზღუდვა, პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მალაზიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა, ფულადი გზავნილის მიღებისა და გაგზავნის უფლების შეზღუდვა; 14 დღემდე – სამართო საკანში მოთავსება; 2 თვემდე – პატიმრობის კოდექსის 71⁶ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვა (პატ.კ. მუხლი 71⁸.1).

გამასწორებელი სამუშაოების გამოანგარიშების ვადა – იხ. ადმინისტრაციული სახდელის გამოანგარიშების ვადა.

გამასწორებელი სამუშაოების გამოყენების ვადა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის – 15 დღიდან – 6 თვემდე (ასკ მუხლი 31).

გამასწორებელი სამუშაოების მოხდის ვადა – ის დრო, რომლის განმავლობაში დამრღვევი მუშაობდა და მისი ხელფასიდან წარმოებდა დაქვითვა. გსმ-ის ვადაში ჩაითვლება ის დრო, რომლის განმავლობაში დამრღვევი საპატიო მიზეზით არ მუშაობდა და მას კანონის შესაბამისად ეძლეოდა ხელფასი. ამ ვადაში ჩაითვლება აგრეთვე ავადმყოფობის დრო, ავადმყოფის მოვლისათვის მიცემული დრო და ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების დრო. სიმთვრალით ან სიმთვრალესთან დაკავშირებული მოქმედებით გამოწვეული ავადმყოფობა

ბის დრო არ ჩაითვლება გსმ-ის ვადაში (ასკ მუხლი 305).

გამასწორებელი სამუშაოების შეფარდების შესახებ დადგენილების აღსასრულებლად გაგზავნის ვადა – დადგენილების გამოტანიდან არაუგვიანეს მეორე დღისა (ასკ მუხლი 304).

გამოსაცდელი ვადით მიღებული საჯარო მოხელის შეფასების პერიოდულობა – კვარტალში ერთხელ (სსმ მუხლი 53.4).

გამოსაცდელი ვადით მიღებული საჯარო მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა – არაუგვიანეს 5 კალენდარული დღე, ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა – არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა უარყოფითი შეფასების წარდგენიდან (სსმ მუხლი 45.6).

განმეორებითი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის უფრო მკაცრი პასუხისმგებლობის გამოყენების ვადა – იხ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ჩათვლის ვადა.

განსაზღვრული ვადით მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ჩათვლის ვადა – განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, თუ ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანო (თანამდებობის პირი) ასეთი ნორმატიული აქტის მიღებისთვის (გამოცემისთვის) დადგენილი წესით არ მიიღებს გადანყვეტილებას ვადის გაგრძელების შესახებ (ნოაშ მუხლი 22.7).

განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსის მისანიჭებლად წარდგენილი საინვესტიციო განაცხადის შესწავლის, გადანყვეტილების მიღებისა და უარის თქმის ვადა – არაუმეტეს 1 თვე განაცხადის წარდგენიდან – საქართველოს მთავრობის მიერ. ამ ვადის გაგრძელება დასაშვებია საქართველოს მთავრობის გადანყვეტილებით, საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებით განსაზღვრული წამყვანი სამინისტროს მოტივირებული წარდგინებით, აღნიშნულ ვადაში საქართველოს მთავრობის განკარგულების გამოუცემლობა ჩაითვლება განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმად (ისმ მუხლი 10).

განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსის მოთხოვნის ვადა – ინვესტორის მიერ, ინვესტიციის განხორციელების დაწყებამდე ან მის შემდეგ (ისმხ მუხლი 10).

განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსის მოქმედების ვადა – განისაზღვრება საქართველოს მთავრობის განკარგულებით განსაზღვრული ვადით. სტატუსი უქმდება, თუ ინვესტორმა ვერ შეასრულა ხელშეკრულების პირობები (ისმხ მუხლი 12).

განსაკუთრებული მნიშვნელობის საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადა – იხ. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადა.

განსაკუთრებული მნიშვნელობის საიდუმლოების გრიფის მქონე სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის განადგურების ვადა – არ ნადგურდება, გარდა საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს გადაუდებელი აუცილებლობის ან სხვა უკიდურესად გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევისა. ასეთი შემთხვევისას კი ნადგურდება დაუყოვნებლივ (სახ.საიდ. მუხლი 13).

განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის მიერ დისციპლინური დარღვევის ჩადენისას (დაწესებულების მოსამსახურის დაუმორჩილებლობა, განზრახი ქმედების ჩადენა სხვა პირის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის წინააღმდეგ, ღირსების და ხელშეუხებლობის შელახვა, ინფორმაციის მიწოდება საკნიდან საკანში ან დაწესებულების გარეთ) ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა – არაუმეტეს 90 დღე-ღამე (პატ.კ. 90.11).

განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის პაემნისა და სატელეფონო საუბრის პერიოდულობა და ხანგრძლივობა – 1 თვის განმავლობაში 1 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი; 1 წლის განმავლობაში 1 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი; 1 თვის განმავლობაში (საკუთარი ხარჯით) 2 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთი, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – 1 სატელეფონო საუბარი არაუმეტეს 15 წუთი (პატ.კ. მუხლი 66³.2).

განცხადებაზე დამატებითი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენის ვადები – თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანო. ეს ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არაუმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა. დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულია ითვლება. დადგენილ ვადაში განმცხადებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის არ წარდგენის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ. განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი საბუთის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე (ზაკ მუხლი 83).

განცხადების განმცხადებლისათვის შესაბამისი დასაბუთებით უკან დაბრუნების ვადა – განცხადების შეტანიდან 5 დღის განმავლობაში, თუ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია ან შეუძლებელია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა (ზაკ მუხლი 80).

განცხადების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ვადა – 3 დღე. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოწმდება შესაბამისობა ზაკის 78-ე მუხლის მოთხოვნებთან (ზაკ მუხლი 83).

განცხადების რეგისტრაციაში გატარების დამადასტურებელი დოკუმენტის გაგზავნის (გადაცემის) ვადა – განმცხადებლის მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ (ზაკ მუხლი 79).

განცხადების რეგისტრაციაში გატარების თარიღი – განცხადების მიღების დღე (ზაკ მუხლი 79).

გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ორგანოსათვის მოცემულ აქტთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალებისა და ადმინისტრაციულ საჩივარზე საკუთარი წერილობითი დასკვნის წარდგენის ვადა – ადმინისტრაციული საჩივრის ასლის მიღებიდან 5 დღე (ზაკ მუხლი 195).

გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებ-

რივი აქტის მოქმედების ვადის შეჩერების დაწყება – იხ. ადმინისტრაციული წესით გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების ვადის შეჩერების დაწყება.

გაფრთხილების შესახებ დადგენილების აღსრულების ვადა – დადგენილების გამოტანი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ დადგენილების საჯაროდ წაკითხვით საქმის განხილვის დამთავრების შემდეგ (ასკ მუხლი 289).

გენერალური აუდიტორის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილების შეწყვეტის ვადა – ახალი გენერალური აუდიტორის არჩევისთანავე (საუდს მუხლი 7).

გენერალური აუდიტორის უფლებამოსილების განხორციელების ვადა – 5 წელი. იგი აირჩევა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით (საუდს მუხლი 9).

გენერალური აუდიტორის უფლებამოსილების შეჩერების ვადა – პარლამენტის მიერ გენერალური აუდიტორის დაკავებაზე ან დაპატიმრებაზე თანხმობის მიცემის შემთხვევაში – სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანამდე ან სასამართლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე (საუდს მუხლი 11.2).

გრიფ „საიდუმლოს“ მქონე ნორმატიული აქტის ან ნორმატიული აქტის ასეთივე გრიფის მქონე ნაწილის ძალაში შესვლის ვადა – საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრის „საიდუმლო“ ნაწილში შეტანისთანავე, თუ თვით ამ აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი (ნოაშ მუხლი 23).

გრძელვადიანი პერიოდი – იხ. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოქმედების ვადა.

გრძელვადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების (სახელმწიფო ობლიგაციები) მოქმედების ვადა – იხ. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოქმედების ვადა.

დ

დაზვერვის სამსახურის მოსამსახურის მიმართ დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში დისციპლინური სახდელის გამოყენების ვადა – 6 თვე დისციპლინური გადაცდომის ფაქტის დადგენის (აღმოჩენის) დღიდან მოსამსახურის ავადმყოფობისა და შვებულებაში ყოფნის დროის ჩაუთვლელად (სდას მუხლი 17).

დაზვერვის სამსახურის მოსამსახურის მიმართ დისციპლინური სახდელის დადების ხანდაზმულობის ვადა – 3 წელი სისხლის სამართლის საქმის წარმოების ჩაუთვლელად (სდას მუხლი 17).

დაზვერვის სამსახურის მოსამსახურის (წვევამდელის) მიერ ფიცის დადების დრო – წვევამდელი დებს სამხედრო ფიცს და სამსახურის მოსამსახურის ფიცს. – სამსახურის საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხვის შემდეგ. სამსახურის მოსამსახურე დებს სამსახურის მოსამსახურის ფიცს – სამსახურში მიღების შემდეგ (სდას მუხლი 11²).

დაზვერვის სამსახურის მოსამსახურის სამუშაო დრო – არაა ნორმირებული (სდას მუხლი 17¹).

დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების გამო დაზარალებული პირის მიერ, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისათვის შესაბამისი დადგენილების მიღებისა და სააღსრულებო ფურცლის გასაცემად განცხადების და საექსპერტო შეფასების წარდგენის ვადა – არაუგვიანეს 10 კალენდარული დღე საჯარიმო ქვეთრის გამოწერიდან (ასკ მუხლი 40).

დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების გამო საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ დადგენილების მიღებისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის ვადა – 5 დღე საჯარიმო ქვეთრის გასაჩივრებისათვის დადგენილი 10-დღიანი ვადის გასვლიდან (თუ საჯარიმო ქვეთარი არ არის გასაჩივრებული); ზემდგომი ორგანოს მიერ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემდეგ ან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ (თუ საჯარიმო ქვეთარი გასაჩივრებულია ზემდგომ ორგანოში ან სასამართლოში) (ასკ მუხლი 40).

დათვალიერების დროს პირის შეჩერების ვადა – იხ. ზედაპირული შემოწმების და დათვალიერების დროს პირის შეჩერების ვადა.

დაინტერესებული მხარის მიერ წარდგენილ შუამდგომლობებზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის ვადა – შუამდგომლობის წარდგენიდან 2 დღე (ზაკ მუხლი 98).

დაინტერესებულ მხარეთა მიერ დამატებითი ინფორმაციის წარდგენის ვადა – ზეპირი სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღე (ზაკ მუხლი 196).

დაინტერესებული მხარისათვის ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის შესახებ შეტყობინების და მონაწილეობის მისაღებად მოწვევის ვადა – ზეპირი მოსმენის გამართვამდე 7 დღით ადრე მაინც (ზაკ მუხლი 110).

დაკავებულისათვის უფლებების განმარტების დრო – იხ. ადმინისტრაციული დაკავებისას დაკავებულისათვის მისი უფლებების განმარტების დრო.

დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივრის, განცხადების ან სხვა ინფორმაციის საფუძვლიანობის შემოწმების ვადა – 2 თვე საჩივრის მიღებიდან. ეს ვადა შეიძლება 2 კვირით გაგრძელდეს ან შეჩერდეს წინასწარი შემოწმების შეუძლებლობის შემთხვევაში (სასკ მუხლი 75⁷.1).

დამრღვევის ადმინისტრაციული დაკავების გზით პოლიციაში ან დაცვის სპეციალურ სამსახურში მიყვანის ვადა – რაც შეიძლება მცირე დრო (ასკ მუხლი 243.5).

დამრღვევის მიერ ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ვადა – იხ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე დამრღვევის მიერ ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ვადა.

დამუქებულ მინებიანი სატრანსპორტო საშუალების მართვისას მძღოლისათვის მინების დამუქების (შუქვამტარობის) სტანდარტის დარღვევის აღმოსაფხვრელად მიცემული ვადა – 3 დღე (ასკ მუხლი 119).

დამცავი ორდერის ამოქმედების ვადა – გამოცემისთანავე (სასკ მუხლი 21¹⁵.7).

დამცავი ორდერის გამოცემის ვადა – 6 თვემდე (ქმოძა მუხლი 12.1).

დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (სასკ მუხლი 21¹³.6).

დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე სააპელაციო საჩივრის განხილვის ვადა – 7 დღე სააპელაციო საჩივრის წარდგენიდან (სასკ მუხლი 21¹³.6).

დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა – 3 დღე მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან (სასკ მუხლი 21¹³.6).

დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ სავარაუდო მსხვერპლის ან დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლების მქონე სხვა პირის განცხადების განხილვის ვადა – 10 დღე განცხადების სასამართლოს კანცელარიაში დადგენილი წესით რეგისტრაციიდან (სასკ მუხლი 21¹³.4).

დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების ან მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ სავარაუდო მსხვერპლის ან დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლების მქონე სხვა პირის განცხადების მოძალადისათვის გაგზავნის ვადა – 24 საათი განცხადების სასამართლოს კანცელარიაში რეგისტრაციიდან (სასკ მუხლი 21¹³.5).

დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების ან მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ სავარაუდო მსხვერპლის განცხადებაში მითითებულ საკითხებზე მოძალადის მიერ წერილობითი პასუხისა და მტკიცებულებების წარდგენის ვადა – 3 დღე სასამართლო უწყების მიღებიდან (სასკ მუხლი 21¹³.5).

დამცავი ორდერის თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებით დამცავი ორდერის მოქმედების შეჩერების ვადა – არ ჩერდება (სასკ 21¹³.6).

დამცავი ორდერის მოქმედების ვადა – გამოცემისთანავე (სასკ მუხლი 21¹⁵.7).

დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელება – მხოლოდ ორდერის მოქმედების პერიოდში და დამატებით არაუმეტეს 3 თვე (ქმოძა მუხლი 12.2).

დამცავი ორდერის მოქმედების ვადის შეცვლა – გადაწყვეტს სასამართლო (ქმოძა მუხლი 12.2).

დამცავი ორდერის მოქმედების კონკრეტული ვადა – განსაზღვრავს სასამართლო (ქმოძა მუხლი 12.1).

დანაშაულის ნიშნების შემცველი აუდიტის მასალების სამართალდამცავ ორგანოებისათვის გაგზავნის ვადა – დაუყოვნებლივ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ (საუდს მუხლი 24¹).

დასაიდუმლოებული ინფორმაციის შესახებ მონაცემების გადასინჯვის ვადა – ყოველწლიურად, ინფორმაციის დასაიდუმლოებელი სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დანესებულების, ორგანიზაციის (მიუხედავად მისი სამართლებრივი ფორმისა) მიერ (სახ.საიდ. მუხლი 16).

დაუმთავრებელი საპროცესო ვადის შეჩერება – იმ გარემოებათა წარმოშობის დღიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო წარმოების შეჩერებას (ზაკ მუხლი 94; სსკ მუხლი 62).

დაცვის სპეციალური სამსახური – იგივეა, რაც სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელით სასამართლოსთვის მიმართვის ვადა – 1 წელი, მას შემდეგ, რაც პირმა გაიგო ან პირს უნდა გაეგო იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია (სსკ მუხლი 363².2).

დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის მიერ დისციპლინურ პასუხისგებაზე წერილობითი შეპასუხებისა და სათანადო მტკიცებულებების წარდგენის ვადა – გადაწყვეტილების ასლის მიღებიდან 10 დღე. მოსამართლის მიერ შეპასუხების წარდგენიდან ან შეპასუხების წარდგენისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 3 დღეში დისციპლინური საქმის მასალები მოსამართლის მიერ წარდგენილ დოკუმენტებთან ერთად ეგზავნება საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას (სასამუხლი 75¹⁴.4).

დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის მძიმე ავადმყოფობის ან დაუძლეველი ძალის გამო სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე ვერ გამოცხადების შემთხვევაში კოლეგიის გადაწყვეტილებით დისციპლინური საქმის წარმოების შეჩერების ვადა – 3 თვემდე. ეს ვადა არ ჩაითვლება დისციპლინური პასუხისგების დაკისრების 1-წლიან ვადაში, მაგრამ გათვალისწინებული იქნება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის ამ კანონმდებლობით დადგენილ 5-წლიან ვადაში. თუ დისციპლინური საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი 3 თვის ვადაში არ აღმოიფხვრება, სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია ეს საქმე დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის დაუსწრებლად განიხილოს (სასა მუხლი 75³⁵.3).

დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლისთვის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების ასლის გადაცემის ვადა – გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღე (სასა მუხლი 75¹⁴.3).

დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების მსჯავრდებულისთვის გადაცემის ვადა – განკარგულების გამოცემისთანავე (პატ.კ. მუხლი 90.9).

დროებითი განჩინების მიღების ვადა – იხ. საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ დავის საგანთან დაკავშირებით დროებითი განჩინების მიღების ვადა.

დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭების ვადა – 1 წელი. ეს ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს შესაბამისი სამინისტროს გადაწყვეტილებით, იმავე ვადით, არაერთგზის, თუ კვლავ არსებობს გარემოებები, რომელთა საფუძველზედაც პირს აღნიშნული სტატუსი მიენიჭა (სდმ მუხლი 21.3).

დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი სტატუსის მქონე პირის მიერ ბინადრობის მოწმობის თაობაზე უფლებამოსილ თანამდებობის პირთან დაკავშირების ვადა – არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე მოწმობის ვადის გასვლამდე. მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში – დაუყოვნებლივ (სდმ მუხლი 62).

დღეებით, თვეებით და წლებით გამოსათვლელი საპროცესო ვა-

დის დამთავრება – ამ დღის მომდევნო სამუშაო დღე, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს (ზაკ მუხლი 94; სსკ მუხლი 61).

ე

ეკონომიკური საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციისას სუბიექტისთვის შესაბამისი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭების მომენტი – მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ რეგისტრაციის თაობაზე გადანყვეტილების მიღებიდან (სრემ მუხლი 20³.3).

ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის ვადა – 1 წელი რეგისტრაციის მომენტიდან (სრემ მუხლი 20³.7).

ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის თაობაზე გადანყვეტილების ძალადაკარგულად ცნობის ვადა – რეგისტრაციის ერთწლიანი ვადის გასვლიდან (თუ დაინტერესებული პირი არ წარადგენს მოთხოვნას რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ) (სრემ მუხლი 20³.7).

ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრირებულად, რეგისტრირებული მონაცემების შეცვლილად და რეგისტრაციის შეწყვეტილად ცნობის მომენტი – საჯარო რეესტრის სააგენტოს (მარეგისტრირებელ ორგანოს) მიერ მიღებული შესაბამისი გადანყვეტილების ძალაში შესვლიდან (სრემ მუხლი 20³.6).

ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობის ვადა – კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში არანაკლებ 5, 7, 10, 20 16 25 დღე (სშმ მუხლი 15¹.3).

ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობის, სატენდერო წინადადების წარსადგენი ვადა – არანაკლებ 7, 10, 20, 30 დღე შესასყიდი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვის ფასიდან გამომდინარე. ამ ვადების შემცირება დაუშვებელია (სშმ მუხლი 15¹.3-4).

ეროვნულ საარქივო ფონდში არსებული, პირის კუთვნილი დოკუმენტების გამოყენების ან საჯაროდ ჩვენების აკრძალვის თაობა-

ზე ეროვნული არქივის მიმართ ამ პირის მიერ განსაზღვრული ვადა – არა უმეტეს 75 წელი მისი შექმნიდან (ესფეა მუხლი 23).

ეროვნულ საარქივო ფონდში მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების შემცველ დაკუმენტებთან (გარდა მოქალაქეთა საკუთრების უფლების შემცველი დოკუმენტებისა), აგრეთვე, სხვა პირთა მიერ სისხლის სამართლის პროცესის მასალებთან დაშვების შეზღუდვის ვადა – 75 წელი მათი შექმნიდან, თუ უფრო მცირე ვადა არ არის განსაზღვრული ან შეთანხმებული იმ პირის მიერ, ვისაც ეხება მასალები (ესფეა მუხლი 22).

ეროვნულ საარქივო ფონდში სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ დოკუმენტებთან სარგებლობის შეზღუდვის ვადა – 3, 5, 10 და 20 წელი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 10) შესაბამისად (ესფეა მუხლი 22).

ეროვნული ბანკის დაუყოვნებლივ ასამოქმედებელი ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის ვადა – იხ. საქართველოს ეროვნული ბანკის დაუყოვნებლივ ასამოქმედებელი ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის ვადა.

ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვისა და დაცვის ვადა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ან სხვა პირების მიერ – ეროვნული არქივისა და მისი ტერიტორიული ორგანოებისათვის ამ დოკუმენტების გადაცემამდე. ზღვრულ ვადებს ბრძანებით ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი (ესფეა მუხლი 17).

3

ვალის რეესტრის განახლების პერიოდი – იხ. სახელმწიფო ვალის რეესტრის განახლების პერიოდი.

ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა – არანაკლებ 1 სასწავლო წელი (უგმ მუხლი 46⁴.2).

ზ

ზედაპირული შემოწმების და დათვალიერების დროს პირის შეჩე-

რების ვადა – 30 წუთი შეჩერების მომენტიდან (სსუს მუხლი 17.8).

ზეპირი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წერილობით აქტად გამოცემის ვადა – 3 დღის ვადაში დაინტერესებული მხარის მოთხოვნის ან იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზღუდავს პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, ასევე კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში (ზაკ მუხლი 51).

ზეპირი მოსმენით ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელების ვადა – როგორც წესი ერთი სამუშაო დღე (ზაკ მუხლი 110).

ზეპირი მოსმენით ადმინისტრაციული წარმოების სხდომის ოქმზე დაინტერესებული მხარის მიერ შენიშვნების წარდგენის ვადა – ოქმის გაცნობიდან 3 დღე (ზაკ მუხლი 112).

ზეპირი მოსმენით სხდომის გამართვის თარიღის ადმინისტრაციული წარმოების მონაწილესთვის შეტყობინების ვადა – სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღე (ზაკ მუხლი 196).

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედების დრო – იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედების დრო.

ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკი – 6 წელი (ზგმ მუხლი 6.6).

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო წლის დაწყების ვადა – 15 სექტემბერი. თუ 15 სექტემბერი დასვენების დღეს ან უქმე დღეს ემთხვევა, სწავლა იწყება მის მომდევნო პირველ სამუშაო დღე (ზგმ მუხლი 7¹.1).

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის მიერ კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოთხოვნილი ანაზღაურების გარეშე შევებულების პერიოდულობა და ვადა – 6 წელიწადში ერთხელ 1 წლამდე ვადიანი შევებულება, სამუშაო ადგილის შენარჩუნებით (ზგმ მუხლი 21.1).

თ

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლისთვის გირაოს შეტანის ვადა – 3 დღე (პატ.კ. მუხლი 28.3).

თანამდებობის პირზე ჯარიმის დაკისრების შესახებ განკარგულების გასაჩივრებით მისი აღსრულების შეჩერების ვადა – არ ჩერდება (სდიშკ მუხლი 20.3).

თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგი კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით ხორციელდება. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების პროაქტიულად გამოქვეყნების ვადა – ყოველი კალენდარული წლის ბოლოს (სდიშკ მუხლი 18¹.7).

თანამდებობის პირის აცილების თაობაზე განცხადების დაყენების ვადა – იხ. ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირის აცილების თაობაზე განცხადების დაყენების ვადა.

თანამდებობის პირის აცილების თაობაზე განცხადების წარდგენის ვადა – იხ. ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირის აცილების თაობაზე განცხადების წარდგენის ვადა.

თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობისათვის დაჯარიმების შესახებ განკარგულების გამოცემის ვადის გასვლის შემთხვევაში დეკლარაციის შევსების 2-თვიანი ვადის ათვლის დასაწყისი – პირის სადეკლარაციო თანამდებობაზე განწესების ან სადეკლარაციო თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე ინფორმაციის საჯარო სამსახურის ბიუროსთვის მიწოდების მომენტიდან (სდიშკ მუხლი 14.11).

თანამდებობის პირის მიერ ნარკოლოგიური შემონმების გავლის ვადა – ადგენს საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი. გაცემიდან 3 დღის ვადაში ცნობა წარედგინება ბიუროს (სდიშკ მუხლი 13⁶).

თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსების პერიოდულობა – წელიწადში ერთხელ. ამ პერიოდში დეკლარაციის მეორეჯერ შევსების საფუძვლების არსებობის შემთხვევაში თანამდებობის პირი თავისუფლდება დეკლარაციის ხელმეორედ შევსებისაგან (სდიშკ მუხლი 14.8).

თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისა და წარდგენის ვადა – თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში ყოველწლიურად, წინა დეკლარაციის შევსების თვის შესაბა-

მისი თვის განმავლობაში, ხოლო თანამდებობიდან განთავისუფლებიდან 2 თვის ვადაში, იმ შემთხვევაში, თუ მას თანამდებობიდან გათავისუფლების კალენდარული წლის განმავლობაში წარდგენილი არ ჰქონდა დეკლარაცია, აგრეთვე თანამდებობიდან გათავისუფლების მომდევნო წელს, წინა დეკლარაციის შევსების თვის შესაბამისი, იმავე თვის განმავლობაში, თუ იგი სხვა თანამდებობაზე არ განწესდება. თუ 2-თვიანი ვადა მომდევნო კალენდარულ წელს გადადის, თანამდებობის პირი ვალდებულია შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია არაუგვიანეს თანამდებობიდან გათავისუფლების კალენდარული წლის 31 დეკემბრისა (სდიშკ მუხლი 14.2-14.3').

თანამდებობის პირის ოჯახის წევრის მიერ შეუთავსებელი თანამდებობიდან გადადგომის და შეუთავსებელი საქმიანობის შეწყვეტის ვადა – 10 დღე თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის დაკავებიდან (სდიშკ მუხლი 13.14).

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების რედაქტირებისათვის გათვალისწინებული დამატებითი ვადა – 48 საათი (სდიშკ მუხლი 14.12).

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის დაწყების შემთხვევაში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ შესაბამისი თანამდებობის პირისათვის შეტყობინების და მონიტორინგისათვის საჭირო ინფორმაციის, დოკუმენტაციის (მათ შორის, საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებიდან) და საკუთარი მოსაზრების წარსადგენად განსაზღვრული ვადა – 10 სამუშაო დღე (სდიშკ მუხლი 18'.8).

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ყოველწლიურად შემთხვევითი შერჩევის გზით შესამოწმებელი დეკლარაციების არჩევის პერიოდი – ყოველი კალენდარული წლის დასაწყისი (სდიშკ მუხლი 18'.5).

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვადა – 2 თვე, პირის მიერ, მისი თანამდებობაზე განწესებიდან (სდიშკ მუხლი 14.1).

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის

ნარუდგენლობის გამო პირის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში მის მიერ დეკლარაციის წარდგენის ვადა – 2 კვირა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლიდან (სდიშკ მუხლი 20.4).

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობის გამო საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის განკარგულებით დაკისრებული ჯარიმის გადახდის ვადა – არაუგვიანეს 30 დღე განკარგულების ოფიციალური გაცნობიდან. ჯარიმა გადახდილად ჩაითვლება ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ბიუროსთვის წარდგენის მომენტიდან (სდიშკ მუხლი 20.2).

თანამდებობის პირისათვის საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის განკარგულებით ან სასამართლო გადაწყვეტილებით (განჩინებით) დაკისრებული ჯარიმის შემდეგ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვადა – 2 კვირა ჯარიმის დაკისრების შესახებ შესაბამისი აქტის კანონიერ ძალაში შესვლიდან (სდიშკ მუხლი 20.4).

თანამესაკუთრის (მოიჯარის) უპირატესი შესყიდვის უფლების რეგისტრაციის ვადა – შესაბამის შეტყობინებაში მითითებული ვადით, რომელიც აითვლება შეტყობინების ჩაბარების დღის მეორე დღიდან, ხოლო ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევაში – მისი გამოქვეყნების დღის მეორე დღიდან. თუ შეტყობინებით ზუსტი ვადა ვერ დგინდება, ვადად მიიჩნევა 15 კალენდარული დღე. ვადის გასვლა ინვეს ალნიშნული უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ძალის დაკარგვას (სრემ მუხლი 15⁵.3).

თბილისის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადა – საკრებულოს უფლებამოსილების ვადით (ათკ მუხლი 78.2).

თბილისის მერის მიერ პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) და მოადგილეების თანამდებობებზე დანიშვნაზე თბილისის საკრებულოსთვის ხელმეორედ (იგივე ან ახალი კანდიდატების) წარდგენის ვადა – 10 დღე. თუ თბილისის საკრებულო კვლავ არ გამოხატავს თანხმობას, თბილისის მერი ამ თანამდებობებზე არაუმეტეს 3 თვის ვადით დანიშნავს მოვალეობათა შემსრულებლებს. თუ საკრებულომ

კვლავ არ მისცა თანხმობა, თბილისის მერი მომდევნო 3 თვის ვადაში საკრებულოს წარუდგენს ახალ კანდიდატურებს. საკრებულოს უარის თქმის შემთხვევაში აღნიშნული პროცედურა გრძელდება წარდგენილი კანდიდატურების დანიშვნამდე (ათკ მუხლი 76.3-5).

თბილისის მერის უფლებამოსილების ვადა – 4 წელი (ათკ მუხლი 73.1).

თბილისის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობით ან უპირობოდ. თბილისის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის ვადა – არაუმეტეს 2 წლით (ათკ მუხლი 122¹.8).

თბილისის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ მთავრობის გადაწყვეტილების (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) ხელშეკრულებასთან გათანაბრების ვადის ათვლა – დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობისთანავე (ათკ მუხლი 122¹.7).

თვეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დამთავრება – ვადის უკანასკნელი თვის შესაბამის თვესა და რიცხვში; თუ თვეებით გამოსათვლელი ვადის უკანასკნელ თვეს სათანადო რიცხვი არ არის, მაშინ ამ თვის უკანასკნელ დღეს (ზაკ მუხლი 94; სსკ მუხლი 61).

ი

იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერის მოქმედების ვადა – 1 თვე (ქმოძა მუხლი 16.3¹).

იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევის ვადა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენისათვის – 3 წლამდე – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 44¹²-ე, 100²-ე, 116-ე, 121-ე, 123-ე, 150-ე, 166-ე, 171-ე, 173-ე, 174¹-ე, 175²-ე, 177¹-ე, 197¹-ე, 197²-ე, 197³-ე მუხლები.

იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის ვადა – შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მომდევნო დღიდან (ასკ მუხლი 24.3).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების ვადა განსაკუთრებულ შემთხვევაში – განსაზღვრავს სასამართლო (საკ. მუხლი 29.3).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსასრულებლად უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების დაწყების ვადა – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულების შესახებ პირისათვის მიცემული ვადის გასვლის შემდეგ (ზაკ. მუხლი 169).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხის გადაწყვეტის ვადა – 10 დღე. გადაწყვეტილება წერილობითა და წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ზაკ. მუხლი 165).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადა – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განცხადების წარდგენიდან ერთი თვის განმავლობაში (ზაკ. მუხლი 100).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა – ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 დღე. ამ ვადის გადადებას ადმინისტრაციული ორგანო წინასწარ აცხადებს (ზაკ. მუხლი 120).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა – ზეპირი მოსმენის გამართვიდან 5 დღე (ზაკ. მუხლი 113).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის აუცილებელი დამატებითი ვადა – დგინდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას, თუ აქტის გამოსაცემად საჭიროა კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, იმ პირობით, რომ აქტის გამოცემის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს (ზაკ. მუხლი 100).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (მისი ნაწილის) მოქმედების შეჩერების თაობაზე სასამართლოს გან-

ჩინების ძალის დაკარგვის ვადა – მოცემულ საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ან სასარჩელო წარმოების სხვაგვარად დასრულებიდან (სასკ მუხლი 30).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების ვადის შეჩერების დაწყება – იხ. ადმინისტრაციული წესით გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების ვადის შეჩერების დაწყება.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების მიღების ვადა – 3 დღე (სასკ მუხლი 29.6).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების მხარეთათვის გაგზავნის ვადა – ერთი დღე, აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან (სასკ მუხლი 29.6).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ მხარის შუამდგომლობის წარდენის ვადა – სარჩელის აღძვრამდეც (სასკ მუხლი 29.5).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დაინტერესებული მხარისათვის ოფიციალურად გაცნობის ვადის ათვლა – დაინტერესებული მხარისათვის აქტის გადაცემიდან ან ფოსტის მეშვეობით გაგზავნიდან (ზაკ მუხლი 58).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაცემობით შესრულების ვადა – დგინდება გონივრული ვადით. იმ პირის მიმართ, რომელიც დადგენილი ვადის განმავლობაში შეასრულებს აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებულ ვალდებულებას, აღსრულების უზრუნველყოფის ზომა არ გამოიყენება. პირის მიერ დადგენილ ვადაში შესაბამისი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში აღსრულების შესახებ გადაწყვეტილება ნყვეტს მოქმედებას (ზაკ მუხლი 167).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადებისა და საჯარო გაცნობისათვის წარდგენის ვადა – განცხადების რეგისტრაციიდან ერთი თვე (ზაკ მუხლი 119).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (რომელიც არ ეხება მესამე პირის ინტერესებს) გამოცემის ვადა – განცხადების წარდგენიდან 15 დღე (ზაკ მუხლი 100).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერების შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (სასკ მუხლი 29.9; სსკ მუხლი 416).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის ვადა – ა) მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული; ბ) კანონით დადგენილ შემთხვევებში – გამოქვეყნებამდე ან ოფიციალურ გაცნობამდე, თუ დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, დანაშაულის აღკვეთას ან გახსნას, აგრეთვე პირის უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს; გ) დაინტერესებული მხარისათვის ფოსტის მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში ძალაში შედის გაგზავნიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებულ მხარეს ეს აქტი არ მიუღია (ზაკ მუხლი 54).

ინფორმაციის შემცველზე საიდუმლოების გრიფის აღმნიშვნელი უფლებამოსილი პირის მიერ ინფორმაციის განსაიდუმლოების შესახებ სახელმწიფო ორგანოს, ფიზიკური და იურიდიული პირის მოტივირებული წინადადების განხილვისა და ინიციატორისათვის ამის შესახებ პასუხის გაცემის ვადა – 1 თვე წინადადების მიღებიდან (სახ.საიდ. მუხლი 15).

იურიდიული დახმარების ბიუროდან იურიდიული დახმარების საბჭოშთვის შერჩეული თითოეული კანდიდატის მიერ მომავალი 1 წლის სამოქმედო პროგრამის წარდგენის ვადა – კენჭისყრიდან 3 კვირა (იდმ მუხლი 16.10).

იურიდიული დახმარების საბჭოს შეკრების პერიოდულობა – 2 თვეში ერთხელ მაინც (იდმ მუხლი 10.13).

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის ვადა – 1 წელი. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ (იდმ მუხლი 12.1).

იურიდიული დახმარების საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა – 2018 წელს ერთჯერადად – 4 წელი. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შერჩეული საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადის პირველი წლის გასვლის შემდეგ, მათ მიერ შერჩეული 3-3 წევრიდან შერჩეული საბჭოს წევრების უფლებამოსილების დარჩენილი ვადა განისაზღვრება 1, 2 და 3 წლით (იდმ მუხლი 10.8 და 23²).

იურიდიული დახმარების საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადის ათვლის დაწყება – საბჭოს შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის განსაზღვრისთანავე (იდმ მუხლი 23².4).

იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროს მიერ იურიდიული დახმარების საბჭოს წევრად ასარჩევი კანდიდატის წარდგენის ვადა – საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუადრეს 3 და არაუგვიანეს 2 თვე (იდმ მუხლი 16.9).

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მიერ სამსახურის საქმიანობის შესახებ ფინანსური ანგარიშის საბჭოსთვის წარდგენის ვადა – ყოველი საბიუჯეტო წლის ბოლოს (იდმ მუხლი 14.1).

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მიერ სამსახურის წინა წლის საქმიანობის შესახებ ანგარიშის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის პერიოდულობა – ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 მარტისა (იდმ მუხლი 8.4).

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის უფლებამოსილების ვადა – 5 წელი. ერთი და იგივე პირი დირექტორად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ (იდმ მუხლი 13.1).

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორისადმი მოთხოვნილი ასაკი და მუშაობის სტაჟი – არანაკლებ 30 წელი და იურისტად მუშაობის არანაკლებ 5 წლისა და ხელმძღვანელად მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება (იდმ მუხლი 13.3).

იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროს, მიმწოდებლის ან საკონსულტაციო ცენტრის მიერ პირის მიმართვაზე (სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე) გადანყვეტილების მიღების ვადა – 2 სამუშაო დღე (იდმ მუხლი 21.3).

იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრის მიერ განეული იურიდიული კონსულტაციის ხანგრძლივობა – არა უმეტეს ერთი საათი (იღმ მუხლი 17.1).

იურიდიული დახმარების (სასამართლოში წარმომადგენლობის) უზრუნველყოფის პერიოდი – იხ. გადახდისუუნარო პირისთვის სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების ნაწილში იურიდიული დახმარების (სასამართლოში წარმომადგენლობის) უზრუნველყოფის პერიოდი.

იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის დადგენილების გაუქმების (საპროცესო დარღვევის გამო) შესახებ იმავე სასამართლოში საჩივრის შეტანის ვადა – 48 საათი მხარისთვის დადგენილების გადაცემიდან. მხარისთვის გადაცემის შეუძლებლობის შემთხვევაში – 5 დღე საჯაროდ გამოქვეყნებიდან (სასკ მუხლი 35⁵.2).

იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის დადგენილების გაუქმების (საპროცესო დარღვევის გამო) შესახებ საჩივრის სააპელაციო სასამართლოში განხილვის ვადა – 15 დღე საჩივრის შეტანიდან (სასკ მუხლი 35⁵.3).

იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის დადგენილების ძალაში შესვლის ვადა – გამოცემისთანავე. დადგენილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას (სასკ მუხლი 35⁵.1).

იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიერ დადგენილების გამოცემის ვადა – 10 დღე საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ორგანოს შუამდგომლობის წარდგენიდან (სასკ მუხლი 35⁴.4).

იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების

შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის განხილვის შესახებ მხარისთვის შეტყობინების ვადა – არაუგვიანეს 48 საათი შუამდგომლობის მიღებიდან (სასკ მუხლი 35⁴.3).

იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს დადგენილების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (სასკ მუხლი 35⁵.4).

იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე მოსამართლის დადგენილების გაუქმების შესახებ (ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსრულების შეწყვეტის საფუძველზე) საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ორგანოს თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის მიმართვის ვადა – 1 თვე ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადანყვეტილების ოფიციალურად გაცნობიდან (სასკ მუხლი 35⁶.2).

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღებ იუსტიციის მსმენელთა საერთო რაოდენობის დამტკიცების ვადა – კონკურსის გამოცხადებამდე (იუსმ მუხლი 14).

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღები კონკურსის პერიოდულობა – როგორც წესი – ნელინადში ორჯერ – მაისსა და ოქტომბერში. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება სკოლაში მისაღები კონკურსის წლის განმავლობაში დამატებით სხვა დროს ჩატარების შესახებ უნდა გამოცხადდეს კონკურსის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე მაინც. (იუსმ მუხლი 11).

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლების ხანგრძლივობა – 10 თვე. იუსტიციის მსმენელისთვის, რომელსაც აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებულ თანამდებობებზე მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება, სრული სასწავლო კურსის ვადაა 6 თვე (იუსმ მუხლი 19).

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევის ვადა – 5 წელი (სასა მუხლი 51¹.2).

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის

აცილები საკითხის გადაწყვეტისთვის გამოყენებული ვადის ჩათვლა დისციპლინური საქმის გამოკვლევის ვადაში – არ ჩაითვლება (მდპ მუხლი 12.4).

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის კანდიდატისთვის მოთხოვნილი სპეციალობით მუშაობის სტაჟი – არანაკლებ 5 წელი (სასა მუხლი 51¹.3).

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მოთხოვნით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციისთვის წარდგენის პერიოდულობა – წელიწადში ერთხელ მაინც (სასა მუხლი 51¹.12).

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის გამართვის თარიღისა და დღის წესრიგის თაობაზე ინფორმაციის საბჭოს ვებგვერდზე განთავსების ვადა – არანაკლებ 7 დღით ადრე სხდომის გამართვამდე (სასა მუხლი 49.4).

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის ვადა – 3 წელი. ერთი და იგივე პირი დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარედ შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ (იუსმ მუხლი 3.3).

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების (სხდომის ოქმთან ერთად) სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნების ვადა – სხდომის გამართვიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღე (იუსმ მუხლი 4.4¹).

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის მოწვევის პერიოდულობა – წელიწადში არანაკლებ ორჯერ (იუსმ მუხლი 4.1).

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის შესახებ ინფორმაციისა და სხდომის დღის წესრიგის სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნების ვადა – სხდომის გამართვამდე 1 კვირით ადრე (იუსმ მუხლი 4.1¹).

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა – 3 წელი (იუსმ მუხლი 3.4).

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექციის მიერ გადამზადების მსურველის განცხადების განხილვისა და მასზე პასუხის გაცემის ვადა – დადგენილ ფარგლებში, მაგრამ არა უგვიანეს ორი კვირა გადამზადების ღონისძიების დაწყებამდე (იუსმ მუხლი 34.2).

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატის ზღვრული ასაკი და საქმიანობის სტაჟი – 25 წლის ასაკიდან და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება (იუსმ მუხლი 5.3).

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორის მიერ დამოუკიდებელ საბჭოსათვის გადამზადების კურსების ფარგლებში ჩასატარებელ ღონისძიებათა პროგრამის დასამტკიცებლად წარდგენის ვადა – ყოველი წლის ოქტომბერი (იუსმ მუხლი 33.4).

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორის მიერ იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიის დამოუკიდებელ საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენის ვადა – სკოლის დამამთავრებელი გამოცდის დასრულებიდან 1 თვე (იუსმ მუხლი 29.1).

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორის მოადგილისა და სტაჟირების ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადა – 5 წელი. ერთი და იგივე პირი სკოლის დირექტორის მოადგილედ ან სტაჟირების ხელმძღვანელად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. ახალი დირექტორის არჩევა იწვევს დირექტორის მოადგილის და სტაჟირების ხელმძღვანელის უფლებამოსილებების შეწყვეტას (იუსმ მუხლი 5.5).

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორის უფლებამოსილების ვადა – 5 წელი. ერთი და იგივე პირი სკოლის დირექტორად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ (იუსმ მუხლი 5.2).

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ სკოლის მასწავლებელთან შრომის ხელშეკრულების ხანგრძლივობა – განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 2 წელი (იუსმ მუხლი 22.2).

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელზე სკოლის სასწავლო კურსის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ვადა – იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო იმ სიის დამტკიცების

შემდეგ, რომელშიც იგია შეყვანილი (იუსმ მუხლი 31¹).

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელის დისციპლინური პასუხისმგებლობის არქონედ მიჩნევის ვადა – დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებიდან 7 თვე, თუ ამ ვადაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა (იუსმ მუხლი 17.6).

3

კადრების განკარგულებაში მყოფი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშნვის ან სამსახურის პირადი შემადგენლობიდან ამორიცხვის ვადა – კადრების განკარგულებაში ვადის გასვლიდან (სდსს მუხლი 11¹.4).

კანონით დაუდგენელი საპროცესო ვადა – განსაზღვრავს სასამართლო (ზაკ მუხლი 94; სსკ მუხლი 59).

კანონქვემდებარე აქტების ძალაში შესვლის ვადა – იხ. საქართველოს კანონქვემდებარე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტების ძალაში შესვლის ვადა.

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარდგენის ვადა – იხ. საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარდგენის ვადა.

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის ვადა – მხოლოდ კონკრეტული კალენდარული დღის დადგომა ან სხვა ნორმატიული აქტის მიღების ან გამოცემის (ამოქმედების) თარიღი (ნოაშ მუხლი 22.4).

კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტზე დასკვნების წარდგენის ვადა – დგინდება კანონმდებლობით ან ადმინისტრაციული ორგანოების, აგრეთვე საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ, კანონმდებლობით ან შესაბამისი კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რომლის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 10 დღეზე ნაკლები. სხვა ადმი-

ნისტრაციული ორგანოს მიერ წარდგენილი დასკვნა განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე (ზაკ მუხლი 106³).

კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტზე კერძო პირების მიერ წარდგენილი მოსაზრებების სხვა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსათვის და საზოგადოებრივ ექსპერტისათვის გაგზავნის ვადა – მოსაზრებების რეგისტრაციიდან ერთი დღე (ზაკ მუხლი 106⁴).

კოლექტიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაუდებელი აუცილებლობისას სხდომის ჩატარების ან სხდომის დახურვის შემთხვევაში დაწესებულების მიერ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის განმარტების ვადა – გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღე (ზაკ მუხლი 34).

კოლექტიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული სხდომის (სხდომის დახურვის კანონიერების) შესახებ სასამართლოში სარჩელის წარდგენის ვადა – კოლექტიური საჯარო დაწესებულების სხდომის ჩატარებიდან ერთი თვე (ზაკ მუხლი 34).

კოლექტიური საჯარო დაწესებულების მიერ მომავალი სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ გამოცხადების ვადა – სხდომის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე. გადაუდებელი აუცილებლობისას კოლექტიური საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა დაუყოვნებლივ (ზაკ მუხლი 34).

კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის ვადა – 10 დღის განმავლობაში, საჯარო დაწესებულების მიერ, მისთვის ამგვარი ინფორმაციის წარდგენის დღიდან. თუ ინფორმაციის წარდგენისას საჯარო დაწესებულება არ მიიჩნევს ამ ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად, იგი იღებს გადაწყვეტილებას მისი ღიაობის თაობაზე, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, კანონმდებლობით დადგენილი პირობების გათვალისწინებით. საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ამ ვადების გასვლისთანავე (ზაკ მუხლი 27²).

კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის

შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მინოდების თაობაზე ბრძანების მოქმედების შეჩერების ვადა – ბრძანების გასაჩივრებიდან (სასკ მუხლი 21⁴⁷.8).

კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მინოდების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გაუქმების მიზნით (მათ შორის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის) საჩივრის შეტანის (ბრძანების გამომცემ სასამართლოში) ვადა – 48 საათი მხარისათვის ბრძანების ეგზეკუტორის გადაცემიდან (საჩივარი და საქმის მასალები დაუყოვნებლივ იგზავნება სააპელაციო სასამართლოში) (სასკ მუხლები: 21⁴⁷.9; 21⁵⁰.7).

კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მინოდების თაობაზე მოსამართლის ბრძანების ძალაში შესვლის ვადა – ბრძანების გასაჩივრების ვადის ამოწურვის მომენტიდან (სასკ მუხლი 21⁴⁷.8).

კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მინოდების თაობაზე (მათ შორის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის) რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ბრძანების გამოცემის ვადა – 14 დღე საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის წარდგენიდან (სასკ მუხლები: 21⁴⁷.1; 21⁵⁰.1).

კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მინოდების თაობაზე (მათ შორის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის) სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (სასკ მუხლები: 21⁴⁷.11; 21⁵⁰.9).

კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მინოდების თაობაზე (მათ შორის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის) სააპელაციო სასამართლოში საჩივრის განხილვის ვადა – 10 დღე საჩივრის შეტანიდან (სასკ მუხლები: 21⁴⁷.10; 21⁵⁰.8).

კომერციული და პროფესიული ინფორმაციის გასაიდუმლოების ვადა – კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა – უვადოდ (ზაკ მუხლი 31).

კომერციული საიდუმლოების ლიად გამოცხადების ვადა – იმ დროიდან, როდესაც მას აღარ ექნება ის ღირებულება, რომლის გამოც ასეთად იქნა მიჩნეული (ზაკ მუხლი 31).

კონფისკებული ან რეალიზებული საქონლის (საგნის) დაბრუნების ან მისი ღირებულების მოთხოვნისათვის არაინდენტიფიცირებული პირის ვინაობის დადგენის ვადა – არა უმეტეს 3 თვე (ასკ მუხლი 312¹.8).

კრედიტებისათვის გაცემული სახელმწიფო გარანტიების რეესტრის განახლების პერიოდი – იხ. სახელმწიფო კრედიტებისათვის გაცემული სახელმწიფო გარანტიების რეესტრის განახლების პერიოდი.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ან არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების კანონმდებლობით დადგენილი წესების, შესაბამისი პროექტის ან სხვა სანებართვო პირობების დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის წინა ჯარიმის ოდენობასთან შედარებით გასამმაგების ვადა – ყოველ 6 თვეში, დაჯარიმების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში (ასკ მუხლი 88).

ლ

ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების ან მის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების თავშესაფრის მაძიებლის მიზეზით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარებულად ჩათვლის ვადა – ჩაუბარებლობის შესახებ შეტყობინების შესაბამისი სამინისტროს მიერ მიღების დღიდან (სდმ მუხლი 43.3).

ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების ან მის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ თავშესაფრის მაძიებლისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების (ქართულ ენაზე და მისთვის გასაგებ ენაზე ნათარგმნი) გაგზავნის/გადაცემის ვადა – 3 სამუშაო დღე (სდმ მუხლი 43.2).

ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის მიერ

ბინადრობის მოწმობის თაობაზე უფლებამოსილ თანამდებობის პირთან დაკავშირების ვადა – არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე მოწმობის ვადის გასვლამდე. მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში – დაუყოვნებლივ (სდმ მუხლი 59).

ლტოლვილის სტატუსის მქონე პირზე გაცემული დროებითი ბინადრობის მოწმობისა და ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების ვადა – 3 წელი (სდმ მუხლი 58.2).

მ

მაგისტრატურაში უმაღლესი განათლების სახელმწიფოს მიერ დაფინანსების ვადა – კანონმდებლობით დადგენილი პირობების არსებობისას – 18 თვე ან 2 წელი (უგმ მუხლი 81.2³).

მამხილებლის განცხადების განმხილველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე მხილებულისთვის და მამხილებლისთვის შეტყობინების ვადა – 15 სამუშაო დღე გადაწყვეტილების მიღებიდან (სდიშკ მუხლი 20¹⁰.3).

მამხილებლის მიმართ შეჩერებული დისციპლინური წარმოების, ადამინისტრაციული, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის სამართალწარმოების განახლების ვადა – შესაბამისი განცხადების განმხილველი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ (სდიშკ მუხლი 20⁶.3).

მართვის უფლების შეჩერების ვადა – იხ. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების ვადა.

მართვის უფლების შეჩერების შესახებ დადგენილების აღსრულებულად ჩათვლის ვადა – იხ. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების შესახებ დადგენილების აღსრულებულად ჩათვლის ვადა.

მართვის უფლების შეჩერებული ვადის შემცირების საკითხის დაყენების ვადა – იხ. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერებული ვადის შემცირების საკითხის დაყენების ვადა.

მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზუ-

რი მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია და გადაზიდვისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა – 15 დღემდე (ასკ მუხლი 155²).

მარჩენალდაკარგულად ცნობის ზღვრული ასაკი – 18 წლის ასაკის მიღწევამდე, ერთ-ერთი ან ორივე გარდაცვლილი მშობლის შემთხვევაში (სოცდმ მუხლი 4).

მარჩენალის გარდაცვალების გამო ვადის დარღვევით შეტანილი განცხადების შემთხვევაში კომპენსაციის დანიშვნის ვადის ათვლა – განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან (სკსას მუხლი 27.3).

მარჩენალის გარდაცვალების გამო კომპენსაციის დანიშვნის ვადის ათვლა – მარჩენალის გარდაცვალების დღიდან, თუ განცხადება კომპეტენტურ ორგანოს წარედგინა მარჩენალის გარდაცვალებიდან 3 თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ – საჭირო დოკუმენტების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან (სკსას მუხლი 27.3).

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა – 1 სასწავლო წელი (უგმ მუხლი 47².3).

მერი – იხ. მუნიციპალიტეტის მერის ან ქალაქის მერის შესაბამისი განმარტება.

მერად არჩევის ასაკი – 25 წლიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც (ათკ მუხლი 49.2).

მერის არჩევის ვადა – 4 წელი (ათკ მუხლი 49.1).

მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ახალარჩეული მერის უფლებამოსილების ვადა – მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების პერიოდი (ათკ მუხლი 56.9).

მერისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურის ინიცირებისა და უნდობლობის გამოცხადება დაუშვებლობის პერიოდი – მერის არჩევიდან 6 თვის და მერის უფლებამოსილების ვადის ბოლო 1 წლის განმავლობაში (ათკ მუხლი 25.12).

მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ ინიციატივის მუ-

ნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენის ან მის წარდგენაზე უარის თქმის შესახებ საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადა – 15 დღე განცხადების რეგისტრაციიდან. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე უზრუნველყოფს ინიციატივის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას განცხადების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 20 დღისა. თუ ინიციატივისთვის შემდგომი მსვლელობის მიცემაზე საკრებულოს თავმჯდომარის უარი სასამართლომ არაკანონიერად ცნო, საკრებულო ინიციატივას განიხილავს სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში (ათკ მუხლი 51.8-9).

მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნევრთა ინიციატივის განხილვის ვადა – 10 დღე ინიციატივის წარდგენიდან (ათკ მუხლი 51.10).

მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ შექმნილი საინიციატივო ჯგუფის მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის მერის მიმართ უნდობლობის გამოცხადების შესახებ განცხადების წადგენის ვადა – განცხადების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 1 თვე (ათკ მუხლი 51.7).

მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ შექმნილი საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციაში გატარებაზე უარის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში გასაჩივრების ვადა – უარის მიღებიდან 2 დღე, სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს 5 დღის ვადაში. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება 2 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 5 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება (ათკ მუხლი 51.5).

მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ შექმნილი საინიციატივო ჯგუფისთვის რეგისტრაციის მოწმობის გადაცემის ვადა – რეგისტრაციაში გატარების შესახებ მიმართვიდან 3 სამუშაო დღე (ათკ მუხლი 51.4).

მესამე პირად ადმინისტრაციულ პროცესში ჩაბმის შესახებ სასამართლოს მიერ დაინტერესებული პირის შეტყობინების ვადა – იხ. სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ დაინტერესებული პირის შეტყობინების და საქმეში მესამე პირად ჩაბ-

მის ვადა.

მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს მიერ დანიშნული არასრულწლოვნის წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის (სასამართლოში დავის შემთხვევაში) პერიოდი – საქმის სასამართლოში განხილვის დრო (სასკ მუხლი 21¹².6; ქმოდა მუხლი 17.3).

მექანიზატორის მიერ ტრაქტორის, კომბაინის, სხვა თვითმავალი სასოფლო-სამეურნეო მანქანის ტექნიკური ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების უხეში დარღვევისათვის ამ მანქანის მართვის უფლების შეჩერების ვადა – 1 თვემდე (ასკ მუხლი 101).

მენარმე სუბიექტის წარმოშობილად, რეგისტრირებული მონაცემების შეცვლილად, რეგისტრაციის შეწყვეტილად ცნობის მომენტი – მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან (სრემ მუხლი 20¹.3).

მენარმის საქმიანობის შემონმებაზე მაკონტროლებელი ორგანოს მიერ სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე ამ მენარმისათვის შეტყობინებისა და მასალების გაგზავნის ვადა – არაუგვიანეს 24 საათი სასამართლოს მიერ შუამდგომლობის მიღებიდან (სასკ მუხლი 21³.2).

მენარმის საქმიანობის შემონმების ბრძანებაზე საჩივრის და საქმის მასალების სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნის ვადა – დაუყოვნებლივ სარჩელის შეტანიდან (სასკ მუხლი 21³.15).

მენარმის საქმიანობის შემონმების ვადის გაგრძელება – არაუმეტეს 15 დღე (როგორც გამონაკლისი დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე). თუ მენარმის წლიური ბრუნვა აღემატება 1 მილიონ ლარს, დამატებული 15 დღე კვლავ შეიძლება გაგრძელდეს დამატებით არაუმეტეს 40 დღით (სასკ მუხლი 21³.12).

მენარმის საქმიანობის შემონმების თაობაზე ბრძანების მოქმედების შეჩერების ვადა – ბრძანების გასაჩივრებისას (სასკ მუხლი 21³.14).

მენარმის საქმიანობის შემონმების თაობაზე დასაბუთებული ბრძა-

ნების გაუქმების მიზნით ბრძანების გამომცემ სასამართლოში საჩივრის შეტანის ვადა – 48 საათი მხარისათვის ბრძანების ასლის გადაცემიდან (სასკ მუხლი 21³.15).

მენარმის საქმიანობის შემონმების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გაუქმების მიზნით მენარმის (მისი წარმომადგენლის) მიერ ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოების საფუძველზე სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის ვადა – 3 დღე იმ დროიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა აღნიშნული გარემოება (სასკ მუხლი 21³.10).

მენარმის საქმიანობის შემონმების თაობაზე მოსამართლის ბრძანების სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა – 48 საათი (სასკ მუხლი 21³.14).

მენარმის საქმიანობის შემონმების თაობაზე მოსამართლის ბრძანების ძალაში შესვლის ვადა – გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ (სასკ მუხლი 21³.14).

მენარმის საქმიანობის შემონმების თაობაზე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (სასკ მუხლი 21³.18).

მენარმის საქმიანობის შემონმების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების მიღების ვადა – 72 საათი მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის წარდგენიდან (სასკ მუხლი 21³.1).

მენარმის საქმიანობის შემონმების თაობაზე სასამართლოს მიერ ოქმის შედგენისა და დასაბუთებული ბრძანების გაცემის ვადა – მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემონმების შემდეგ (სასკ მუხლი 21³.6).

მენარმის საქმიანობის შემონმების თაობაზე შუამდგომლობის წარმდგენი პირის მიერ ამ შუამდგომლობის უკან გამოთხოვის ვადა – 24 საათი შუამდგომლობის წარდგენიდან ან სასამართლო სხდომაზე განხილვისას მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე (სასკ მუხლი 21³.13).

მენარმის საქმიანობის შემონმების თაობაზე შუამდგომლობის

წარმდგენი პირის მიერ უკან გამოთხოვილი შუამდგომლობის იმავე საფუძვლით ხელმეორედ სასამართლოში წარდგენის ვადა – არ დაიშვება (სასკ მუხლი 21³.13).

მწარმის საქმიანობის შემონმების საკითხის განხილვისას მწარმის (მისი წარმომადგენლის) მიერ სასამართლოსათვის თავისი მოსაზრებების წარდგენის ვადა – 24 საათი შემონმების თაობაზე მისთვის შეტყობინებიდან და საქმის მასალების გადაცემიდან (სასკ მუხლი 21³.2).

მწარმის საქმიანობის შემონმების შესახებ მოსამართლის ბრძანების მოქმედებისა და მწარმის საქმიანობის შემონმების ვადა – არა უმეტეს 15 დღე (სასკ მუხლები: 21³.7; 21³.12).

მწარმის შემონმების დაწყების შემთხვევაში მაკონტროლებული ორგანოს მიერ შემონმების გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვის ვადა – 24 საათი, შეჩერების შეუძლებლობის ან სანარმოსათვის სავარაუდოდ მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების, ან მწარმის მოთხოვნის შემთხვევაში (სასკ მუხლი 21².2).

მწარმის შემონმების საკითხის ღია სასამართლო სხდომაზე განხილვის შესახებ მხარეთა შეტყობინების ვადა – არაუგვიანეს 48 საათი შუამდგომლობის სასამართლოში წარდგენიდან (სასკ მუხლი 21³.2).

მთავარი პროკურორის თანამდებობაზე გამწესებასთან დაკავშირებული პროცედურების დაწყება – მთავარი პროკურორის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 6 თვისა, ხოლო მთავარი პროკურორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – უფლებამოსილების შეწყვეტისთანავე (პრშ მუხლი 9).

მთავარი პროკურორის კანდიდატურაზე საქართველოს მთავრობის თანხმობის შემთხვევაში კანდიდატურის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის ვადა – დაუყოვნებლივ (პრშ მუხლი 9¹.4).

მთავარი პროკურორის კანდიდატურაზე საქართველოს მთავრობის მიერ თანხმობის ან უარის თქმის ვადა – 2 კვირა (პრშ მუხლი 9¹.3).

მთავარი პროკურორის კანდიდატურის თანხმობის მისაღებად

იუსტიციის მინისტრის მიერ საქართველოს მთავრობისათვის წარდგენის ვადა – დაუყოვნებლივ საპროკურორო საბჭოს მიერ დამტკიცებიდან (პრშ მუხლი 9^{1.3}).

მთავარი პროკურორის მიერ დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდის დადგენის მიზნით საგანგებო (ad hoc) პროკურორის მიერ დასკვნის მომზადებისა და საპროკურორო საბჭოსათვის წარდგენის ვადა – 2 თვე, მისი დანიშნვიდან. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს 2 თვით (საპროკურორო საბჭოს წევრთა უმრავლესობის თანხმობით) (პრშ მუხლი 9^{2.5}).

მთავარი პროკურორის მიერ საპროკურორო საბჭოსადმი პროკურატურის ორგანოთა საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის ვადა – ექვს თვეში ერთხელ მაინც, ხოლო საპროკურორო საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით – დაუყოვნებლივ (პრშ მუხლი 9).

მთავარი პროკურორის უფლებამოსილების ვადა – 6 წელი. ერთი და იგივე პირი მთავარ პროკურორად არ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ ორჯერ (პრშ მუხლი 9).

მთავარი პროკურორის უფლებამოსილების შეჩერების ვადა – საპროკურორო საბჭოს საგანგებო (ად ჰოც) პროკურორის დასკვნის დამტკიცებიდან ან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის არსებობიდან – საქართველოს პარლამენტის მიერ მისი თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე (პრშ მუხლი 9^{2.10}).

მთავარი პროკურორობის კანდიდატების შესარჩევად აკადემიურ წრეებთან, სამოქალაქო საზოგადოების წევრებთან და სამართლის დარგის სპეციალისტებთან კონსულტაციების დაწყებისა და მიმდინარეობის ვადა – იწყება არაუგვიანეს 6 თვისა მთავარი პროკურორის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, დაუყოვნებლივ – მთავარი პროკურორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში. კონსულტაციები მიმდინარეობს 1 თვის განმავლობაში (პრშ მუხლი 9^{1.1}).

მთავარი პროკურორობის სხვა კანდიდატების წარდგენის ვადა – 1 კვირა მთავარი პროკურორობის არჩევნების მეორე ტურში ვერცერთი კანდიდატის მიერ საპროკურორო საბჭოსგან სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის მხარდაჭერის მიუღებლობის დღიდან (პრშ მუხლი 9^{1.2}).

მიმდინარე თვის პენსიის გაცემის (მისი ადგილზე მიტანის) ვადა – არაუგვიანეს მომდევნო თვის დასრულებამდე (სახ.პენ. მუხლი 15).

მოკლევადიანი პერიოდი – იხ. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოქმედების ვადა.

მოკლევადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოქმედების ვადა – იხ. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოქმედების ვადა.

მოსამართლედ არჩევის (დანიშვნის) ასაკი – 30 წლის მიღწევიდან (სასა მუხლი 34.1).

მოსამართლედ დასანიშნად მოთხოვნილი სპეციალობით მუშაობის სტაჟი – არანაკლებ 5 წელი (სასა მუხლი 34.1).

მოსამართლეზე დაკისრებული დისციპლინური სახდელების გაქარწყლების ვადა – 6 თვის შემდეგ „შენიშვნის“ დაკისრებიდან, 9 თვის შემდეგ „საყვედურის“ დაკისრებიდან, 1 წლის შემდეგ „მკაცრი საყვედურის“ დაკისრებიდან, თუ მოსამართლე ამ ვადაში ახალ დისციპლინურ გადაცდომას არ ჩაიდენს (სასა მუხლი 75⁶.1).

მოსამართლეზე დისციპლინური პასუხისმგებლობის არდაკისრების ვადა – დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან – 5 წლის გასვლის შემდეგ, ხოლო დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან 1 წლის გასვლის შემდეგ (სასა მუხლი 75²).

მოსამართლეთა დისციპლინურ საქმეს დალუქული პაკეტის სახით დართული კერძო სარეკომენდაციო ბარათის ასლის გასხნის ვადა – მხოლოდ მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში სადისციპლინო კოლეგიაში განხილვის დროს (სასა მუხლი 75⁴⁴..3).

მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებაზე შეტანილ საჩივარზე უარის თქმის ვადა – საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე (სასა მუხლი 75⁵⁷..2).

მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გა-

დაცემის მომენტი – მხარისათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარება უშუალოდ სადისციპლინო კოლეგიაში ან მისი ფოსტის მეშვეობით გაგზავნა (სასა მუხლი 75⁵⁴.2).

მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა – 10 დღე მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. გასაჩივრების ვადის გაგრძელება არ დაიშვება (სასა მუხლი 75⁵⁴.2).

მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გაგრძელება – არ დაიშვება (სასა მუხლი 75⁵⁴.2).

მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის ვადა – გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ (სასა მუხლი 75⁶⁹.2).

მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარის მიერ დისციპლინური საქმის (მიღებულ საჩივრებთან ერთად) სადისციპლინო პალატისათვის გადაცემისა და ამის შესახებ მხარეთათვის შეტყობინების ვადა – 5 დღე დისციპლინური საქმის ერთ-ერთი ან ორივე მხარის საჩივრის მიღებიდან (სასა მუხლი 75⁵⁴.5).

მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური საქმის დროებითი შეჩერების ვადა – მხოლოდ საქმის არსებითი განხილვის დასრულებამდე, სადისციპლინო კოლეგიის სათათბირო ოთახში გასვლამდე (სასა მუხლი 75⁴³.2).

მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადა – საქმის არსებითი განხილვის დასრულებამდე, სადისციპლინო კოლეგიის სათათბირო ოთახში გასვლამდე (სასა მუხლი 75⁴².2).

მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ იმავე მოსამართლის მიმართ აღძრული სხვა დისციპლინური საქმის მიღებისას დისციპლინური საქმეების გაერთიანების მიზნით პირველი საქმის განხილვის დროებითი შეჩერების ვადა – დისციპლინური საქმეების ერთდროულად განხილვის დასრულებამდე. დროებითი შეჩერების ვადა საქმის განხილვის ორთვიან ვადაში არ ჩაითვლება (სასა მუხლი 75³⁷.1-3).

მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ მოსამართლის დისციპლინურ გადაცდომის ჩადენასთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღების ვადა – მხოლოდ დისციპლინური საქმის არსებითი განხილვის დასრულების შემდეგ (სასა მუხლი 75⁴¹.2).

მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ მოსამართლის (რომლის მიმართაც მიღებულ იქნა გადანყვეტილება), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სახელზე დისციპლინური საქმის შესახებ მიღებული გადანყვეტილების ასლების გაგზავნის ვადა – 5 დღე მისი მიღებიდან. ამავე ვადაში ეგზავნება საჩივრის ავტორს (სასა მუხლი 75⁵².1).

მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ მხარის სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე არ გამოცხადების გამო საქმის განხილვის გადადების ვადა – არაუმეტეს 2 კვირა. ეს ვადა არ ჩაითვლება დისციპლინური საქმის განხილვის 2-თვიან ვადაში (სასა მუხლი 75⁷⁵.1).

მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ საქმის განხილვის გადადების ვადა – არაუმეტეს 2 კვირა (სასა მუხლი 75³³.6).

მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობისა და განხილული დისციპლინური საქმეების შესახებ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის სტატისტიკური ინფორმაციის გაგზავნის ვადა – პერიოდულად (სასა მუხლი 75⁸⁰.1).

მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის სახელზე დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის მიერ დისციპლინური ბრალდების სრულად აღიარების და საქმის არსებითი განხილვის გარეშე მისი ბრალეულად ცნობისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის (სახდელის დაკისრების) შესახებ შუამდგომლობის წარდგენის ვადა – საქმის განხილვის დაწყებამდე (სასა მუხლი 75³⁶.2).

მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრად არჩევის ვადა – 2 წელი (სასა მუხლი 75¹⁹.1).

მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრად ასარჩევ მო-

სამართლის კონკურსში მონაწილეობისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის გამო შეზღუდვის ვადა – ბოლო 5 წლის განმავლობაში დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის არსებობის შემთხვევაში (სასა მუხლი 75¹⁹.5).

მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრად ასარჩევად იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქისათვის სპეციალობით მუშაობის გამოცდილების ვადა – არანაკლებ 10 წელი (სასა მუხლი 75¹⁹.2).

მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებების ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების ვადა – გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე (სასა მუხლი 75⁷³.1).

მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების დამოწმებული ასლების მხარეებისთვის ან/და ნებისმიერი პირისთვის გადაცემის ვადა – მხარეების ან/და ნებისმიერი პირის მოთხოვნის შემდეგ (სასა მუხლი 75⁷³.2).

მოსამართლეთა სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის ვადა – დაუყოვნებლივ (სასა მუხლი 75⁶⁹.2).

მოსამართლეთა სადისციპლინო პალატის მიერ სადისციპლინო საქმის განხილვის ვადა – 1 თვე საჩივრის წარმოებაში მიღებიდან. ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ეს ვადა შეიძლება გააგრძელოს 1 თვით (სასა მუხლი 75⁵⁸.1).

მოსამართლეთა სადისციპლინო პალატის მიერ საქმის ზეპირი განხილვის დროის განსაზღვრის შესახებ მხარეებისთვის შეტყობინების ვადა – 3 დღე საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ განჩინების მიღებიდან (სასა მუხლი 75⁵⁸.2).

მოსამართლეთა სადისციპლინო პალატის მიერ საჩივრის დასაშვებობისა და წარმოებაში მიღების შემოწმების ვადა – 10 დღე საჩივრის შემოსვლიდან (სასა მუხლი 75⁵⁶.1).

მოსამართლეთა სადისციპლინო პალატის მიერ საჩივრის შემტანი პირისთვის ხარვეზის შესავსებად დანიშნული ვადა – არა უმეტეს 10 დღე (სასა მუხლი 75⁵⁶.2).

მოსამართლეთა სადისციპლინო საქმეზე მოწინააღმდეგე მხარის მიერ საჩივარზე წერილობითი პასუხის გაცემის ვადა – ნიშნავს სადისციპლინო პალატა (სასა მუხლი 75⁵⁶.4).

მოსამართლეობის კანდიდატად მიჩნევის ვადის ათვლა – სამოსამართლო კონკურსში მონაწილეობისათვის, კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობის შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შესაბამისი განცხადების წარდგენის შემდეგ (სასა მუხლი 35.2).

მოსამართლეობის კანდიდატთა განცხადებებსა და თანდართული დოკუმენტების საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხილვის ვადა – 5 სამუშაო დღე. განხილვის დასრულებისთანავე მოსამართლეობის კანდიდატთა მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ქვეყნდება საბჭოს ვებგვერდზე (სასა მუხლი 35.8).

მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაციისათვის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განცხადებების წარდგენისთვის დადგენილი ვადა – არანაკლებ 15 კალენდარული დღე. სამოსამართლო კონკურსი ტარდება ამ ვადის გასვლის შემდეგ (სასა მუხლი 35.3).

მოსამართლეობის კანდიდატთა გასაუბრების ვადა – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ კანდიდატის შესახებ ინფორმაციის წარდგენიდან 1 თვის ვადაში ამ ინფორმაციისა და სხვა დოკუმენტების შესწავლის დასრულების შემდეგ (სასა მუხლი 35².13).

მოსამართლეობის კანდიდატის მიერ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვადა – 7 დღე საქართველოს რაიონულ (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მიზნით განცხადების წარდგენიდან (სდიშკ მუხლი 14.5¹).

მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის დალუქული ფორმით შენახვის ვადა – არანაკლებ 3 წელი (სასა მუხლი 35².12).

მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის წარდგენის ვადა – ინფორმაციის მოძიების დაწყებიდან არაუგვიანეს 1 თვე (სასა მუხლი 35.9).

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფურცლებში შეტანილი ინფორმაციის შეფასების ვადა – 3 სამუშაო დღის განმავლობაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ (სასა მუხლი 35.11).

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფურცლის (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრების მიერ) შევსების ვადა – 5 სამუშაო დღე გასაუბრების დასრულებიდან (სასა მუხლი 35.10).

მოსამართლეობის კანდიდატისთვის თავის შესახებ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვადა – არანაკლებ 5 სამუშაო დღე მოსამართლეობის კანდიდატთან გასაუბრების ჩატარებამდე (სასა მუხლი 35².10).

მოსამართლეობის კანდიდატისთვის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების ან გამწესებაზე უარის თქმის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გადაცემის ვადა – არაუგვიანეს მე-5 სამუშაო დღე გადაწყვეტილების მიღებიდან (სასა მუხლი 35.14).

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების ძალის დაკარგვის ვადა – 10 წელი, თუ ამ ვადაში მოსამართლეობის მსურველი მოსამართლის გამოცდის ჩაბარების შემდეგ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში არ ჩაირიცხა ან მოსამართლის თანამდებობაზე არ აირჩა (სასა მუხლი 53.4).

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისათვის მინიმალური ასაკი – 25 წლის მიღწევა (სასა მუხლი 53.1).

მოსამართლესთან აკრძალული ფორმით კომუნიკაციის გამო დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა – 1 თვე შესაბამისი თანამდებობის პირის ან უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების გაცნობიდან (სასკ 22.3).

მოსამართლესთან აკრძალული ფორმით კომუნიკაციის თაობაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე უარის თქმის შესახებ გადანყვეტილების გასაჩივრების ვადა – 1 თვე გადანყვეტილების გაცნობიდან (სასკ 22.3).

მოსამართლესთან აკრძალული ფორმით კომუნიკაციის ფაქტის განხილვის ვადა – უფლებამოსილი მოსამართლის მიერ მიღებიდან 14 დღე; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ მიღებიდან 1 თვე (სასა მუხლი 72⁸.1;3;6).

მოსამართლესთან აკრძალული ფორმით კომუნიკაციის ფაქტის თაობაზე დაჯარიმების განკარგულების გასაჩივრების ვადა – 3 დღე, ერთჯერადად. საჩივარი განიხილება 7 დღის ვადაში. საჩივრის განხილვის შედეგად გამოტანილი დადგენილება არ გასაჩივრდება (სასა მუხლი 72¹⁰).

მოსამართლესთან აკრძალული ფორმით კომუნიკაციის ფაქტის თაობაზე დაჯარიმების განკარგულების საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნისათვის მოწოდების ვადა – დაუყოვნებლივ (სასა მუხლი 72¹¹.1).

მოსამართლესთან აკრძალული ფორმით კომუნიკაციის ფაქტის თაობაზე საჯარო სამსახურის თანამდებობის პირის მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის წარდგინების განხილვის ვადა – მიღებიდან 1 თვე (სასა მუხლი 72⁹.5).

მოსამართლესთან კომუნიკაციის დაუშვებლობის ვადა – საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან ამ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სტადიაზე, როცისის მონაწილის, დაინტერესებული პირის, საჯარო მოსამსახურის, სახელმწიფო მოსამსახურის, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისა და პოლიტიკური თანამდებობის იმ პირის მიერ, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან ან/და საქმის სავარაუდო შედეგთან და არღვევს სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპებს (სასა მუხლი 72¹.1).

მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიმცემი ორგანოს

მიერ მოსამართლისათვის წაყენებული დისციპლინური ბრალდების მოხსნის ვადა – დისციპლინური საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე (სადისციპლონო კოლეგიის სათათბირო ოთახში გასვლამდე) (სასამუხლი 75³⁶.1).

მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების მიღების ვადა – დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების შემდეგ (მდპ მუხლი 15.1).

მოსამართლის დისციპლინური საქმის შენახვის ვადა – 10 წელი (სასამუხლი 75³⁹.3).

მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების ვადა – იხ. მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაციისათვის საქართველოს.

მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა – 2 კვირა მოსამართლეობის კანდიდატისათვის გადაწყვეტილების გადაცემიდან. საჩივარი წარედგინება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელიც მიღებულ საჩივარს თანდართულ მასალებთან ერთად 3 დღის ვადაში გადასცემს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატას (სასამუხლი 35⁴.2).

მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების ვადა – იხ. სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების ვადა.

მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატის კონკურსის საფუძველზე ვერშერჩევის შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ახალი კონკურსის გამოცხადების ვადა – 3 თვე კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან (სასამუხლი 35.15).

მოსამართლის თანამდებობაზე სამი წლის ვადით გამწესებული მოსამართლის საქმიანობის შეფასების მიზნით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კენჭიყრით არჩეული შემფასებლების ანგარიშების საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

წევრებისათვის შესასწავლად გადაცემის ვადა – 2 თვით ადრე (მოსამართლის თანამდებობაზე 3-წლიანი ვადის გასვლამდე) (სასა მუხლი 36.4⁴).

მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის განხილვის (საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ) ვადა – 1 თვე წარმოებაში მიღებიდან (სასა მუხლი 36⁵.9).

მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის (თანდართულ მასალებთან ერთად) საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატისათვის გადაცემის (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ) ვადა – 3 დღე საჩივრის შეტანიდან (სასა მუხლი 36⁵.2).

მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ დასაშვებობის შემოწმების ვადა – 5 დღე საჩივრის შეტანიდან (სასა მუხლი 36⁵.7).

მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში, კანონმდებლობით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევაში, გასაჩივრების მიზნით საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საჩივრის შეტანის ვადა – 2 კვირა შესაბამისი გადაწყვეტილების მოსამართლისათვის გადაცემიდან (სასა მუხლი 36⁵.2).

მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის ხარვეზის შევსების ვადა – 5 დღე (სასა მუხლი 36⁵.7).

მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო

პალატაში შეტანილი საჩივრის ზეპირი განხილვის დროის თაობაზე მხარეთა შეტყობინების ვადა – 3 დღე შესაბამისი განჩინების მიღებიდან (სასა მუხლი 36⁵.9).

მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში შეტანილი საჩივრის მონინალმდევე მხარისათვის წერილობითი პასუხის გასაცემი ვადა – ადგენს სასამართლო (სასა მუხლი 36⁵.8).

მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების საკითხზე უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (სასა მუხლი 36⁶.23).

მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების საკითხის განხილვაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტის უცვლელად დატოვებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (სასა მუხლი 36⁴.16).

მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების საკითხის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხილვაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადა – 1 კვირა მოსამართლისთვის ამ აქტის გადაცემიდან (სასა მუხლი 36⁴.13).

მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადა – არაუადრეს 2 და არაუგვიანეს 1 თვისა გამწესების ვადის გასვლამდე, მოსამართლის საქმიანობის შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე (სასა მუხლი 36.4).

მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში თანამდებობაზე გამწესების ვადა – უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე (სასა მუხლი 36.4²).

მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების ვადა – 10 დღე იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შესახებ კანონიერ ძალაში შესული სადისციპლინო კოლეგიის ან სადისციპლინო პალატის გადაწყვე-

ტილების და შესაბამისი წარდგინების მიღებიდან (სასა მუხლი 75⁷².2).

მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლად მიჩნეული მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განუხორციელებლობის ვადა – 4 თვეზე მეტი ბოლო 12 თვის განმავლობაში (სასა მუხლი 43.3).

მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ კანონიერ ძალაში შესული სადისციპლინო კოლეგიის ან სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებისა და შესაბამისი წარდგინების საფუძველზე მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების (საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ) ვადა – 10 დღე სადისციპლინო კოლეგიის ან სადისციპლინო პალატის წარდგინების მიღებიდან (მდპ მუხლი 80.2).

მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისაგან გასანთავისუფლებლად კონკურსის წესით გამწესებული ყოფილი მოსამართლის მოსამართლედ მუშაობის გამოცდილების ვადა – არანაკლებ 18 თვე (სასა მუხლი 34.3).

მოსამართლის თანამდებობრივი დანიშნულების უფლების შეზღუდვის ვადა – დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის პერიოდში ან დაკისრებული დისციპლინური სახდელის გაქარწყლებამდე (სასა მუხლი 75⁷⁷.1).

მოსამართლის თანაშემწედ დასანიშნად მოთხოვნილი მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად, ადვოკატად ან სასამართლოში სპეციალობით მუშაობის სტაჟი – 1 წელი (სასა მუხლი 79².2).

მოსამართლის თანხმობით მისი სხვა სასამართლოში მივლინების ვადა – 1 წლამდე. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 1 წლით. რეზერვში ჩარიცხული მოსამართლე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების (მოსამართლის არყოფნა, საქმეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა) აღმოფხვრამდე (სასა მუხლი 37¹.2; 37¹.5).

მოსამართლის თანხმობის გარეშე სხვა სასამართლოში მისი მივლინების ვადა – 1 წლამდე. თანხმობის გარეშე ასეთი მივლინება შეიძლება 10 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ (სასა მუხლი 37¹.4).

მოსამართლის მიერ სხვა სასამართლოში მივლინების შესახებ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შეთავაზებაზე თანხმობის ან უარის თქმის ვადა – 7 დღე, მოქმედი ან რეზერვში ჩარიცხული მოსამართლისთვის წინადადების მიღებიდან (სასა მუხლი 37¹.1).

მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ დამოუკიდებელი ინსპექტორისათვის დამატებითი გამოკვლევის გაგრძელების ვადა – 2 თვე. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია (მდბ მუხლი 15.2).

მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ მიღებული საჩივრის, განცხადების ან სხვა ინფორმაციის მიღების შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების ვადა – 2 თვე მათი მიღებიდან. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს 2 კვირით ან შეჩერდეს წინასწარი შემოწმების შეუძლებლობის შემთხვევაში (მდბ მუხლი 8.1).

მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივრის, განცხადების ან სხვა ინფორმაციის მიღების თაობაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შესაბამისი მოსამართლის ინფორმირების (შეტყობინების, ცნობის) ვადა – დაუყოვნებლივ (მდბ მუხლი 6.3).

მოსამართლის მიერ მასთან აკრძალული ფორმით კომუნიკაციის შესახებ უფლებამოსილი მოსამართლისთვის (იუსტიციის საბჭოსთვის) წერილობითი შეტყობინების ვადა – დაუყოვნებლივ (სასა მუხლი 72².1).

მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების და მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების საჩივრის (განცხადების/შეტყობინების) ავტორისთვის გადაცემის ვადა – 5 დღე გადაწყვეტილება მიღებიდან (სასა მუხლი 75⁴.3).

მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მოსამართლის გარდა საჩივრის (განცხადების/შეტყობინების) ავტორისთვის (თუ საერთო სასამართლოში აღარ

განიხილება ის საქმე, რომელთან დაკავშირებითაც განხორციელდა დისციპლინური სამართალწარმოება) გაგზავნის ვადა – გადანწყვეტილების მიღებიდან 5 დღე (მდპ მუხლი 5.3).

მოსამართლის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების – კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის მიუხედავად მისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების ვადა – 6 თვე კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვიდან, თუ ამ ვადაში მოსამართლე ჩაიდენს იმავე სახის დისციპლინურ გადაცდომას (სასა მუხლი 75⁴⁷.4).

მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის, შეჩერების ან განახლების შესახებ გადაწყვეტილების საჩივრის (განცხადების) ავტორის და შესაბამისი მოსამართლისათვის გაგზავნის ვადა – 5 დღე გადანწყვეტილება მიღებიდან (სასა მუხლი 75⁴.2).

მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის, შეჩერების ან განახლების შესახებ გადაწყვეტილების საჩივრის (განცხადების) ავტორისათვის და შესაბამისი მოსამართლისთვის გაგზავნის ვადა – გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღე (მდპ მუხლი 5.2).

მოსამართლის მიმართ დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასასრულებლად დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის დამატებითი გამოკვლევის ჩატარების ვადა – 2 თვე. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია (სასა მუხლი 75¹³.2).

მოსამართლის მიმართ დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების ვადა – მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვე. აუცილებლობის შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 კვირით (სასა მუხლი 75¹⁰.1).

მოსამართლის მიმართ დისციპლინური საქმის განხილვის ვადა – არაუგვიანეს 2 თვე სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური საქმის განსახილველად მიღებიდან (სასა მუხლი 75²⁵).

მოსამართლის მიმართ დისციპლინური საქმის მიღებისას სადისციპლინო კოლეგიის მიერ მოსამართლის დისციპლინურ პასუხის-

გებაში მიცემის საფუძვლად დანაშაულის ნიშნების არსებობის შემოწმების ვადა – საქმის განხილვის დაწყებამდე (სასა მუხლი 75³¹.1).

მოსამართლის მიმართ დისციპლინური საქმის მიღებისას სადისციპლინო კოლეგიის მიერ მოსამართლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ვადის შესაძლო ამოწურვის შემოწმების ვადა – საქმის განხილვის დაწყებამდე. თუ მოსამართლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ვადა ამოწურულია, სადისციპლინო კოლეგია დაუყოვნებლივ იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა (სასა მუხლი 75³⁰).

მოსამართლის მიმართ დისციპლინური საქმის წარმოების შეჩერების პერიოდის ვადაში ჩათვლა – არ ჩაითვლება დისციპლინური საქმის გამოკვლევისათვის დადგენილ და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ერთწლიან ვადაში, მაგრამ გათვალისწინებული იქნება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის დადგენილ 5-წლიან ვადაში (სასა მუხლი 75¹¹.2).

მოსამართლის მონაწილეობით დაწყებული საქმის განხილვის დამთავრებამდე კანონით დადგენილი ასაკის მიღწევისას ან თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით მოსამართლის უფლებამოსილების გაგრძელების ვადა – აღნიშნულ საქმეზე ამ მოსამართლის ან იმ სასამართლო კოლეგიის ან პალატის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, რომლის შემადგენლობაშიც ის არის (სასა მუხლი 36.5).

მოსამართლის (რომლის შესახებაც არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ) სამოსამართლო უფლებამოსილების შეწყვეტის ვადა – მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის 3 წლის გასვლის შემდეგ. მასვე ეკრძალება მომდევნო 3 წლის განმავლობაში მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღება (სასა მუხლი 36.4³).

მოსამართლის სააპელაციო სასამართლოში დასანიშნად რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში სამოსამართლო უფლებამოსილების

განხორციელების მინიმალური ვადა – 5 წელი (სასა მუხლი 41).

მოსამართლის სასამართლო საქმეთა განხილვისაგან და სხვა თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განხორციელებისაგან ჩამოცილების ვადა – საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების (მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ან თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე) მიღების მომენტიდან საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე. ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე (სასა მუხლი 45).

მოსამართლის სასამართლო საქმეთა განხილვისაგან და სხვა თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განხორციელებისაგან ჩამოცილების შემთხვევებში მოსამართლის მიმართ ხელფასისა და სხვა მატერიალური შეღავათების გაცემის შეჩერების ვადა – საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე (სასა მუხლი 45.4).

მოსამართლის სასამართლო საქმის განხილვისაგან და სხვა თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებისაგან ჩამოცილების დრო – სადისციპლინო კოლეგიის მიერ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან (სასა მუხლი 75⁵⁰.3).

მოსამართლის საქმიანობის შემფასებლის მიერ კანონით განსაზღვრული კრიტერიუმებით მოსამართლის შესაფასებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების ვადა – შეფასებისთვის განკუთვნილი 2-თვიანი ვადის ნებისმიერი დრო (სასა მუხლი 36⁴.2).

მოსამართლის სხვა სასამართლოში გამწესების შემთხვევაში მის წარმოებაში არსებული საქმის განხილვისაგან ჩამოცილების ვადა – ახალ თანამდებობაზე მისი სამოსამართლო უფლებამოსილების დანყებიდან (სასა მუხლი 36.6).

მოსამართლის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა – 24 სამუშაო დღე (სასა მუხლი 68.6; სსმ მუხლი 62).

მოსამართლის შეფასების თაობაზე მონაცემების კონფიდენციალურობის ვადა – მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის 3-წლიანი ვადის გასვლამდე (სასა მუხლი 36⁴.11).

მოსამართლისთვის დისციპლინური სახდელის მოხსნა შესაბამისი ვადის გასვლამდე – არ დაიშვება (სასა მუხლი 75⁷⁶.3).

მოსამართლისთვის კანონით დადგენილი ასაკის მიღწევისას ან თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლისას სასამართლოს თავმჯდომარის, სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის ან რომელიმე ასეთი თანამდებობის პირის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების შეწყვეტის ვადა – კანონით გათვალისწინებული ასაკის მიღწევის ან თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლის შემდეგ, მოსამართლეობის უფლებამოსილების გაგრძელების მიუხედავად (სასა მუხლი 36.5).

მოსამართლისთვის საქმიანობის შეფასების პროცედურის, ცალკეული კრიტერიუმებით შეფასებისა და მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროისათვის გასათვალისწინებელი გარემოებების თაობაზე შეტყობინების ვადა – მოსამართლის თანამდებობაზე მისი ყოფნის 3-წლიანი ვადის დაწყებისთანავე (სასა მუხლი 36¹.3).

მოსწავლესთან კონტაქტის დამყარების შესახებ პოლიციის თანამშრომლის ან სხვა საჯარო მოსამსახურის მიერ სკოლისთვის კონტაქტის მიზნის სეტყობინების (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, გადაუდებელი აუცილებლობისას) ვადა – მოსწავლესთან კონტაქტის დამყარებამდე. სტრუქტურის შესახებ სკოლა დაუყოვნებლივ აცნობებს მოსწავლის მშობელს, გარდა მშობლის მიერ ბავშვის უფლების ხელყოფის შემთხვევისა (ზგმ მუხლი 19.13).

მოსწავლის განცალკევების განხორციელების დაწყების ვადა – მოსწავლის მშობლის ან მოსწავლის მშობლის მიერ განსაზღვრული პირის სკოლაში გამოცხადებამდე (ზგმ მუხლი 20.13).

მოსწავლის ზოგადი განათლების სისტემის მიღმა დტოვების დაუშვებლობის ვადა – საბაზო საფეხურის მიღწევის დონის დაძლევამდე (ზგმ მუხლი 6.4).

მოსწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების სახელმწიფო დაფინანსების გაგრძელების ვადა – მოსწავლის მიერ საბაზო საფეხურის მიღწევის დონის დაძლევამდე. თუ მოსწავლემ 3 წლის განმავლობაში ვერ დაძლია ზოგადი განათლების

საშუალო საფეხური, მისი მიმართვის საფუძველზე სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია მიმართოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დაფინანსების გახანგრძლივების თხოვნით (ზგმ მუხლი 23).

მოსწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების სახელმწიფო დაფინანსების ხანგრძლივობა – 12 წელი (ზგმ მუხლი 22.1).

**მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) ან საარჩევნო სუბიექტის საფინანსო დეკლარაციის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შესაბამის ვებგვერდზე გამოქვეყნების ვადა – 5 სა-
მუშაო დღე დეკლარაციის მიღებიდან (მპგმ მუხლი 32.3).**

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) აღმასრულებელი ორგანოს – გამგეობისა და სარევიზიო ორგანოს – სარევიზიო კომისიის არჩევის ვადა – განსაზღვრეს პარტიის წესდება (მპგმ მუხლი 18-19).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) და განცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირის საარჩევნო შეზღუდვების გაუქმების ვადა – არჩევნების შედეგების შეჯამების დღე (მპგმ მუხლი 26¹.7).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) დამფუძნებელი ყრილობის ჩატარების შემდგომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის საბუთების წარდგენის ვადა – 1 კვირა (მპგმ მუხლი 22.2).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) თითოეული წევრის მიერ განხორციელებული საწევრო შენატანების (არაუმეტეს 1200 ლარის) პერიოდულობა – 1 წლის მანძილზე (მპგმ მუხლი 27.1).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) უკვე რეგისტრირებული ან ლიკვიდირებული პარტიის სახელწოდებასთან, მის შემოკლებულ დასახელებასთან და სიმბოლიკასთან დამთხვევის აკრძლვის ვადა – პარტიის ლიკვიდაციის დღიდან 4 წლის გასვლამდე (მპგმ მუხლი 14).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) (თუ ეს პარ-

ტია არჩევნებში მონაწილეობს დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში) მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ფინანსურ ანგარიშის წარდგენის ვადა – არჩევნების დანიშვნის დღიდან სამ კვირაში ერთხელ (მპგმ მუხლი 32¹).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) მიერ თავისი საქმიანობის ფინანსური აუდიტის ჩატარების პერიოდულობა – ყოველწლიურად (მპგმ მუხლი 33.1).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) მიერ კანონმდებლობის დარღვევით მიღებული შემონირულოს ან სანევრო შენატანის შემომწირველისთვის/სანევრო შენატანის განმახორციელებელისთვის დაბრუნების ვადა – ანგარიშზე ჩარიცხვიდან 5 სამუშაო დღე. წინააღმდეგ შემთხვევაში თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში. თუ პარტიამ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა შემონირულების უკანონობის შესახებ, თანხის დაბრუნების ვალდებულება წარმოიშობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოთხოვნის მომენტიდან (მპგმ მუხლი 27¹. 1).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) მიერ რეგისტრაციაზე უარის თქმის გადანყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების ვადა – 1 თვე (მპგმ მუხლი 23.6).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) მიერ საბიუჯეტო დაფინანსების მიიღებასთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურისადმი წინასწარი წერილობითი თანხმობით მიმართვის ვადა – ყოველწლიურად, არა უგვიანეს 25 ნოემბრისა (მპგმ მუხლი 30.11).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) მიერ საფინანსო დეკლარაციის სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის წარუდგენლობის შემთხვევაში ხარვეზის აღმოფხვრის დამატებითი და პარტიის დაფინანსების შეჩერების ვადა – ხარვეზისთვის 5 დღე. თუ ამ 5 დღის გასვლის შემდეგაც არ იქნება წარდგენილი საფინანსო დეკლარაცია, მაშინ პარტია კარგავს სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლებას მომდევნო 1 წლის განმავლობაში (მპგმ მუხლი 34).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) მიერ საფი-

ნანსო დეკლარაციის შენახვის ვადა – 6 წელი (მპგმ მუხლი 32.6).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) მიერ საქართველოს კომერციული ბანკისაგან კრედიტის (ერთი მილიონი ლარის) აღების პერიოდულობა – კალენდარული წელი (მპგმ მუხლი 25.5).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) მიერ ფიზიკური პირისაგან 60 000 ლარამდე, ხოლო იურიდიული პირისაგან 120 000 ლარამდე მისაღები შემოსირულობების პერიოდულობა – წელიწადში ერთჯერ (მპგმ მუხლი 27.1).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) მიერ შემოსირულების მიღების, სანწევრო შენატანის განხორციელების შესახებ ინფორმაციის სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის წარდგენის ვადა – 5 სამუშაო დღე (მპგმ მუხლი 27¹.1).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) მიერ წესდებაში ან/და სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შეტანის შემთხვევაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის ვადა – 10 დღე ცვლილებების შეტანიდან (მპგმ მუხლი 24.1).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) რეგისტრაციაზე უარის თქმის განმცხადებლისთვის შეტყობინების ვადა – 7 დღე გადაწყვეტილების მიღებიდან (მპგმ მუხლი 23.5).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) რეგისტრაციისათვის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ წარდგენილი დოკუმენტების სისწორის შემოწმებისა და პარტიის რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტის ვადა – 1 თვე დოკუმენტების წარდგენიდან. რეგისტრაციის შემთხვევაში სარეგისტრაციო მონაშობა გაიცემა გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში (მპგმ მუხლი 23).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) სარეგისტრაციო მონაშობის გაცემის ვადა – რეგისტრაციის შემდეგ ან რეგისტრაციაზე უარის თქმის 7 დღეში შეუტყობინებლობის შემთხვევაში – მომდევნო 7 დღის ვადაში (მპგმ მუხლი 23.8).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) საფინანსო

საქმიანობაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირის მიერ საჯარო ღონისძიებების მეშვეობით მიღებული შემოწირულებების პარტიის ანგარიშზე გადარიცხვის ვადა – 7 დღე (მპგმ მუხლი 26.5).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების უფლების წარმოშობის ვადა – საქართველოს ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის გამართვის მომდევნო დღიდან, აგრეთვე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების საერთო არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ყველა ოქმის გამოქვეყნების მომდევნო დღიდან (მპგმ მუხლი 30.1).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს – პარტიის წევრთა ყრილობის მონვევის პერიოდულობა – პარტიის წესდების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ 4 წელიწადში ერთხელ (მპგმ მუხლი 17).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) ქვედანაყოფის საქმიანობის (თუ ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე) შესახებ დებულების და პარტიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ხელმოწერის (ხელმოწერების) ნოტარიულად დამოწმებული ნიმუშების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთვის გაცეზავნის ვადა – 1 თვე (მპგმ მუხლი 21.3).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) ქვედანაყოფის საქმიანობის (ხორციელდება საქართველოს რომელიმე ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებში) შესახებ დებულების და პარტიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ხელმოწერის (ხელმოწერების) ნოტარიულად დამოწმებული ნიმუშების შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთვის გაცეზავნის ვადა – 1 თვე (მპგმ მუხლი 21.4).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) ქონებაზე და ანგარიშებზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საკითხის სასამართლოს მიერ განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა – ყადაღა დაიდება დაკავშირებით ყადაღის დადების საკითხს განიხილავს და მის თაობაზე გადაწყვეტილებას ამოქმედების ვადა – ყადაღა დაიდება არაუგვიანეს 48 საათისა მასალების წარდგენიდან. სასამართლოს

გადანყვეტილება ერთჯერადად საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში გადანყვეტილების ჩაბარებიდან 48 საათის განმავლობაში. გასაჩივრება არ აჩერებს ყადაღის მოქმედებას. სააპელაციო სასამართლო გადანყვეტილებას იღებს საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს 48 საათისა. ეს გადანყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. სასამართლო ვალდებულია დასაბუთებული გადანყვეტილება და საქმის მასალები მხარეს გადასცეს გადანყვეტილების მიღების მომდევნო დღის არაუგვიანეს 12 საათისა (მპკმ მუხლი 34².15).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) ქონებაზე და ანგარიშებზე ყადაღის დადებისა და ამოქმედების ვადა – ყადაღა დაიდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენასთან ერთად, ყადაღა ამოქმედდება დაუყოვნებლივ და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმთან ერთად დასადასტურებლად წარედგინება სასამართლოს (მპკმ მუხლი 34².12).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) შემონიშნულობებთან/საწევრო შენატანებთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის დადასტურების საკითხის სასამართლოს მიერ განხილვისა და გადანყვეტილების მიღების ვადა – 15 დღე მასალების მიღებიდან. სასამართლოს გადანყვეტილება ერთჯერადად საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში გადანყვეტილების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლო გადანყვეტილებას იღებს საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს 15 დღისა. ეს გადანყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება (მპკმ მუხლი 34².13).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) შემონიშნულობებთან/საწევრო შენატანებთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის დადასტურების საკითხის წინასაარჩევნო პერიოდში სასამართლოს მიერ განხილვისა და გადანყვეტილების მიღების ვადა – 5 კალენდარული დღე მასალების წარდგენიდან. სასამართლოს გადანყვეტილება ერთჯერადად საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში გადანყვეტილების ჩაბარებიდან 72 საათის განმავლობაში. სააპელაციო სასამართლო გადანყვეტილებას იღებს საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს 15 დღისა. ეს გადანყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. სასამართლო

დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და საქმის მასალებს მხარეს გადასცემს გადაწყვეტილების მიღების მომდევნო დღის არაუგვიანეს 12 საათისა (მპგმ მუხლი 34².14).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) შემოწირულობებთან/სანევრო შენატანებთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოსთვის განსახივრელად გადაგზავნის ვადა – დაუყოვნებლივ, სახელმწიფო აუდიტის უფლებამოსილი პირის მიერ (მპგმ მუხლი 34².11).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) შემოწირულობების/სანევრო შენატანების უკანონო მიღებისთვის ან დამალვისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების ვადა – 6 წელი (მპგმ მუხლი 34².10).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებისთვის (პარტიისთვის) ანონიმური შემოწირულობის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის ვადა – დაუყოვნებლივ, პარტიის საფინანსო საქმიანობაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირის მიერ (მპგმ მუხლი 26.3).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებისთვის (პარტიისთვის) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოიყოფილი სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მაუწყებლისთვის ანაზღაურების ვადა – 10 სამუშაო დღე დოკუმენტების წარდგენიდან (მპგმ მუხლი 31.6).

მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოში ყოფნის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩათვლის ვადა – იხ. უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოში ყოფნის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩათვლის ვადა.

მოქალაქისათვის მინიჭებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერება – იხ. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების ვადა.

მოქმედი მოსამართლისათვის (10 წლის ვადით დანიშნულის) თანამ-

დებობაზე უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შემთხვევაში, უფლებამოსილების განხორციელების გაგრძელების ხანგრძლივობა – სამოსამართლო უფლებამოსილების დარჩენილი ვადის ფარგლებში (სასა მუხლი 36.4¹).

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მეორე მხარისათვის ინფორმაციის მიწოდების (რეგისტრაციის მოთხოვნით განცხადების წარმომდგენი კრედიტორის (მოვალის) მიერ) ვადა – ერთი კვირა შესაბამისი რეგისტრაციიდან (სრემ მუხლი 18).

მოძრავი ნივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას პრივატიზების განმახორციელებელ ორგანოსა და მყიდველს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ვადა – 45 კალენდარული დღე აუქციონის ჩატარებიდან, ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას – 3 თვე შესაბამისი აქტის მიღებიდან (სახ.ქონ. მუხლი 31.3).

მონვეული პირის პოლიციაში ყოფნის ხანგრძლივობა – სრულწლოვანისთვის არაუმეტეს 4 საათი, არასრულწლოვნისთვის – არაუმეტეს 2 საათი (პოლშ მუხლი 21).

მსჯავრდებული – ზოგიერთ შემთხვევაში იხ. ბრალდებულის შესაბამისი განმარტება.

მსჯავრდებულის მიერ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ჩადენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ზოგიერთი დისციპლინური დარღვევისათვის შეფარდებული დისციპლინური პატიმრობის ვადა – არა უმეტეს 60 დღე-ღამე (პატ.კ. მუხლი 90.1¹).

მსჯავრდებულის მიერ დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადაში განმეორებით დისციპლინური დარღვევის ჩადენისას დისციპლინური პატიმრობის შეფარდების ვადა – არაუმეტეს 30 დღე-ღამე, გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა (პატ.კ. მუხლი 90.1).

მსჯავრდებულის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით სარგებლობის (შესაბამისი

პირობების დაკმაყოფილებისას) ვადა – ნელინადში ორჯერ (ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია დამატებით კიდევ ორჯერ). ორსულ ქალს და 3 წლამდე ბავშვის დედას – ნელინადში სამჯერ. გასვლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს, რომელშიც შედის მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც (პატ.კ. მუხლი 27).

მსჯავრდებულის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შემთხვევაში მისი პრობაციის ბიუროში გამოცხადების ვადა – პირველივე დღე. პრობაციის ბიუროს შეუძლია გაუგრძელოს ვადა არაუმეტეს 2 დღით (პატ.კ. მუხლი 27.11).

მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შემდგომ ხელახალი შუამდგომლობის საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს მიერ განხილვის ვადა – მხოლოდ 6 თვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსახდელი სასჯელის ვადა 6 თვეს არ აღემატება (პატ.კ. მუხლი 42.7).

მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის, პენიტენციური დაწესებულების მიერ მსჯავრდებულის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების, მისი საცხოვრებელი ადგილის, შრომისუნარიანობისა და სპეციალობის შესახებ შეტყობინების ვადა – რაუგვიანეს 3 თვე თავისუფლების აღკვეთის ვადის ამონურვამდე (პატ.კ. მუხლი 45.1).

მსჯავრდებულის უმაღლესი განათლების შეზღუდვის პერიოდი – უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) – დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნისა და/ან ქცევის მკვეთრად უარყოფითად შეცვლის გამო სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანისთვის – შესაბამისი საფუძვლების აღმოფხვრამდე. მსჯავრდებულს დისციპლინური პატიმრობის მოხდისა და სამართო საკანში მოთავსების პერიოდში ეზღუდება სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლება (პატ.კ. მუხლი 115.3-4).

მსჯავრდებულისთვის დისციპლინური პატიმრობის ვადაში ჩასათვლელი გარკვეული დრო – პირის სასამართლოში წარსადგენად გამოყენებული და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვე-

ტილების გამოსატანად გამოყენებული დრო (პატ.კ. მუხლი 90.14).

მსჯავრდებულისთვის დისციპლინური პატიმრობის საერთო ვადა შეფარდებული ერთი წლის განმავლობაში – არაუმეტეს 60 დღე-ღამე. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისთვის, რომელმაც ჩაიდინა დისციპლინური დარღვევა – 150 დღე-ღამე (პატ.კ. მუხლი 90.2).

მსჯავრდებულისთვის დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების უფლებამოსილ სასამართლოსათვის (პენიტენციური დაწესებულების ადგილსამყოფელის მიხედვით) გადაცემის ვადა – 24 საათი მისი გაცემიდან (პატ.კ. მუხლი 90.10).

მსჯავრდებულისთვის დისციპლინური პატიმრობის შეფარდების შესახებ მოსამართლის მიერ განკარგულების განხილვის ვადა – 48 საათი მისი წარდგენიდან. გადაწყვეტილება გამოიტანება დაუყოვნებლივ. დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის სხვა დროისათვის გადადება არ შეიძლება (პატ.კ. მუხლი 90.11).

მსჯავრდებულისთვის ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლების შეზღუდვის პერიოდი – დისციპლინური სახდელის მოხდის, დისციპლინური პატიმრობის ან პენიტენციურ დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების შემოღებისა და კრიზისული ვითარების დროს (პატ.კ. მუხლი 17¹.2).

მსჯავრდებულისთვის ფსიქიატრიული დახმარების განევის თაობაზე სასამართლოსთვის მიმართვის ვადა – 48 საათი, პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მიერ, შესაბამისი დასკვნის არსებობის შემთხვევაში (პატ.კ. მუხლი 122.2).

მტკიცებულებებზე საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა – იხ. ფაქტობრივი გარემოებების და მტკიცებულებების სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით შეგროვების შემთხვევაში მხარის მიერ მათ თაობაზე საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების დადგენილი საფასურის გადახდის გარეშე დგომის ზღვრული ვადა – 12 საათი. ამ ვადის გასვლის შემდეგ სატრანსპორტო საშუალება შეიძლება გადაიყვანილ იქნეს სპეციალურ

დაცულ სადგომზე (ასკ მუხლი 125⁴.1).

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საქართველოს მთავრობის მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერისთვის უფლებამოსილების ვადამდე უწყვეტის პერიოდი – 3 თვე ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან (ათკ მუხლი 91.8).

მუნიციპალიტეტის მერის მიერ მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის იმავე ან შესწორებული ვარიანტის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენის ვადა – 10 დეკემბრამდე (ათკ მუხლი 91.5).

მუნიციპალიტეტის მერის მიერ მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენის ვადა – 15 ნოემბრამდე (ათკ მუხლი 91.1).

მუნიციპალიტეტის მერის მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროსგან გადაგზავნილი პეტიციის განხილვისა და განხილვის შედეგების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და პეტიციის წარმდგენი სუბიექტსათვის შეტყობინების ვადა – 1 თვე პეტიციის განსახილველად მიღებიდან. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს 1 თვით (ათკ მუხლი 85⁵.18).

მუნიციპალიტეტის მერის/რაიონის გამგებლის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შეკრების პერიოდულობა – არანაკლებ 3 თვეში ერთხელ (ათკ მუხლი 86¹.1).

მუნიციპალიტეტის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტისა და ინფორმაციის სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოსთვის მიწოდების ვადა – 10 სამუშაო დღე (ათკ მუხლი 134.2).

მუნიციპალიტეტის მიერ საკითხის საქართველოს მთავრობისთვის/საქართველოს სამთავრობო კომისიისთვის განსახილველად წარდგენამდე ინფორმაციის (მუნიციპალიტეტის შექმნის/გაუქმების, ადმინისტრაციული ცენტრის დადგენის/შეცვლის და ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ) საჯაროდ გამოქვეყნებად ჩათვლის ვადა – ბეჭდვით გამოცემაში გამოქვეყნებიდან, რომელიც ვრცელდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) ტერიტორიაზე (ტერიტორიებზე) და გამოიცემა კვირაში ერთხელ მაინც. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ინფორმაცია

ბექდვით გამოცემაში გამოქვეყნების ნაცვლად საჯაროდ გამოაცხადოს. დაინტერესებული პირები უფლებამოსილი არიან, ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში შესაბამის სამთავრობო კომისიას/მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგინონ საკუთარი მოსაზრებები (ათკ მუხლი 12.6-12.8).

მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ აქტების, პროექტების, სხდომის ოქმების და სხვა საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების ვადა – 10 დღე შესაბამისი: სხდომის გამართვიდან, ოქმის ან მისი ასლის მიღებიდან, ანგარიშის წარდგენიდან, დამტკიცების ან რეგისტრაციის დღიდან (ათკ მუხლი 85¹.3).

მუნიციპალიტეტის პრივატიზებულ ქონებასთან დაკავშირებული სადავო საკითხის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა – 3 წელი (ათკ მუხლი 120).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევის ვადა – 4 წელი (ათკ მუხლი 12.2).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ პეტიციის თაობაზე გადანყვეტილების საკრებულოს შესაბამის კომისიის, სამუშაო ჯგუფისთვის ან მერისთვის შესასწავლად გადაცემის ვადა – 7 დღე რეგისტრაციიდან. შესაბამისი კომისია ან სამუშაო ჯგუფი პეტიციას განიხილავს და იღებს გადანყვეტილებას მიღებიდან 15 დღეში. გადანყვეტილება მიღებიდან 5 დღის ვადაში ეცნობება პეტიციის წარმდგენ სუბიექტს. გადანყვეტილების მიღების შემთხვევაში მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს განსახილველად წარედგინება შესაბამისი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, პეტიციის შესახებ დასკვნა. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს 1 თვით (ათკ მუხლი 85⁵.11-17).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერის დათხოვნისას ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას საკრებულოს და მერის არჩევის ვადა – მუნიციპალიტეტის ორგანოების მორიგ არჩევნებამდე პერიოდით (ათკ მუხლი 145.1).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელისა და წევრების უფლებამოსილების ვადა – სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს

დეს 3 თვეს. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს თითო თვით. დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს (ათკ მუხლი 29.2).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების ვადა – არაუმეტეს წელიწადში ერთხელ (ათკ მუხლი 140.2).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის ვადა – მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების პერიოდით (ათკ მუხლი 33.3).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უარის შემდეგ თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების პროცედურის ხელმეორედ დაწყების ვადა – 3 თვის გასვლის შემდეგ (ათკ მუხლი 34.3).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ რიგგარეშე სხდომის მოწვევის ვადა – 1 კვირა რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ მოთხოვნის (წინადადების) წარდგენიდან (ათკ მუხლი 26.3).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის ვადა – მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების პერიოდით (ათკ მუხლი 36.1).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის არჩევის ვადა – მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით (ათკ მუხლი 37.1).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნების ვადა – 5 დღე ბიუჯეტის წარდგენიდან (ათკ მუხლი 91.2).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ბიუჯეტის საჯაროდ განხილვისა და დამტკიცების ვადა – ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე (ათკ მუხლი 91.3).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მერისთვის უნდობლობის გამოცხადებლობის შემთხვევაში უნდობლობის საკითხის ხელ-

მეორედ დასმის ვადა – 6 თვის გასვლის შემდეგ (ათკ მუხლი 51.11).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ სამთავრობო კომისიისთვის კანონმდებლობით განსაზღვრულ საკითხებზე საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა – არაუგვიანეს 20 დღე სამთავრობო კომისიის მიერ დოკუმენტაციის მიღებიდან (ათკ მუხლი 12.2).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მითითების შესრულების ვადა – 30 დღე მისი მიღებიდან. მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო გამოსცემს შესაბამის ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც ძალაშია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ სათანადო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებამდე (ათკ მუხლი 136.2, 3).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის მოწვევის ვადა – იხ. ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომის მოწვევის ვადა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის სტატუსის მინიჭება – რეგისტრაციის მომენტიდან (ათკ მუხლი 30.3).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩევის ასაკი – 21 წელი (ათკ მუხლი 40.2).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კითხვაზე მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს, მუნიციპალიტეტის მერის, სხვა თანამდებობის პირის მიერ პასუხის მიღების ვადა – 1 კვირა. კითხვის ავტორთან შეთანხმებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 დღით (ათკ მუხლი 45.1).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების დაწყებისა და დამთავრების ვადა – იწყება მისი უფლებამოსილების ცნობის დღიდან და მთავრდება ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი შეკრებისთანავე ან ამ წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთანავე (ათკ მუხლი 40.6).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისა და შეჩერების ვადა – კანონმდებლობით დადგე-

ნილი შესაბამისი ფაქტის (ქმედების) დადგომის მომდევნო დღიდან; პატიმრობის ან ადმინისტრაციული პატიმრობის მოქმედების ვადით (ათკ მუხლი 43).

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისას მყიდველის მიერ საინვესტიციო ვალდებულებების არანაკლებ 10 პროცენტის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენის ვადა – თბილისის საკრებულოს თანხმობის გაცემიდან ხელშეკრულების გაფორმებამდე, ხოლო აუქციონის შემთხვევაში – 1 თვე აუქციონის ჩატარებიდან. გარანტიის თანხის ოდენობის შემცირების შემთხვევაში, მყიდველმა 1 თვის ვადაში უნდა შეავსოს იგი სრულ ოდენობამდე (ათკ მუხლი 118^{2.1,3}).

მუნიციპალიტეტის სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოს მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ექსპერტიზის ჩატარებისა და სამართლებრივ დასკვნის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გაგზავნის ვადა – 15 სამუშაო დღე შესაბამისი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან. ექსპერტიზის ჩატარების პროცესში სხვადასხვა ქმედებისთვის გათვალისწინებულია 3, 5 და 15 სამუშაო დღიანი ვადები (ათკ მუხლი 132).

მცირეწლოვნობის ვადა – 7 წლის ასაკამდე (ზაკ მუხლი 74; სკ მუხლი 12).

მძღოლის მიერ სისხლში ეთანოლის შემცველობის დადგენის მიზნით სამედიცინო (საექსპერტო) დანესებულებისადმი მიმართვის ვადა – ტესტირებიდან 2 საათი, თუ ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობა ტესტირების მეშვეობით გამოვლინდა (ასკ მუხლი 116.შენ. 10; მუხლები 116¹-116³).

მხილების შესახებ განცხადების განხილვის ვადა – 1 თვე შესაბამისი ორგანოსთვის განცხადების წარდგენიდან (სდიშკ მუხლი 20^{6.1}).

მხილებულის წინააღმდეგ მიმართული მხილების განცხადების არსებობისას მის მიერ მხილებაზე პასუხის გაცემის ვადა – არაუგვიანეს 5 სამუშაო დღე მხილების განცხადებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე (სდიშკ მუხლი 20⁹).

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, მცირე ოდენობით უკანონოდ დამზადების შექმნის ან შენახვის, გადაზიდვა, გადაგზავნის ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების გამო იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევის ვადა – 3 წლამდე (ასკ მუხლი 45).

ნარკოტიკული საშუალების შემცველი (მცირე ოდენობით) მცენარის უკანონო დათესვის, მოყვანის ან კულტივირებისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვის, მოყვანის ან კულტივირებისათვის.

ნივთის გადატანა-გადაზიდვის დროებითი შეზღუდვის შეწყვეტის ვადა – იხ. პირის გადაადგილებისა და ნივთის გადატანა-გადაზიდვის დროებითი შეზღუდვის შეწყვეტის ვადა.

ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, საგადასახადო გირავნობის (იპოთეკის) უფლებისა და საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის წარმოშობილად, შეცვლილად ან შეწყვეტილად, ხოლო საკუთრების უფლების მიტოვებულად ჩათვლის ვადა – საჯარო რეესტრის სააგენტოში (მარეგისტრირებელ ორგანოში) რეგისტრაციის შესახებ გადანყვეტილების გამოცემის მომენტიდან, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა (სრემ მუხლი 27.3).

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით სარჩელის შეტანის ვადა – იხ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით სარჩელის შეტანის ვადა (სასკ მუხლი 22.3).

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა – 5 დღე (კერძო საჩივრით) (სასკ მუხლი 30¹.3; სსკ მუხლი 194).

ნორმატიული აქტის ამოქმედების ვადის შეცვლის ვადა – მხოლოდ ამ ვადის დადგომამდე (ნოაშ მუხლი 22.8).

ნორმატიული აქტის გამოქვეყნებისთანავე ძალაში შესვლის დრო – გამოქვეყნების დღის 24 საათი (ნოაშ მუხლი 22.2).

ნორმატიული აქტის გამოქვეყნებულად ჩათვლის ვადა – ამ აქტის სრული ტექსტის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე პირველად გამოქვეყნებიდან (ნოაშ მუხლი 26.1).

ნორმატიული აქტის (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ზოგიერთი ნორმატიული აქტისა) „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ მიერ გამოქვეყნების ვადა – 5 დღე აქტის მისთვის გადაცემიდან (ნოაშ მუხლი 27.8).

ნორმატიული აქტის დანართის გამოქვეყნების დრო – ნორმატიულ აქტთან ერთად (ნოაშ მუხლი 16.6).

ნორმატიული აქტის (მისი ნაწილის) ძალადაკარგულად ცნობის მომენტი – მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტის ვადის გასვლიდან, სხვა ნორმატიული აქტის მიღებიდან (გამოცემიდან) (რომელიც ძალადაკარგულად გამოცხადდება), უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს (თანამდებობის პირის) გადაწყვეტილების მიღებიდან, რომელიც საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტის მიხედვით იწვევს ამ აქტის იურიდიული ძალის დაკარგვას (ნოაშ მუხლი 25.1).

ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თარიღი – საქართველოს საკანონმდებლო აქტისთვის – საქართველოს პარლამენტის მიერ მისი საბოლოო რედაქციით მიღების დღე; ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტისათვის – ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მისი საბოლოო რედაქციით მიღების დღე; სხვა ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თარიღად ჩაითვლება უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მისი ხელმოწერის დღე (ნოაშ მუხლი 20).

ნორმატიული აქტის მოქმედების ვადა – უვადო, თუ საქართველოს კანონმდებლობით ან თვით ამ აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი (ნოაშ მუხლი 22.6).

ნორმატიული აქტის (ნორმატიული აქტის პროექტის) სამართლებრივი ექსპერტიზისა და გამოქვეყნების შემთხვევაში ვადების ათვლის დაწყების დრო – ნორმატიული აქტის (ნორმატიული აქტის პროექტის) უფლებამოსილი ორგანოსთვის გადაცემიდან ან სამართლებრივი დასკვნის გაცემიდან მომდევნო სამუშაო დღე. ნორმატიულ აქტში ვადების ათვლისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები არ ჩაითვლება (ნოაშ მუხლი 6).

ნორმატიული აქტის პროექტზე შესაბამისი დარგის საზოგადოებრივი ექსპერტის დასკვნის მოთხოვნის ვადა – იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ნორმატიული აქტის პროექტზე შესაბამისი დარგის საზოგადოებრივი ექსპერტის დასკვნის მოთხოვნის ვადა.

ნორმატიული აქტის ცალკეული თავის ან მუხლის (პუნქტის, ქვეპუნქტის) ძალაში შესვლის განსაკუთრებული თარიღი – დგინდება ნორმატიული აქტით (ნოაშ მუხლი 22.5).

ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად ცნობის მომენტი – იხ. ნორმატიული აქტის (მისი ნაწილის) ძალადაკარგულად ცნობის მომენტი.

ო

ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ოჯახში მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემის ვადა – 24 საათი სასამართლო გადაწყვეტილების მიღებიდან (სასკ მუხლი 21¹³.7¹).

ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით არასრულწლოვნის მშობლის (სხვა კანონიერი წარმომადგენლის) მიერ გასაჩივრების ვადა – 1 თვე (სასკ მუხლი 21¹².17; სსკ მუხლები: 423; 426).

ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების გამო დამცავი ორდერის გამოცემის ვადა – იხ. დამცავი ორდერის გამოცემის ვადა (ქმოძა მუხლი 12.1).

პარტია – იხ. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) შესაბამისი განმარტება.

პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ჩათვლის ვადა – იხ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ჩათვლის ვადა.

პატიმრობის დაწესებულებიდან ბრალდებულის გადაყვანის შესახებ გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს და ბრალდებულის ახლო ნათესავის, აგრეთვე ბრალდებულის თხოვნით – სხვა პირის ან/და ბრალდებულის ადვოკატისთვის შეტყობინების ვადა – ბრალდებულის მიმღები პენიტენციური დაწესებულების მიერ დაუყოვნებლივ ან მისი მიღებიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღეში (პატ.კ. მუხლი 76.2).

პენიტენციურ დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების შემოღების ვადა – არაუმეტეს 15 დღე. საჭიროების შემთხვევაში ეს ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს გონივრული ვადით, შესაბამისი გარემოების აღმოფხვრამდე (პატ.კ. მუხლი 58.2).

პენიტენციურ დაწესებულებაში კანონმდებლობით გათვალისწინებული განსაკუთრებული პირობების დამოუკიდებლად შემოღების შესახებ შეტყობინებისა და ძალაში დატოვების ვადა – დაწესებულების დირექტორი ატყობინებს სამსახურის გენერალურ დირექტორს დაუყოვნებლივ. ეს უკანასკნელი კი, შეტყობინებიდან 24 საათის განმავლობაში, მინისტრის წერილობითი თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას განსაკუთრებული პირობების ძალაში დატოვების ან გაუქმების შესახებ (პატ.კ. მუხლი 58.4).

პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მიერ რისკების შეფასების გუნდისთვის მსჯავრდებულის რისკის განსაზღვრის თაობაზე ინფორმაციის წარდგენის ვადა – მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად მიღებიდან 60 დღე (პატ.კ. მუხლი 47.2¹).

პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალულ ზოლის რეჟიმის დარღვევის ადგილზე პოლიციის გამოცხადების ვადა – დაუყოვნებლივ (პატ.კ. მუხლი 57³.6).

პენიტენციური დაწესებულების მიერ ბრალდებულის პატიმრობის (თავისუფლების აღკვეთის) აღსრულების ადგილზე მიღების შესახებ ინფორმაციის გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს და ბრალდებულის ახლო ნათესავის, აგრეთვე ბრალდებულის თხოვნით – სხვა პირის ან/და ბრალდებულის ადვოკატისთვის შეტყობინების ვადა – დაუყოვნებლივ ან მისი მიღებიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღე (პატ.კ. მუხლი 34.1-2).

პენიტენციური დაწესებულების მიერ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოსათვის მსჯავრდებულის (რომელმაც ფაქტობრივად მოიხადა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილი ვადა) შესახებ შეამდგომლობის წარდგენისა და მსჯავრდებულისათვის შეტყობინების ვადა – დაუყოვნებლივ. თუ საჭირო ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას დამატებითი დრო სჭირდება, შეამდგომლობა წარედგინება 7 დღის ვადაში (პატ.კ. მუხლი 42.1).

პენიტენციური დაწესებულების მიერ ხანმოკლე პაემანზე უარის თქმის შესახებ განმცხადებლის ინფორმირების ვადა – იმავე დღეს (პატ.კ. მუხლი 17.6).

პენიტენციური დაწესებულების მიერ ხანმოკლე პაემნის ორგანიზების ვადა – არაუგვიანეს 5 დღე განცხადების მიღებიდან (პატ.კ. მუხლი 17.6).

პენიტენციური სამსახური – იგივეა, რაც სპეციალური პენიტენციური სამსახური.

პენსიაზე წარმოშობილი უფლების შეწყვეტის ვადა – პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდი (სახ.პენ. მუხლი 5).

პენსიის განახლების ვადა – მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ანაზღაურდება მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა პენსიის შეჩერების დღიდან (სახ.პენ. მუხლი 16.2).

პენსიის გაცემის (ადგილზე მიტანის) ვადა – იხ. მიმდინარე თვის პენსიის გაცემის (მისი ადგილზე მიტანის) ვადა.

პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადების განხილვის ვადა – არა უგვიანეს 10 დღე კომპეტენტური ორგანოს მიერ განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენიდან (სახ.პენ. მუხლი 14).

პენსიის დანიშვნის თაობაზე კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე პენსიის დანიშვნის ვადა – გადაწყვეტილების მიღების მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან (სახ.პენ. მუხლი 14).

პენსიის მიღების ვადა გარდაცვლილი პირის მემკვიდრეების მიერ – გარდაცვალების დღიდან არა უგვიანეს ერთი წლის მანძილზე დარჩენილი აუღლებელი პენსიის მისაღებად მიმართვიდან. რამდენიმე მემკვიდრის მიერ მიმართვისას კუთვნილი თანხა მათ შორის განაწილდება (სახ.პენ. მუხლი 18).

პენსიის შეჩერების ვადა – კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან (სახ.პენ. მუხლი 16.1).

პენსიის შეწყვეტის ვადის ათვლა – მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, ერთ-ერთი შემდეგი საფუძვლების წარმოშობიდან – პირადი განცხადება; საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდი; სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთის აღსრულება – პენსიის შეჩერების დღიდან; უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევება; პირის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა; პენსიონერის გარდაცვალება; პენსიის შეჩერების დღიდან 3 წლის გასვლა და სხვ. (სახ.პენ. მუხლი 17).

პენსიონერის მიერ იმ გარემოების დადგომის შესახებ, რომელსაც თან სდევს პენსიის გაცემის შეწყვეტა, კომპეტენტური ორგანოსათვის შეტყობინების ვადა – ამ გარემოების წარმოშობიდან არა უგვიანეს 15 დღე (სახ.პენ. მუხლი 12).

პენსიონერსა (მპენსიის მაძიებლსა) და კომპეტენტურ ორგანოს შორის ელექტრონული ფორმით გაგზავნილი შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის ჩაბარებულად ჩათვლის ვადის ათვლა – ადრესატის მიერ მისი მიღებისთანავე (სახ.პენ. მუხლი 10.2).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ნორმატიული აქტის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთვის“ გადაცემისა და გამოქვეყნების ვადა – აქტის მიღებიდან არაუგვიანეს მე-2 დღე (ნო-აშ მუხლი 27.6').

პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების ვადა – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების რიგგარეშე არჩევნების შედეგად არჩეული მუნიციპალიტეტის ორგანოების უფლებამოსილების ცნობის დღემდე, ხოლო თუ მუნიციპალიტეტის ორგანოების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან მორიგ არჩევნებამდე დარჩენილია 1 წელზე ნაკლები – მორიგი არჩევნების შედეგად არჩეული მუნიციპალიტეტის ორგანოების უფლებამოსილების ცნობის დღემდე (ათკ მუხლი 145.1).

პირველი ინსტანციის სასამართლოში ადმინისტრაციული სარჩელის წარმოებაზე უარის თქმისა და სარჩელის დაუშვებლად ცნობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (სასკ მუხლი 26².3; სსკ მუხლი 416).

პირის გადაადგილებისა და ნივთის გადატანა-გადაზიდვის დროებითი შეზღუდვის შეწყვეტის ვადა – დაუყოვნებლივ, პოლიციის მიერ – საპოლიციო ღონისძიების განხორციელების საფუძვლის არ არსებობისას (პოლშ მუხლი 26).

პირის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის გადამოწმების (გარკვეული მორფოლოგიური ცვლილებებისა და ფუნქციური დარღვევებისას) პერიოდი – წელიწადში ერთხელ – ქმედობაუნარიანობის ზომიერად ან მნიშვნელოვნად გამოსატყული შეზღუდვის შემთხვევაში; ორ წელიწადში ერთხელ – ქმედობაუნარიანობის მკვეთრად გამოსატყული შეზღუდვის შემთხვევაში (სსემ მუხლი 12.1).

პირის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის ვადა – იხ. შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის ვადა.

პირის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის პერიოდი – 6 თვე, კლინიკური და სოციალური პროგნოზიდან, აგრეთვე სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარების შედეგად მოსალოდნელი ეფექტურობიდან გამომდინარე (სსემ მუხლი 12.2).

პირის შეჩერების ვადა – იხ. პოლიციელის მიერ პირის შეჩერების ვადა.

პიროტექნიკის გამოყენების დრო – დღის საათებში – 08:00-23:00, აგრეთვე 31 დეკემბრის 21:00 საათიდან 2 იანვრის 23:00 საათამდე, 13 იანვრის 21:00 საათიდან 14 იანვრის 23:00 საათამდე, 9 აპრილს და 26 მაისს (ასკ მუხლი 77².3).

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის, მისი პირველი რიგის მემკვიდრის (მათი წარმომადგენლის) მიერ ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელით მიმართვის ვადა – არაუგვიანეს 2018 წლის 1 იანვარი (სასკ მუხლი 21²⁶.2).

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის, მისი პირველი რიგის მემკვიდრის (მათი წარმომადგენლის) ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის (თანდართული დოკუმენტებთან ერთად) მოპასუხისათვის გაგზავნის ვადა – დაუყოვნებლივ, ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სასამართლო განჩინების გამოტანის ან განჩინების გამოტანის ვადის გასვლის შემდეგ (სასკ მუხლი 21²⁷.4).

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის, მისი პირველი რიგის მემკვიდრის (მათი წარმომადგენლის) მიერ ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარმოებაში არმიღების თაობაზე სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (სსკ მუხლი 416; სასკ მუხლი 21²⁷.3).

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის, მისი პირველი რიგის მემკვიდრის (მათი წარმომადგენლის) მიერ ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხის განხილვის ვადა – 5 დღე სარჩელის შეტანიდან (სასკ მუხლი 21²⁷.1).

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის, მისი პირველი რიგის მემკვიდრის (მათი წარმომადგენლის) ფულადი კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (სასკ მუხლი 21²⁹.8).

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის, მისი

პირველი რიგის მემკვიდრის (მათი წარმომადგენლის) ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელზე მოპასუხის მიერ შესავებლის წარდგენის ვადა – განსაზღვრავს სასამართლო (სასკ მუხლი 21^{27.4}).

პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირისათვის (მისი პირველი რიგის მემკვიდრისათვის) ფულადი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ სარჩელის ხარვეზის შესავსებად დანიშნული ვადა – გონივრულ ფარგლებში (სასკ მუხლი 21^{27.2}).

პოლიციაში გასაუბრების მიზნით მონვეული პირის დაყოვნების ხანგრძლივობა – იხ. მონვეული პირის პოლიციაში ყოფნის ხანგრძლივობა.

პოლიციაში სამუშაოდ მიღების ასაკი – 18 წლის მიღწევიდან (პოლშ მუხლი 37).

პოლიციაში ცალკეულ თანამდებობებზე მისაღები კანდიდატის მიერ სპეციალური მომზადების გავლის ვადა – პოლიციაში სამუშაოდ მიღებამდე ან მიღების შემდეგ (პოლშ მუხლი 37).

პოლიციელის თანამდებობიდან დროებით გადაყენების ვადა – სისხლის სამართლის საქმეში მისი ბრალდებულად ცნობის გამო საბოლოო გადანყვეტილების მიღებამდე. თანამდებობიდან გადაყენებული პოლიციელი გამართლების შემთხვევაში უნდა აღდგეს იმავე, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – მის ტოლფას თანამდებობაზე (პოლშ მუხლი 40).

პოლიციელის კადრების განკარგულებაში აყვანის ვადა – არაუმეტეს 4 თვე. კადრების განკარგულებაში აყვანის დღიდან იგი ითვლება სამსახურიდან შესაძლო დათხოვნის შესახებ გაფრთხილებულად (პოლშ მუხლი 42).

პოლიციელის კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში ბოლო დაკავებული თანამდებობის ხელფასის (ფულადი სარგოს) შენარჩუნების ვადა – 2 თვე (პოლშ მუხლი 49).

პოლიციელის მიერ პირის მიმართ გარკვეული ადგილის განსაზღვრული დროით დატოვების მოთხოვნის ან კონკრეტულ ტერი-

ტორიაზე შესვლის (საფრთხის თავიდან აცილების აუცილებლობიდან გამომდინარე) აკრძალვის ხანგრძლივობა – საფრთხის აღმოფხვრამდე (პოლმ მუხლი 25).

პოლიციელის მიერ პირის შეჩერების ვადა – არა უმეტეს 30 წუთი შეჩერების მომენტიდან (პოლმ მუხლი 22).

პოლიციელის მიერ სიტყვიერი გაფრთხილების – „პოლიციაა, სდექ, თორემ გესვრი!“ გამოყენების დრო – პირის მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის აქტიური გამოყენების წინ. პოლიციელი ვალდებულია ცეცხლსასროლი იარაღის აქტიური გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალო უფროსსა და პროკურორს (პოლმ მუხლი 34).

პოლიციელის სამუშაო დრო – განსაზღვრული არაა. მისთვის დადგენილია არანორმირებული სამუშაო დღე (პოლმ მუხლი 52).

პოლიციის სარგებლობაში არსებულ შესაბამისი ამოსაცნობი ნიშნების არმქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დამონტაჟებული/განთავსებული ავტომატური ფოტო- და ვიდეოტექნიკის, აგრეთვე არასტაციონარული (მოძრავი) სიჩქარის მზომი ხელსაწყო გამოყენების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურების ვადა – მისი მოპოვებიდან არაუგვიანეს 24 საათი (პოლმ მუხლი 27.4).

პოლიციის უმაღლესი წოდების მისანიჭებლად შსს სამინისტროში სამსახურის ვადა – არაა დაწესებული. აღნიშნულ წოდებებს ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი მინისტრის წარდგინებით (პოლმ მუხლი 45).

პოლიციელის შვებულების ხანგრძლივობა – ყოველწლიური ანაზღაურებადი: 30 კალენდარული დღე; შსს სამინისტროში მუშაობის 5 წელზე მეტი სტაჟის მქონისთვის 35, ხოლო 10 წელზე მეტი სტაჟის მქონე პოლიციელისთვის – 40 კალენდარული დღე (პოლმ მუხლი 53).

პრეზიდენტის და მისი ოჯახის წევრების სახელმწიფო დაცვით უზრუნველყოფის ვადა – იხ. საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო დაცვით უზრუნველყოფის ვადა.

პრეზიდენტობის კანდიდატის სახელმწიფო დაცვით უზრუნველ-

ყოფის ვადა – იხ. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის სა-
ხელმწიფო დაცვით უზრუნველყოფის ვადა.

**პრივატიზებულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქო-
ნებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების სასარჩელო ხან-
დაზმულობის ვადა** – 3 წელი (სახ.ქონ. მუხლი 22).

**პროკურატურის მუშაკთა მიერ ატესტაციის გავლის პერიო-
დულობა** – 3 წელიწადში ერთხელ (პრშ მუხლი 31.7).

**პროკურატურის მუშაკთა მიმართ დისციპლინური სახდელის გა-
მოყენების ვადა** – არაუგვიანეს 1 წელი გადაცდომის ფაქტის დადგე-
ნის (აღმოჩენის) დღიდან. ამ ვადაში არ შედის პროკურატურის მუშა-
კის ავადმყოფობისა და შვებულებაში ყოფნის დრო. დისციპლინური
სახდელი არ გამოიყენება, თუ გადაცდომის ჩადენის დღიდან გასუ-
ლია 3 წელი (პრშ მუხლი 38.6).

**პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების
ვადა აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პრო-
კურორების მიერ (მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის
ჩაუბარებლობის ან ადვოკატთა ტესტირების გაუვლელობის შემ-
თხვევაში)** – 1 წელი თანამდებობაზე დანიშნვიდან (პრშ მუხლი 31).

**პროკურატურის მუშაკის მიერ დისციპლინური სახდელის არმქო-
ნედ ჩათვლის ვადა** – სახდელის დადებიდან 1 წლის გასვლის შემდეგ,
თუ მას არ შეეფარდა ახალი დისციპლინური სახდელი (პრშ მუხლი 38).

**პროკურატურის მუშაკის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის
ვადა** – 1 წელი ზიანის მიყენებიდან (პრშ მუხლი 40).

**პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლისაგან გათავი-
სუფლებისათვის მოთხოვნილი მოსამართლედ, გამომძიებლად, ად-
ვოკატად მუშაობის ვადა** – არანაკლებ 1 წელი ან იურიდიული სპეცი-
ალობით მუშაობის არანაკლებ 3 წელი (პრშ მუხლი 31).

**პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლისაგან გათავი-
სუფლებისათვის მოთხოვნილი სტაჟი** – მოსამართლედ, გამომძიებ-
ლად, ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 1 წელი ან იურიდიული სპეცი-
ალობით მუშაობის არანაკლებ 3 წელი (პრშ მუხლი 31.3).

პროკურორად ან პროკურატურის გამომძებლად დასანიშნად მოთხოვნილი პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლის ვადა – 6 თვიდან 1 წლამდე (პრშ მუხლი 31.1).

პროკურორად (ქ.თბილისის პროკურორად, მის მოადგილედ, საოლქო პროკურორებად და მათ მოადგილეებად, რაიონულ პროკურორებად და სპეციალიზებული პროკურატურების პროკურორებად) დასანიშნად მოთხოვნილი იურიდიული სპეციალობით მუშაობის (გამოცდილების) ვადა – არანაკლებ 3 წელი. განსაკუთრებულ შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება შემცირდეს: ა. ქ.თბილისის პროკურორად, მის მოადგილედ, საოლქო პროკურორებად და მათ მოადგილეებად დასანიშნად – 18 თვემდე; ბ. რაიონულ პროკურორებად და სპეციალიზებული პროკურატურების პროკურორებად დასანიშნად – 12 თვემდე (პრშ მუხლი 31.6).

პროკურორის დადგენილების განხილვის ვადა – იხ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ წარმოების ან დისციპლინური წარმოების დაწყების თაობაზე პროკურორის დადგენილების განხილვის ვადა.

პროკურორის მოთხოვნის შესაბამისად მის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის წარდგენის ვადა – არა უგვიანეს 10 დღე, ამ ინფორმაციის რეჟიმის მიუხედავად (პრშ მუხლი 22).

პროკურორის პროტესტის განხილვის ვადა – მიღებიდან არა უგვიანეს 10 დღე. განხილვის შედეგები პროკურორს ეცნობება დაუყოვნებლივ (პრშ მუხლი 24).

პროკურორის წარდგინების, პროტესტის, დადგენილების, მითითების ზემდგომ პროკურორთან ერთჯერადად გასაჩივრების ვადა – 10 დღე. აქტების გასაჩივრება არ აჩერებს მათ აღსრულებას (პრშ მუხლი 30).

პროკურორისთვის მისი წარდგინების თაობაზე მიღებული ზომების შესახებ შეტყობინების ვადა – 10 დღე. პროკურორსვე ეცნობება წარდგინების განხილვის თარიღი (პრშ მუხლი 23).

პროფესიული ინფორმაციის გასაიდუმლოების ვადა – იხ. კომერციული და პროფესიული ინფორმაციის გასაიდუმლოების ვადა.

პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხის განსაზღვრისას დაზარალებულის სამედიცინო დაწესებულებაში გადამონშების ვადა – 6 თვის ანდა 1 ან 2 წლის შემდეგ (სვმ მუხლი 26).

პროცენტის გადახდის და ძირითადი თანხების დასაფარად უზრუნველყოფის მიზნით მუდმივი ასიგნების მოქმედების ვადა – ფულადი ვალდებულების სრულად დაფარვამდე (სვმ მუხლი 4).

რ

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსახილველი, მათ შორის, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების თაობაზე გამოტანილი დადგენილების შეჩერების ვადა – არ ჩერდება დადგენილების გასაჩივრებისას (ასკ მუხლი 275).

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარედ (ამავე სასამართლოს მოსამართლეთაგან, სადაც შექმნილია კოლეგიები – კოლეგიის თავმჯდომარეთაგან) დანიშვნის ვადა – 5 წელი (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ). რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარედ არ ინიშნება 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. მოსამართლედ დანიშვნა ხორციელდება მოსამართლის უფლებამოსილების ვადის ფარგლებში (სასა მუხლი 32.1).

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს კოლეგიის დსნიშვნის ვადა – 5 წელი. კოლეგიის თავმჯდომარედ არ შეიძლება დანიშნოს თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლე სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარედ დანიშნება თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში (სასა მუხლი 30.4).

რეფერირების დაწესებულებაში გასაგზავნი არასრულწლოვნის ასაკი და გაგზავნის ვადა – იხ. არასრულწლოვნის რეფერირების დაწესებულებაში გაგზავნის ასაკი და ვადა.

ს

სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების ვადა – 3 წელი. გამწესების 3-წლიანი ვადა არ ვრცელდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ან უზენაესი სასამართლოს მოქმედ ან ყოფილ წევრზე, სააპელაციო ან რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოქმედ ან ყოფილ მოსამართლეზე, თუ მას აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და ყოფილი მოსამართლის სამოსამართლო უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 წელი არ გასულა (სასა მუხლი 36.4¹).

სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ და მის მოადგილედ 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლის დანიშვნის ვადა – არ ინიშნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. თავმჯდომარედ დანიშნა ხორციელდება მოსამართლის უფლებამოსილების ვადის ფარგლებში (სასა მუხლი 23.6).

სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის და მისი მოადგილის დანიშვნის (სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისგან) ვადა – 5 წლით, მოსამართლის უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ (სასა მუხლი 23.6).

სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ, სააპელაციო სასამართლოს საქმიანობის შესახებ, მოსამართლეებისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინფორმირების პერიოდულობა – ნელინადში ერთხელ მაინც (სასა მუხლი 25.1).

სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილის, პალატის ან საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების (იმავე სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლისათვის) დროებით დაკისრების ვადა – შესაბამისი თავმჯდომარის დანიშვნამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით (სასა მუხლი 23.7).

სააპელაციო სასამართლოს თითოეული პალატის და საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარედ 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლის დანიშვნის ვადა – არ ინიშნება, გარდა იმ შემთხვევისა,

როდესაც მას აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. თავმჯდომარედ დანიშვნა ხორციელდება მოსამართლის უფლებამოსილების ვადის ფარგლებში (სასა მუხლი 23.5).

სააპელაციო სასამართლოს თითოეული პალატის და საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარის (შესაბამისი პალატისა და კოლეგიის მოსამართლეთა შემადგენლობიდან) დანიშვნის ვადა – 5 წლით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის უფლებამოსილების ვადის ფარგლებში (სასა მუხლი 23.5).

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განსჯადი სასამართლოსათვის განსახილველად დაბრუნების ვადა – კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და განჩინების გაუქმების შემდეგ (სასკ მუხლი 26².4).

საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლოში სასამართლო დავის განხილვის ვადა – არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე (სასკ მუხლი 13².2).

საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობიდან გამომდინარე სასამართლო დავებზე (მხარეებისთვის გადასაცემად) დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადების ვადა – 10 დღე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან (სასკ მუხლი 13².3).

საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობიდან გამომდინარე სასამართლო დავის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის ვადა – არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს (სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღებიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე) (სასკ მუხლი 13².1).

საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობიდან გამომდინარე განსახილველი დავის განსაკუთრებული სირთულის გამო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილვის ვადის გაგრძელება – არაუმეტეს 2 თვე (სასკ მუხლი 13².1).

საგადასახადო ორგანოს მიერ კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის დაკმაყოფილების (არდაკმაყოფილების)

შესახებ მოსამართლის დასაბუთებული ბრძანების გამოცემის ვადა – საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ (სასკ მუხლი 21^{47.4}).

საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების გამოძახების ერთიან სატელეფონო ნომერზე („112“) გადაუდებელი დახმარების მოთხოვნის მიზნით ცრუ შეტყობინების განხორციელებისათვის (რასაც შედეგად მოჰყვება შემთხვევის ადგილზე შესაბამისი საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურის გასვლა) ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა – 15 დღე-ღამემდე (ასკ მუხლი 174¹⁵).

საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების გამოძახების ერთიანი სატელეფონო ნომრის („112“) სისტემატურად არამიზნობრივად გამოყენების ჩათვლის პერიოდი – ერთი და იმავე პირის მიერ აღნიშნულ ნომერზე ნებისმიერი უწყვეტი 1 საათის განმავლობაში 3 ან მეტი არამიზნობრივი შეტყობინება (ასკ მუხლი 174¹⁵).

საგანგებო (ad hoc) პროკურორის მიერ თავისი დასკვნის (მთავარი პროკურორის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე) და თანდართული მასალების ასლების მთავარი პროკურორისთვის გადაცემის ვადა – არაუგვიანეს 10 დღე საპროკურორო საბჭოსთვის დასკვნის წარდგენამდე (პრშ მუხლი 9²).

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურად დანიშვნის ასაკობრივი ცენზი – 21 წლიდან (ზგშ მუხლი 48^{1.3}).

საგარეო ვალებზე პირდაპირი და პირობითი სახელმწიფო ვალდებულებების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის შეტყობინების ვადა – 3 დღე მათი რეგისტრაციიდან (სგშ მუხლი 7).

სადისციპლინო პალატის თავმჯდომარედ არჩევის ვადა – იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატის თავმჯდომარედ არჩევის ვადა.

საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებული შესაბამისი სამინისტროს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების ვადა – 1 თვე გადაწყვეტილების გაცნობიდან. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე

თავშესაფრის მაძიებელი სარგებლობს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებებითა და გარანტიებით (სდმ მუხლი 47).

საერთაშორისო დაცვაზე ანკეტის შესავსებად დსაცავი პირის ყველა სრულწლოვან ოჯახის წევრთან ინდივიდუალურად გასაუბრების ჩატარების ვადა – საერთაშორისო დაცვაზე განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღე (სდმ მუხლი 27.4).

საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოსმობის საფუძველზე უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ განცხადების განხილვის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადა – თავშესაფრის მაძიებლის მიერ შესაბამისი ოქმის ხელმოწერიდან მე-7 სამუშაო დღე. ეს გადაწყვეტილება თავშესაფრის მაძიებელს ან მის კანონიერ წარმომადგენელს/მეურვეს/მზრუნველს/მხარდამჭერს წერილობით (ქართულ ენაზე და მისთვის გასაგებ ენაზე ნათარგმნი) ეგზავნება 3 სამუშაო დღის ვადაში (სდმ მუხლი 41.3).

საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის გადავადების გამო, შესაბამისი უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ წარმოშობის ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესწავლის პერიოდულობა – 6 თვე (სდმ მუხლი 29.3).

საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის გადავადების მიზეზის თაობაზე თავშესაფრის მაძიებლისათვის შეტყობინების ვადა – გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღე (სდმ მუხლი 29.3; 5).

საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის ვადა – განცხადების რეგისტრაციიდან 6 თვე. გაძევების პროცედურაში მყოფი პირის – 1 თვე. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 ან 9 თვით. მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების წარდგენიდან 21 თვეს. დაჩქარებული წესით განხილვის ვადაა 1 თვე (სდმ მუხლი 29).

საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის ვადის ათვლის დასაწყისი – საერთაშორისო დაცვაზე განცხადების რეგისტრაციის დღიდან (სდმ მუხლი 25.4).

საერთაშორისო დაცვაზე განცხადების წარდგენის (კანონიერი წარ-

მომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის) ვადა – მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის დანიშვნის შემდეგ (სდმ მუხლი 25.4).

საერთაშორისო დაცვაზე თავშესაფრის მაძიებლის ზღვრული ასაკი, რომელსაც მოეთხოვება თითის ანაბეჭდების აღება – 14 წელი (სდმ მუხლი 27.7).

საერთაშორისო დაცვაზე თავშესაფრის მაძიებლის მიერ დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის შესაბამის სამინისტროში ჩაბარებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში საქართველოს ტერიტორიის დატოვების (თუ საქართველოში მისი ყოფნის სხვა სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს) ვადა – განცხადების გამომომბობის საფუძველზე საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (სდმ მუხლი 41.4).

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემის საკითხზე გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე სააპელაციო საჩივრის შეტანის (გადაწყვეტილების გამომტან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში) ვადა – 15 დღე, მხარისათვის მისი გადაცემიდან (სააპელაციო საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ იგზავნება სააპელაციო სასამართლოში (სასკ მუხლი 21²⁵.2).

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემის საკითხთან დაკავშირებულ დავაზე საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ან თავშესაფრის მაძიებლის მიერ რაიონული (საქალაქო) სასამართლოსთვის მიმართვის ვადა – 1 თვე შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (მისთვის გასაგებ ენაზე) ჩაბარებიდან (სასკ მუხლი 21²⁴).

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემის საკითხთან დაკავშირებული დავის რაიონული (საქალაქო) სასამართლოში განხილვისა და გამოტანილი გადაწყვეტილების მხარეთათვის გაგზავნის ვადა – 2 თვე სარჩელის სასამართლოში წარდგენიდან (სასკ მუხლი 21²⁵.1).

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემის საკითხთან დაკავშირებული სააპელაციო სასამართლოს გადან-

ყვეტილების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (სასკ მუხლი 21²⁵.4).

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემის საკითხთან დაკავშირებული სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის და სასამართლო გადაწყვეტილების მიღების ვადა – 1 თვე სააპელაციო საჩივრის შეტანიდან (სასკ მუხლი 21²⁵.4).

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებით თავშესაფრის მაძიებელთან გასაუბრების ცატარების ვადა – 4 თვე განცხადების რეგისტრაციიდან. თავშესაფრის მაძიებელს გასაუბრების ჩატარების შესახებ ეცნობება 3 სამუშაო დღით ადრე, წერილობით (სდმ მუხლი 35.4; 5).

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოს შესაბამისი უწყებისადმი მიმართვის (საექსტრადიციო პროცედურების ჩატარებისას ან საქართველოდან გაქევების საკითხის განხილვისას) ვადა – 15 კალენდარული დღე შესაბამისი უწყების მიერ მისთვის გასაგებ ენაზე საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებიდან (სდმ მუხლი 24.4).

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ სახელმწიფო უწყების მიერ ოქმის შედგენისა და შესაბამისი სამინისტროსთვის გადაცემის ვადა – მიღებისთანავე და 3 დღე (სდმ მუხლი 23.4).

საერთაშორისო დაცვის მომთხოვნი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შესახებ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების ინფორმირების, ასეთი პირების თავშესაფრის მაძიებლად გაფორმების ვადა – დაუყოვნებლივ (სდმ მუხლი 25.3; 4).

საერთაშორისო დაცვის მომთხოვნი უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის შესახებ შესაბამისი სამინისტროს ინფორმირების (საქართველოს პროკურატურის ან პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილების თანამდებობის მქონე პირის მიერ) ვადა – დაუყოვნებლივ. საერთაშორისო დაცვაზე განცხადება გადაეგზავნება სამინისტროს არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში (სდმ მუხლი 24.5).

საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ან თავშესაფრის მაძიებლის

შესახებ პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების თარიღის იუსტიციის სამინისტროსთვის შეტყობინების ვადა – 2 კვირა სასჯელის ვადის გასვლამდე ან გათავისუფლებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღე (სდშ მუხლი 72.ბ).

საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ოჯახის გაერთიანების შესახებ განცხადების (თანდართულ მტკიცებულებებთან ერთად) განხილვის (ოჯახური კავშირის დასადგენად უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ) ვადა – 1 თვე (სდშ მუხლი 46.4).

საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის (მოადგილეების) დანიშვნის (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობით) და უფლებამოსილების ვადა – 3 წელი (სასა მუხლი 54.5).

საერთო სასამართლოს მოსამართლის მიერ სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში გასაჩივრებაზე წერილობითი უარის თქმის მიუხედავად, ამ გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანის ვადა – არ საჩივრდება (სასა მუხლი 75⁵⁷.1).

სავალდებულო წარმომადგენლის დანიშვნის ვადა – ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნიდან 3 დღე, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარის მიერ, თუ ამ დაინტერესებულ მხარეს არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში ან რეგისტრირებულია მისამართის მითითების გარეშე. წარმომადგენლად ინიშნება საქართველოში განსაზღვრულ მისამართზე რეგისტრირებული ქმედუნარიანი პირი (ზაკ მუხლი 88).

სავალდებულო წარმომადგენლის (25-ზე მეტი განმცხადებლის არსებობის შემთხვევაში) დანიშვნის ვადა – ადგენს ადმინისტრაციული ორგანო. ნიშნავენ განცხადებაზე ხელმომწერი პირები. წარმომადგენლის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებაზე უარის თქმის შემთხვევაში განმცხადებლებს ადმინისტრაციული ორგანო აძლევს ვადას ახალი წარმომადგენლის დასანიშნად. თუ განცხადებაზე ხელმომწერი პირები არ დანიშნავენ წარმომადგენელს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში, მათ წარმომადგენლად ჩაითვლება განცხადებაზე პირველი ხელმომწერი პირი (ზაკ მუხლები: 89-90).

სავალუტო ოპერაციების ლიცენზიის გარეშე წარმოების ან მომსახურებისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა – 15 დღემდე (ასკ მუხლი 178).

საზოგადოებრივ ადგილებში ალკოჰოლური სასმელების სმისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა – იხ. ალკოჰოლური სასმელების სმისთვის (ერთი წლის მანძილზე განმეორების შემთხვევაში, სტადიონზე, სკვერში, პარკში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, გარდა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და იმ ადგილებისა, სადაც ალკოჰოლური სასმელები ჩამოსხმით იყიდება) ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა.

საზოგადოებრივი დაინტერესების პირის (სდპ) მიერ კანონით დადგენილი ვადების გასვლის შემდეგ აუდიტორულ ფირმასთან ხელახალი გარიგების დადების ვადა – არანაკლებ 4-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ (ბააამ მუხლი 16.15).

საზოგადოებრივი დაინტერესების პირის (სდპ) პარტნიორთა (აქციონერთა) კრების გადწყვეტილებით ჩატარებულ საჯარო ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგების 10-წლიანი ვადის გაგრძელება – 10 წელი დამატებით (ბააამ მუხლი 16.15).

საზოგადოებრივი დაინტერესების პირის (სდპ) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგების დადების ვადა – არანაკლებ 2 წელი და არაუმეტეს 10 წელი (ბააამ მუხლი 16.15).

საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ თავისი დასკვნის წარდგენის ვადა – განსაზღვრულია კანონით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (ზაკ მუხლი 21).

საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ მოვალეობის შესრულებისას გაგებული საიდუმლო ინფორმაციის არ გამჟღავნების ვადა – მუდმივად. საზოგადოებრივი ექსპერტის მოვალეობის შესრულების შეწყვეტის შემდეგაც კი (ზაკ მუხლი 23).

საზოგადოებრივი ექსპერტისათვის ასანაზღაურებელი ყველა აუცილებელი დანახარჯის განევის შესახებ ადმინისტრაციული ორ-

განოსათვის შეტყობინების ვადა – წინასწარ (ზაკ მუხლი 24).

საზღვარზე მიმოსვლის დროებითი შეწყვეტის ხანგრძლივობა – იხ. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიმოსვლის დროებითი შეწყვეტის ხანგრძლივობა.

საიდუმლო ინფორმაციის გამოქვეყნების ვადა – საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ამოღების შემდეგ (ზაკ მუხლი 33).

საიდუმლოობის მოსალოდნელი ხარისხის გათვალისწინებით, მიღებული (შემუშავებული) ინფორმაციის წინასწარი დასაიდუმლოების უზრუნველყოფის მიზნით ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის მიერ საექსპერტო შეფასებისთვის საქართველოს მთავრობისათვის წინადადების წარდგენის ვადა – 1 კვირა ინფორმაციის წინასწარი დასაიდუმლოებიდან (სახ.საიდ. მუხლი 11).

საიდუმლოს გრიფის მქონე ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადა – იხ. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადა.

საკანონმდებლო აქტის მიღების თარიღი – იხ. ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თარიღი.

საკანონმდებლო აქტის ძალაში შესვლის ვადა – იხ. საქართველოს საკანონმდებლო აქტის ძალაში შესვლის ვადა.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემონმების ვადა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში – იხ. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემონმების ვადა.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემონმების, წარმოებაში მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის კანონით გათვალისწინებული ვადების დინების შეჩერების ვადა – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის მიღებამდე (საკასაციო სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის საკონსულტაციო დასკვნისთვის მიმართვის შემთხვევაში). (ამოქმედდება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-16 ოქმის საქართველოს მიმართ ამოქმედებისთანავე) (სასკ მუხლი 34.5).

საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა ადმინისტრაციულ საქმეზე – იხ. ადმინისტრაციულ საქმეზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა.

საკვალიფიკაციო პალატის არჩევის ვადა – იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის არჩევის (უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ 3 წევრის შემადგენლობით) ვადა.

საკვალიფიკაციო პალატის თავმჯდომარედ არჩევის ვადა – იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატის თავმჯდომარედ არჩევის ვადა.

საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა – 20 დღე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ განცხადების ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის საჯარო გაცნობისათვის წარდგენის დღიდან. მოსაზრება, ნებისმიერი პირის მიერ წარიდგინება წერილობით. ადმინისტრაციული ორგანო კერძო პირების მიერ წარდგენილ მოსაზრებებს რეგისტრაციიდან ერთი დღის განმავლობაში უგზავნის სხვა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და საზოგადოებრივ ექსპერტს (ზაკ მუხლი 118).

სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის, აღსრულების პოლიციელის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურისა და კანონით გათვალისწინებული შესაბამისი პირების კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, ან ამ პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელებისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა – 15 დღემდე და იარაღის უფლების ჩამორთმევა 3 წლამდე (ასკ მუხლი 173).

სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე სასამართლოში სარჩელის წარდგენის ვადა – მხოლოდ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ზემდგომი ორგანოსაგან სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე წერილობითი უარის მიღების შემდეგ (ზაკ მუხლი 18).

სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე უარის მთქმელი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, მთხოვნელი ადმინისტრაციული

ორგანოსათვის შეტყობინების სავალდებულო ვადა – 3 დღის განმავლობაში (წერილობით) (ზაკ მუხლი 18).

სამართლებრივი დახმარების განევის ასანაზღაურებლად 50 ლარზე მეტი სავარაუდო ხარჯის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოსათვის შეტყობინების ვადა – სამართლებრივი დახმარების გამწვანევი ორგანოს მიერ წინასწარ (ზაკ მუხლი 19).

სამართლო საკანში მოთავსებული პირის მიერ გასეირნების უფლებით სარგებლობის ხანგრძლივობა – არანაკლებ 1 საათი ყოველდღიურად (პატ.კ. მუხლი 88).

სამედიცინო დანესებულების საქმიანობის შერჩევით შემოწმების ვადა – წელიწადში ერთხელ, შესაბამისი სააგენტოს მიერ (სსემ მუხლი 28).

სამოსამართლო კონკურსის ჩატარების ვადა – იხ. მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაციისათვის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განცხადებების წარდგენისთვის დადგენილი ვადა.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს პირველი სხდომის ჩატარების ვადა – 60 დღე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან 60 დღის ვადაში (ათკ მუხლი 149.1).

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს შეკრების პერიოდულობა – 3 თვეში ერთხელ მაინც (ათკ მუხლი 149.2).

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი პირის მიერ (მისი ოჯახური მდგომარეობის, სამუშაო და საცხოვრებელი (ფაქტობრივი და რეგისტრაციის) ადგილების, თანამდებობის შეცვლის, განათლების შესახებ, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მასალის) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი თანამდებობის პირისთვის (მოთხოვნის შემთხვევაში) ინფორმაციის მიწოდების ვადა – 2 კვირა (ასკ მუხლი 197).

სამხედრო სარეზერვო სამსახურში გამოუცხადებლობის (სამხედრო სარეზერვო სამსახურისთვის თავის არიდების მიზნით) გამოკანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა – 15 დღე (ასკ მუხლი 197³).

სამხედროვალდებულისთვის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის შესახებ დასკვნის მუნიციპალიტეტისთვის შეტყობინების ვადა – 10 დღე დასკვნის გამოტანიდან (ასკ მუხლი 196^ბ).

საოჯახო პაემნის განხორციელების თაობაზე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის მიერ სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორისადმი შუამდგომლობით მიმართვის ვადა – 5 დღე მსჯავრდებულის წერილობითი მიმართვის მიღებიდან. გენერალური დირექტორი გადაწყვეტილებას იღებს შუამდგომლობის მიღებიდან 3 დღეში. აღნიშნული თანხმობის მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღეში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება უზრუნველყოფს საოჯახო პაემნის ორგანიზებას და აცნობებს განმცხადებელს (პატ.კ. მუხლი 17³.3¹⁻⁴).

საოჯახო პაემნის მოთხოვნის თაობაზე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორისადმი მსჯავრდებულის მიერ წერილობით მიმართვის ვადა – საოჯახო პაემნის განხორციელებამდე 10 დღით ადრე, ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგინებით (პატ.კ. მუხლი 17³.3).

საოჯახო პაემნის ხანგრძლივობა – არაუმეტეს 3 საათი (პატ.კ. მუხლი 17³.5).

საპენსიო ასაკი – 65 წლის მიღწევა. ქალებს პენსიაზე უფლება წარმოეშობათ 60 წლიდან (სახ.პენ. მუხლი 5).

საპროკურორო საბჭოს ახალი წევრის არჩევის ვადა – არაუადრეს 30 კალენდარული დღე შესაბამისი წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე და არაუგვიანეს 7 დღე ამ ვადის ამოწურვიდან (პრმ მუხლი 8¹).

საპროკურორო საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადა – 4 წელი (პრმ მუხლი 8¹.3).

საპროკურო საბჭოს წევრის მიერ მთავარი პროკურორის, მთავარი პროკურორის მოადგილეების, მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის უფროსის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის, ქ. თბილისის პროკურორის ან საოლქო პროკურორის თანამდებობის დაკა-

ვების შემთხვევაში საბჭოს წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტის ვადა – შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნისთანავე (პრმ მუხლი 8'.3).

საპროკურორო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საპროკურორო საბჭოს ახალი წევრის არჩევის ვადა – არაუგვიანეს 1 თვე უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის დღიდან (პრმ მუხლი 8'.3').

საპროკურორო საბჭოს წევრის (საქართველოს პარლამენტის და საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ არჩეული) უფლებამოსილების შეწყვეტის ვადა – მათი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტისთანავე (პრმ მუხლი 8').

საპროცესო ვადის აღდგენა საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის – სასამართლოს მიერ, საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში (ზაკ მუხლი 94; სსკ მუხლი 65).

საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განცხადების შეტანის დრო – ვადის გასვლის შემდეგ განცხადების შეუტანლობის საპატიო მიზეზის არსებობისას (ზაკ მუხლი 94; სსკ მუხლი 66).

საპროცესო ვადის გაგრძელება – მხარეთა თხოვნის შემდეგ ან სასამართლოს ინიციატივით (ზაკ მუხლი 94; სსკ მუხლი 64).

საპროცესო ვადის დენის განახლება – წარმოების განახლების დღიდან (ზაკ მუხლი 94; სსკ მუხლი 62).

საპროცესო ვადის უკანასკნელი დღის გასვლა – ბოლო დღის 24 საათის შემდეგ (ზაკ მუხლი 94; სსკ მუხლი 61).

საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა – ზუსტი კალენდარული თარიღით, იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს, ან დროის მონაკვეთით (ზაკ მუხლი 94; სსკ მუხლი 60).

სარეგისტრაციო წარმოების განახლებისას სარეგისტრაციო წარმოების ვადის ათვლა – იწყება ხელახლა (სრემ მუხლი 21.5).

სარჩელის უზრუნველყოფის სახით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ სასამართლო

განჩინების გასაჩივრების ვადა – 5 დღე (კერძო საჩივრით) (სასკ მუხ-
ლი 29.9; სსკ მუხლი 194).

**სასამართლო აქტის გასაჩივრების ვადა ადმინისტრაციულ საქ-
მეზე** – იხ. ადმინისტრაციულ საქმეზე სასამართლო აქტის გასაჩივრე-
ბის ვადა.

**სასამართლო სხდომის მდივნად დასანიშნად მოთხოვნილი სასა-
მართლო სხდომის მდივნად აუცილებელი მუშაობის სტაჟი** – 1 წე-
ლი (სასა მუხლი 79².3).

**სასამართლოს აპარატის მოხელედ დანიშვნისას მოთხოვნილი სა-
ერთო სასამართლოში ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის ხან-
გრძლივობა** – 1 წელი (სასა მუხლი 57.1).

**სასამართლოს აპარატის მოხელედ დანიშვნისას პირის ანაზღაუ-
რებადი სტაჟირების ან/და სპეციალური სასწავლო კურსის გავ-
ლის ნაცვლად მოთხოვნილი მოსამართლედ, პროკურორად, გა-
მომძიებლად, ადვოკატად, იურისტად, სასამართლოში სპეციალო-
ბით მუშაობის სტაჟი** – არანაკლებ 1 წელი, იურიდიული სპეციალო-
ბით მუშაობის შემთხვევაში – არანაკლებ 2 წელი (სასა მუხლი 57.3).

სასამართლოს გამწესრიგებელი სხდომის დანიშვნის ვადა – იხ. ად-
მინისტრაციულ საქმეთა წარმოებისას სასამართლოს გამწესრიგებ-
ელი სხდომის დანიშვნის ვადა.

**სასამართლოს ლიკვიდაციის, აგრეთვე მოსამართლის თანამდე-
ბობის შემცირების გამო რეზერვში მყოფი მოსამართლის მიერ თა-
ნამდებობრივი სარგოს მიღების ვადა** – 3 წელი რეზერვში ჩარიც-
ხვიდან (სასა მუხლი 44.3).

**სასამართლოს ლიკვიდაციის, აგრეთვე მოსამართლის თანამდე-
ბობის შემცირებისას განსაზღვრული ვადით დანიშნული მოსამარ-
თლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელე-
ბაზე უარის თქმის ან მისთვის სხვა სასამართლოს მოსამართლის
უფლებამოსილების განხორციელების არდაკისრების შემთხვევა-
ში მისივე წინასწარი წერილობითი თანხმობით რეზერვში ჩარიც-
ხვის ვადა** – მისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის გასვლამ-
დე (სასა მუხლი 44.2).

სასამართლოს ლიკვიდაციის, აგრეთვე მოსამართლის თანამდებობის შემცირებისას მოსამართლის წინასწარი წერილობითი თანხმობით შესაბამისი ან ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების დაკისრების ვადა – მხოლოდ მისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადაში (სასა მუხლი 44.1).

სასამართლოს ლიკვიდაციის, აგრეთვე მოსამართლის თანამდებობის შემცირებისას რეზერვიდან ამორიცხულ განსაზღვრული ვადით დანიშნულ მოსამართლეზე სხვა სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების დაკისრების ვადა – მისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში (სასა მუხლი 44.3).

სასამართლოს მანდატურად მუშაობის ასაკი – 22 წლის მიღწევიდან (სასა მუხლი 59.4).

სასამართლოს მეგობარის (*Amicus Curiae*) მიერ სასამართლოსთვის საკუთარი წერილობითი მოსაზრების (განსახილველ საქმესთან დაკავშირებით) წარდგენის ვადა – საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე (სასკ მუხლი 16¹).

სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ დაინტერესებული პირის შეტყობინების და საქმეში მესამე პირად ჩაბმის ვადა – სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე (სასკ მუხლი 16.1).

სასამართლოს მიერ კონკრეტული საქმის განხილვისას გამოსაყენებელი კანონის (ნორმატიული აქტის) არაკონსტიტუციურად მიჩნევის გამო საქმის განხილვის შეჩერებისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში საქმის განხილვის განახლების ვადა – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ (სასა მუხლი 7.3).

სასამართლოს მიერ სასამართლოს მეგობრის (წერილობითი მოსაზრების ავტორის) ზეპირი განმარტების მისაცემად გამოძახების ვადა – საქმის არსებითი განხილვის პერიოდში (სასკ მუხლი 16¹).

სასამართლოს შესასვლელის ბლოკირების, შეკრების ან მანიფესტაციის მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას ან საქართველოს საერთო სასამართლოში ჩატარებისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა – 15 დღემდე და იარაღის ტარების უფლების

ჩამორთმევა 3 ნლამდე (ასკ მუხლი 174¹).

სატრანსპორტო ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო საჯარიმო ქვითრით გამოწერილი ჯარიმის გადახდის ვადა – 30 დღე საჯარიმო ქვითრის ჩაბარებიდან. გადაუხდელობის შემთხვევაში დაირიცხება საურავი. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში ხორციელდება სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია (ასკ მუხლი 290¹.6-7).

სატრანსპორტო ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო საჯარიმო ქვითრის სამართალდამრღვევისთვის ჩაბარებულად მიჩნევის ვადა – სამართალდამრღვევის რეგისტრაციის ადგილზე ჩაბარებიდან ან ფოსტის საშუალებით განმეორებითი ჩაუბარებლობის შემთხვევაში – შსს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 30-დღეს (ასკ მუხლი 290¹.5).

სატრანსპორტო ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო საჯარიმო ქვითრის ფოსტით განმეორებით გაგზავნა სამართალდამრღვევის რეგისტრაციის ადგილზე – პირველი მიტანის შემდეგ ქვითრის ფოსტაში დაბრუნებიდან არაუადრეს 30 და არაუგვიანეს 60 დღისა (ასკ მუხლი 290¹.3).

სატრანსპორტო ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ჯარიმის 20 პროცენტით შემცირების საშუალებით პერიოდი – დაჯარიმების შესახებ დადგენილების (საჯარიმო ქვითრის) თაობაზე ინფორმაციის თაობაზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ან სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში გადახდის შემთხვევაში (ასკ მუხლი 290².2).

სატრანსპორტო ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის მიერ ჯარიმის ან საურავის კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში გადაუხდელობისას ჯარიმის სანაცვლოდ გამოყენებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების ვადა – 6 თვე (ასკ მუხლები: 118¹; 123; 127¹).

სატრანსპორტო ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისას სამართალდამრღვევზე დაკისრებული ჯარიმის საურავთან ერთად გადახდის ვადა – 30 დღე ჯარიმის გადახდისათვის გათვალისწინებული ვადის გასვლიდან (ასკ მუხლი 290.1¹).

სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სახდელის შესახებ დადგენილების აღსრულების ხანდაზმულობის ვადა – 1 წელი დადგენილების ძალაში შესვლიდან (ასკ მუხლი 287).

სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვის მოქმედების ვადა – სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების დადგენილების გამოტანამდე (ასკ მუხლი 249).

სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებით სარგებლობის უხეში ან სისტემატური დარღვევის გამო მოქალაქისთვის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების ვადა – 15 დღიდან 3 წლამდე (ასკ მუხლი 30.1).

სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების ვადა – 15 დღიდან 3 წლამდე. კონკრეტული სამართალდარღვევისთვის ეს ვადები შემდეგია: 6 თვით – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე; 118-ე; 118²; 118³; 120-ე; 121-ე; 121¹; 122-ე; 123-ე, 125-ე; 127¹ მუხლებით; 1 წლით – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე; 121¹; 123-ე, 125-ე მუხლებით; 2 წლით – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123-ე მუხლით; 3 წლით – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე და 123-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში (ასკ მუხლი 30).

სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების ვადა სატრანსპორტო საშუალების ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მართვის, ანდა სატრანსპორტო საშუალების მართვისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისათვის თავის არიდების გამო – 3 წელი (ასკ მუხლი 116).

სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების შესახებ დადგენილების აღსრულებულად ჩათვლის ვადა – დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან (ასკ მუხლი 300).

სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერებული ვადის შემცირების საკითხის დაყენების ვადა – შეჩერებული უფლების ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ (ასკ მუხლი 300).

სატრანსპორტო საშუალების მძღოლის სპეციალურ უფლება შეჩერებულად ჩათვლის ვადა – ამ უფლების შეჩერების შესახებ დადგენილების გამოტანის დღიდან, ხოლო მართვის უფლების შეჩერების ვადის გაზრდის შემთხვევაში მძღოლი სპეციალურ უფლება შეჩერებულად ჩაითვლება ამ უფლების შეჩერების შესახებ დადგენილებაში მითითებული შესაბამისი თარიღიდან (ასკ მუხლი 303).

სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ ან სხვა დაცულ სადგომზე დატოვების ვადა – საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან სათანადო განცხადებისა და საექსპერტო შეფასების წარდგენამდე (ასკ მუხლი 250.1³).

საურავის გადახდის ვადა – 30 დღე – დამრღვევისათვის საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ასლის ჩაბარებიდან ან ადგილზე დაჯარიმების შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის ჩაბარებისთანავე – ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან (ასკ მუხლი 288⁴).

საურავის დაკისრებისა და გადახდის ვადა – საურავი სამართალდამრღვევს დაეკისრება ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის გამო. საურავის გადახდის ვადაა 30 დღე. ამ ვადაში გადაუხდელობა იწვევს იძულებით აღსრულებას (ასკ მუხლი 290).

საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების აღსრულების ვადის დაწყება – დადგენილების გამოტანიდან (ასკ მუხლი 288³).

საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების აღსრულების ხანდაზმულობის ვადა – 6 თვე ამ დადგენილების გამოტანიდან (ასკ მუხლები: 287; 288⁶).

საქართველოდან გაძევებასთან დაკავშირებით შსს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით უცხოელის სარჩელის რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ განხილვის ვადა – 30 დღე სარჩელის შეტანიდან (სასკ მუხლები: 21^{40.1}; 21⁴⁴).

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ იურიდიული დახმარების საბჭოში წარსადგენი პირისადმი მოთხოვნილი საადვოკატო საქმიანობაში გამოცდილების სტაჟი – 5 წელი (იღმ მუხლი 10.2¹).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ან სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებული ვადების ათვლა – დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის მომენტიდან (სახ.ქონ. მუხლი 5^{1.7}).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებად ჩათვლის ვადა – აქტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.economy.gov.ge) გამოქვეყნებიდან (სახ.ქონ. მუხლი 5^{1.7}).

საქართველოს ეროვნული ბანკის დაუყოვნებლივ ასამოქმედებელი ნორმატიული აქტის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთვის“ გადაცემისა და გამოქვეყნების ვადა – არაუგვიანეს შემდეგი სამუშაო დღისა (ნოაშ მუხლი 27.6).

საქართველოს ეროვნული ბანკის დაუყოვნებლივ ასამოქმედებელი ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის ვადა – ამ აქტში მითითებული თარიღიდან (ნოაშ მუხლი 23.2).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედების დრო – 2000 წლის 1 იანვრიდან (ზაკ მუხლი 219).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გავრცელება აუდიტის ჩატარების ვადაზე – არ ვრცელდება (საუდს მუხლი 19).

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალური ნოდების მქონე თანამშრომლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან დაჭრის, დასახიჩრების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად აღიარების შემთხვევაში ოჯახისთვის ან მისთვის ფულადი დახმარების (დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად) განევის პერიოდულობა – ერთჯერადად 15 000 ლარის ან არაუმეტეს 7 000 ლარის ოდენობით (სსშ მუხლი 69).

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ნორმატიული აქტით განსაზღვრული საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთვის“ გამოსაქვეყნებლად გადაცემის ვადა – 5 დღე ამ ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებიდან (ხელ-

მონერიდან) (ნოაშ მუხლი 27.2').

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ნორმატიული აქტის პროექტზე შესაბამისი დარგის საზოგადოებრივი ექსპერტის დასკვნის მოთხოვნის ვადა – იუსტიციის სამინისტროს მიერ სამართლებრივი დასკვნის გაცემამდე (ნოაშ მუხლი 19.6).

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს კანონმდებლობაზე ნორმატიული აქტის პროექტის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნის წარდგენის ვადა – 10 დღე აქტის პროექტის იუსტიციის სამინისტროსთვის გადაცემიდან (ნოაშ მუხლი 19.7).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრობის კანდიდატისთვის სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში მონაწილეობის სტაჟი – ბოლო 2 წელი კონკურსის გამოცხადებამდე (სასა მუხლი 47.5).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი წევრის არჩევის (დანიშნის) ვადა – არაუადრეს 30 კალენდარული დღე და ამ ვადის ამონურვიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღე საბჭოს შესაბამისი წევრის უფლებამოსილების ვადის ამონურვამდე, ხოლო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – არაუგვიანეს 1 თვე უფლებამოსილების შეწყვეტიდან (სასა მუხლი 47.12).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი წევრის არჩევის (საქართველოს პარლამენტის მიერ) ვადის მთლიანად ან ნაწილობრივ საქართველოს პარლამენტის სესიებს შორის პერიოდის დამთხვევის შემთხვევაში არჩევნებისთვის განსაზღვრული ვადის გაგრძელების ხანგრძლივობა – შესაბამისი დროით (სასა მუხლი 47.12).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი – იხ. დამოუკიდებელი ინსპექტორის (სასა მუხლი 75^ე) ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის შესაბამისი განმარტება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ) ვადა –

4 წლის ვადით (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრთაგან), მაგრამ არაუმეტეს მისი როგორც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადისა (სასა მუხლი 47.2¹).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის (საბჭოს მოსამართლე წევრებისგან) არჩევის (საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ) ვადა – 4 წელი (სასა მუხლი 51.1).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლის საქმიანობის შეფასების მიზნით წილისყრით ერთი მოსამართლე წევრის და ერთი არამოსამართლე წევრის შერჩევის ვადა – თანამდებობაზე მოსამართლის გამწესებიდან 1 წლის თავზე და 2 წლის თავზე, აგრეთვე 4 თვით ადრე მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის 3-წლიანი ვადის გასვლამდე (სასა მუხლი 36.4⁴).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შექმნის დრო – არაუადრეს 10 დღე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე (სასა მუხლი 52.2).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საპროკურორო საბჭოს 2 წევრის ასარჩევად მოთხოვნილი საქართველოს საერთო სასამართლოში მოსამართლედ მუშაობის (გამოცდილების) ვადა – 5 წელი (პრმ მუხლი 8¹.2).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩეული შემფასებლების მიერ 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლის თანამდებობაზე საქმიანობის შეფასების ვადა – შერჩევიდან 2 თვე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად (სასა მუხლი 36.4⁴).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის მოწვევის პერიოდულობა – საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 3 თვეში ერთხელ (სასა მუხლი 47.15).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად ასარჩევად (საქართველოს პარლამენტის მიერ) უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირის სპეციალობით მუშაობის სტაჟი – არანაკლებ 5 წელი (სასა მუხლი 47.6).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის დანიშვნის (საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონკურსის საფუძველზე) ვადა – არაუადრეს 1 თვე და არაუგვიანეს 1 კვირა საბჭოს შესაბამისი წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, ხოლო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – არაუგვიანეს 1 თვე უფლებამოსილების შეწყვეტიდან (სასა მუხლი 47.11¹).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის კანდიდატურების საქართველოს პრეზიდენტისთვის წარდგენის ვადა – 30-ე დღიდან 10 დღის განმავლობაში საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, ხოლო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – 10 დღე უფლებამოსილების შეწყვეტიდან (სასა მუხლი 47.11¹).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა – 4 წელი (სასა მუხლი 47.12).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისათვის განსაზღვრული უფლებამოსილების განუხორციელებლობის ვადა – წელიწადში 4 თვეზე მეტი (სასა მუხლი 48.1).

საქართველოს კანონქვემდებარე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტების ძალაში შესვლის ვადა – გამოქვეყნებისთანავე, თუ თვით ამ ნორმატიული აქტებით სხვა ვადა არ არის დადგენილი (ნოაშ მუხლი 23.1).

საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარდგენის ვადა – უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ (ნოაშ მუხლი 19.5).

საქართველოს კონსტიტუციური კანონის საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის ხელმოსაწერად გადაცემის ვადა – 10 დღე საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით მიღების შემთხვევაში და მომდევნო მოწვევის საქართველოს პარლამენტის მიერ მისი უცვლელად დამტკიცებიდან. საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც ხელს

ანერს და აქვეყნებს მას გადაცემიდან 5 დღის ვადაში, პარლამენტისთვის შენიშვნებით დაბრუნების უფლების გარეშე. საქართველოს კონსტიტუციური კანონი, რომელიც უკავშირდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, მიღებიდან 10 დღის ვადაში ხელმოსაწერად გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც ხელს აწერს და აქვეყნებს მას გადაცემიდან 2 კვირის ვადაში, საქართველოს პარლამენტისთვის შენიშვნებით დაბრუნების უფლების გარეშე (ნოაშ მუხლი 10.8¹).

საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმების ძალაში შესვლის ვადა – ოფიციალურად გამოქვეყნებისთანავე, თუ თვით ამ შეთანხმებით სხვა ვადა არ არის დადგენილი (ნოაშ მუხლი 23).

საქართველოს მთავრობის დადგენილების ძალის დაკარგვის მომენტი – შესაბამისი საქართველოს კანონმდებლობის საკანონმდებლო აქტის საფუძველზე მიღებული (გამოცემული) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ამოქმედების დღიდან (ნოაშ მუხლი 12.2).

საქართველოს მთავრობის მიერ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის მიღებისა და საქართველოს პარლამენტისთვის დასამტკიცებლად წარუდგენის ვადა – 1 თვე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დოკუმენტის გადაცემიდან (ზგშ მუხლი 25.2).

საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო აქტის პროექტის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის ვადა – 1 თვე ნორმატიული აქტის მიღებიდან (ნოაშ მუხლი 12.3).

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარის არჩევის და უფლებამოსილების ვადა – 3 წელი (სასა მუხლი 64.3).

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მოწვევის პერიოდიულობა – არანაკლებ წელიწადში ერთხელ (სასა მუხლი 66.1).

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სხდომის დღის წესრიგის უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების ვადა – არაუგვიანეს 7 კალენდარული დღე სხდომამდე (სასა მუხლი 66.1).

საქართველოს ნორმატიული აქტის (გარდა პერსონალურ მონა-

ცემთა დაცვის ინსპექტორის ნორმატიული აქტისა) „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთვის“ გამოსაქვეყნებლად გადაცემის ვადა – 10 დღე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი დასკვნის გაცემიდან (ნოაშ მუხლი 27.1).

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ კანონზე ხელმოწერისა და გამოქვეყნების ვადა – საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნების არმილების შემდეგ, კანონის პირვანდელი რედაქციის კენჭისყრის შემდეგ კანონის 3 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტისთვის გადაცემიდან (რომელიც 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას), საქართველოს პრეზიდენტის მიერ დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნების ვადის ამონურვიდან 5 დღე (ნოაშ მუხლი 10.8).

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პერსონალური დაცვით უზრუნველყოფის ვადა – თანამდებობაზე არჩევის დღიდან, რომელიც უნარჩუნდება 1 წლის ვადით უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ, თუ მისი უფლებამოსილების შეწყვეტა არ არის საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენის შედეგი (სდსს მუხლი 5.4).

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საქართველოს პრეზიდენტისათვის გადაცემის ვადა – მიღებიდან 10 დღე (ნოაშ მუხლი 10.7).

საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს პრეზიდენტის კანონზე მოტივირებული შენიშვნების მიღების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის მიერ კანონის ხელმოწერისა და გამოქვეყნების ვადა – 5 დღე პრეზიდენტისთვის გადაცემიდან. საქართველოს პრეზიდენტის მიერ ამ ვადაში კანონის არ გამოქვეყნების შემთხვევაში მომდევნო 5 დღის ვადაში კანონს ხელს აწერს პარლამენტის თავმჯდომარე (ნოაშ მუხლი 10.8).

საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის მიერ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისა და წარდგენის ვადა – პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციიდან ერთი კვირა (სდიშკ მუხლი 14.5).

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ძალაში შესვლის ვა-

და – ოფიციალურად გამოქვეყნებისთანავე, თუ თვით ამ ბრძანებულებით სხვა ვადა არ არის დადგენილი (ნოაშ მუხლი 23).

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის ვადა – დაუყოვნებლივ (ნოაშ მუხლი 23.5).

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის ძალაში შესვლისა და მოქმედების ვადა – გამოცემის მომენტიდან. საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვის შესახებ ძალაში შედის გამოცემისთანავე, ხოლო ნორმის შეჩერების შესახებ – საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებისთანავე და მოქმედებს საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე (ნოაშ მუხლი 23.4).

მიერ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, ორგანული კანონისა და კანონის ხელმოწერის, გამოქვეყნების ან საქართველოს პარლამენტისათვის მოტივირებული შენიშვნებით დაბრუნების ვადა – 2 კვირა კანონის მისთვის გადაცემიდან (ნოაშ მუხლი 10.8).

საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტის, გარდა ისეთი აქტისა, რომელიც საჭიროებს კონტრასიგნაციას, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთვის“ გადაცემისა და გამოქვეყნების ვადა – 10 დღე მათი მიღებიდან/გამოცემიდან (ნოაშ მუხლი 27.4).

საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტის (რომელიც საჭიროებს თანახელმოწერას) სამართლებრივი შედეგების წარმოშობის ვადა – მხოლოდ თანახელმოწერის შემდეგ (ნოაშ მუხლი 11.8).

საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტის (რომელიც საჭიროებს თანახელმოწერას) „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთვის“ გადაცემისა და გამოქვეყნების ვადა – 5 დღე თანახელმოწერის განხორციელებიდან (ნოაშ მუხლი 27.4).

საქართველოს პრეზიდენტის, როგორც საქართველოს თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანების ძალაში შესვლის ვადა – მისი ხელმოწერის მომენტიდან, თუ საქართველოს კონსტიტუ-

ციით ან თვით ამ ბრძანებით სხვა ვადა არ არის დადგენილი (ნოაშ მუხ-
ლი 23.9).

**საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის სახელმწიფო დაცვით
უზრუნველყოფის ვადა** – საარჩევნო კამპანიისა და არჩევნების პე-
რიოდში (სდსს მუხლი 5.1).

**საქართველოს პრეზიდენტის პერსონალური დაცვით უზრუნველ-
ყოფის ვადა** – თანამდებობაზე არჩევის დღიდან, რომელიც უნარ-
ჩუნდება 1 წლის ვადით უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ
ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ, თუ მისი უფლებამოსი-
ლების შეწყვეტა არ არის საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის
ან დანაშაულის ჩადენის შედეგი (სდსს მუხლი 5.4).

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის პერსონალური დაცვით
უზრუნველყოფის ვადა** – თანამდებობაზე დანიშნვის დღიდან,
რომელიც უნარჩუნდება 1 წლის ვადით უფლებამოსილების ვადის
გასვლის შემდეგ ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ, თუ მისი
უფლებამოსილების შეწყვეტა არ არის საქართველოს კონსტიტუციის
დარღვევის ან დანაშაულის ჩადენის შედეგი (სდსს მუხლი 5.4).

**საქართველოს საერთო სასამართლოების ყოფილი მოსამართლის
მოსამართლოების საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისაგან
განთავისუფლების ვადა** – სამოსამართლო უფლებამოსილების შენ-
ყვეტიდან 10 წლის გასვლამდე (სასა მუხლი 34.5).

საქართველოს საკანონმდებლო აქტის ძალაში შესვლის ვადა –
ოფიციალურად გამოქვეყნებიდან მე-15 დღე, თუ თვით ამ საკანონ-
მდებლო აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი (ნოაშ მუხლი 23.3).

**საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სახელმწიფო კომპანიები-
დან 2005 წლის 1 იანვრამდე დათხოვნილი 50 წლის ასაკს მიღწეუ-
ლი მოსამსახურის ყოფილი ბორტაეროლოგის, საჰაერო მოძრაო-
ბის მეთვალყურის ან საჰაერო ხომალდების თვითმფრინავების
უშუალოდ ტექნიკური მოსამსახურის კომპენსაციის დანიშნისას
მუშაობის სტაჟის ხანგრძლივობა** – მამაკაცისთვის არანაკლებ 12
წელი და 6 თვე, ქალისათვის – არანაკლებ 10 წელი (სკსას მუხლი 15¹).

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სახელმწიფო კომპანიებში

მფრინავ 2005 წლის 1 იანვრამდე დათხოვნილი 50 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის კომპენსაციის გაანგარიშებისას ნაფრენის დრო – მამაკაცისთვის – არანაკლებ 6000 საათი, ქალისთვის – 4800 საათი (სკსას მუხლი 15¹.1).

საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანების ძალაში შესვლის ვადა – იხ. საქართველოს პრეზიდენტის, როგორც საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანების ძალაში შესვლის ვადა.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ იურიდიული დახმარების საბჭოში წარსადგენი პირისადმი მოთხოვნილი პედაგოგიური/სამეცნიერო საქმიანობის ან/და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მუშაობის სტაჟი – 5 წელი (იდმ მუხლი 10.5).

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიმოსვლის დროებითი შეწყვეტის ხანგრძლივობა – დროებით, საშიშ ინფექციურ დაავადებათა გავრცელების საფრთხის არსებობისას ან კარანტინის პერიოდში (სახ.საზ. მუხლი 23).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალური ინსპექციის მიერ დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში საქართველოს გენერალურ პროკურატურატურაში შესაბამისი მასალების გადაცემის ვადა – დაუყოვნებლივ (სსუს მუხლი 50.5).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კადრების განკარგულებაში აყვანილი მოხელის სამსახურიდან შესაძლო დათხოვნის შესახებ გაფრთხილების ვადა – კადრების განკარგულებაში აყვანის დღიდან (სსუს მუხლი 33.3).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურის თანამდებობიდან დროებითი გადაყენების ვადა – სისხლის სამართლის საქმეში მისი ბრალდებულად ცნობის მომენტიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. მოსამსახურე იმავე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგება გამართლების მომენტიდან (სსუს მუხლი 31).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურის მიერ საფრთხის თავიდან ასაცილებლად პირის მიმართ გარკვეული ადგილის განსაზღვრული დროით დატოვებისა ან კონ-

კრეტული ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვის პერიოდი – საფრთხის აღმოფხვრამდე (სსუს მუხლი 19.2).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის აქტიური გამოყენების შესახებ უშუალო უფროსისა და პროკურორისთვის შეტყობინების ვადა – დაუყოვნებლივ (სსუს მუხლი 26.10).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურის ჯანმრთელობის დაზიანების გამო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამსახურის მიერ შესაბამის თანამდებობაზე მისი დასაქმების შეუძლებლობის შემთხვევაში უმუშევრობის პერიოდისათვის შესაბამისი კომპენსაციის გაცემის ვადა – არაუმეტეს 1 წელი (სსუს მუხლი 41.15).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურისთვის დადგენილი სამუშაო დრო – არანორმირებული სამუშაო დღე (სსუს მუხლი 39.1).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურისთვის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა – 30 კალენდარული დღე. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში 5 წელზე მეტი სტაჟის მქონე მოსამსახურისთვის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობაა 35 კალენდარული დღე, 10 წელზე მეტი სტაჟის მქონე მოსამსახურისთვის – 40 კალენდარული დღე (სსუს მუხლი 40).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოხელის (მათ შორის, სამხედრო და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურის) კადრების განკარგულებაში აყვანის ხანგრძლივობა – არაუმეტეს 4 თვე (სსუს მუხლი 33.1).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უმაღლესი სამხედრო და სახელმწიფო სპეციალური წოდების მისანიჭებლად სამსახურის ვადა – არ წესდება (სსუს მუხლი 35.2).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფლებამოსილი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ სახელმწიფო საიდუმლოებასთან სახელმწიფო ორგანოს/იურიდიული პირის დაშვების შესახებ სათანადო ნებართვის მოქმედების ვადა – არაუმე-

ტეს ნელი (სახ.საიდ. მუხლი 19).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ან მისი მოადგილის მიერ წინა წელს განეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის ვადა – წელიწადში ერთხელ არაუგვიანეს 5 აპრილისა (სსუს მუხლი 9.2).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ვადის ამონურვამდე მისი უფლებამონაცვლის არარჩევის შემთხვევაში მისი პირველი მოადგილის ან საქართველოს მთავრობის განკარგულებით დანიშნულ მოვალეობის შემსრულებელ ერთ-ერთი მოადგილის მიერ სამსახურის უფროსის მოვალეობის შესრულების ვადა – უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ვადის ამონურვის დღიდან სამსახურის ახალი უფროსის არჩევამდე (სსუს მუხლი 7.10).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩეული პირის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე განმეორებით არჩევის ვადა – უფლებამოსილების ვადის ამონურვიდან ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან 6 წლის შემდეგ. სამსახურის უფროსად ზედიზედ ორჯერ არჩევა არ შეიძლება (სსუს მუხლი 7.12).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აასარჩევად სამართადამცავ ორგანოში მუშაობის გამოცდილების მინიმალური ვადა და კანდიდატის ასაკი – არანაკლებ 2 წლის გამოცდილება და არანაკლებ 35 წლის კანდიდატი (სსუს მუხლი 7.13).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის კანდიდატურის ასარჩევად ხმათა საჭირო რაოდენობის მიუღებლობის ან კვლავ მიუღებლობის შემთხვევაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის კანდიდატურის საქართველოს მთავრობისათვის წარდგენის ვადა – 1 კვირა (სსუს მუხლი 7.7-7.8).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის კანდიდატურის საქართველოს მთავრობის მიერ განხილვისა და საქართველოს პარლამენტისთვის მისი წარდგენის შესახებ გან-

კარგულების მიღების ვადა – 1 კვირა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ამ კანდიდატურის მთავრობისთვის წარდგენიდან (სსუს მუხლი 7.2).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის კანდიდატურის საქართველოს მთავრობისთვის განსახილველად წარდგენის (საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ) ვადა – არაუადრეს 2 თვე და არაუგვიანეს 8 კვირა სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე (სსუს მუხლი 7.1).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის კანდიდატურის საქართველოს მთავრობისთვის (საქართველოს მთავრობის მიერ განკარგულების მიუღებლობის (განმეორებით მიუღებლობის) შემთხვევაში) იმავე ან სხვა კანდიდატურის განმეორებით საქართველოს პარლამენტისთვის (იგივე ან სხვა პირის) წარდგენის ვადა – 3 კალენდარული დღე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ (სსუს მუხლი 7.3).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის კანდიდატურის საქართველოს პარლამენტის მიერ განხილვისა და არჩევის ვადა – 2 კვირა საქართველოს მთავრობის მიერ ამ კანდიდატურის პარლამენტისთვის წარდგენიდან (სსუს მუხლი 7.6).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილის და მოადგილეების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ვადა – სამსახურის ახალი უფროსის არჩევისთანავე (სსუს მუხლი 6.6).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადა – 6 წელი. ეს ვადა იწყება სამსახურის წინამორბედი უფროსის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის დღის მომდევნო დღეს (სსუს მუხლი 7.11).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საქართველოს პარლამენტის მიერ გადანყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში იმავე მიზეზით/საფუძვლით ამ საკითხის განმეორებით დაყენების ვადა – მომდევნო 6 თვის გასვლის შემდეგ (სსუს მუხლი 10.6).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ახალი კანდიდატურის საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ საქართველოს მთავრობისთვის წარდგენის ვადა – სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან 1 თვე (სსუს მუხლი 10.8).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ სამსახურის ახალი უფროსის კანდიდატურის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენის ვადა – 1 თვე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან (სსუს მუხლი 10.8).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადის ამონურვამდე სამსახურის უფროსის პირველი მოადგილის (ერთ-ერთი მოადგილის) მიერ სამსახურის უფროსის მოვალეობის შესრულების ვადა – სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადის ამონურვის დღიდან სამსახურის ახალი უფროსის არჩევამდე (სსუს მუხლი 7.10).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის უფლებამოსილების შეჩერების და მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მოთხოვნით საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული განკარგულების საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის ვადა – დაუყოვნებლივ – განკარგულების მიღებიდან (სსუს მუხლი 10.3).

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მონვეული პირის სამსახურში ყოფნის ხანგრძლივობა – სრულწლოვანისთვის არაუმეტეს 4 საათი, არასრულწლოვანისთვის – არაუმეტეს 2 საათი (სსუს მუხლი 16.6).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში პლენუმის მიერ პალატების შემადგენლობიდან არჩეული 12 მოსამართლის უფლებამოსილების ვადა – 2 წელი (სასა მუხლი 17.2).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ არჩევის (უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთაგან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით საქართველოს პარლა-

მენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მიერ) ვადა – 10 ნელი, არაუნეტეს მისი, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, უფლებამოსილების ვადისა (სასა მუხლი 36.1).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის პროცედურის ხელახლა დაწყების ვადა – არაუგვიანეს 2 კვირა ბოლო კენჭისყრის ჩატარებიდან (სასა მუხლი 36.1).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ წარდგენილი სადისციპლინო პალატის წევრის კანდიდატურის ორჯერ აურჩევლობის (უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ) შემთხვევაში სადისციპლინო პალატის წევრის (უზენაესი სასამართლოს წევრის) მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის ვადა – არაუმეტეს 6 თვით, სადისციპლინო პალატის წევრის კანდიდატურის არჩევამდე (სასა მუხლი 19.3).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობაზე გამოცხადებული ვაკანსიის ოდენობამდე დაყვანილი მოსამართლეობის კანდიდატების კსაქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის ვადა – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ვაკანსიის ოდენობამდე დაყვანილი კანდიდატების სიის გამოქვეყნების შემდეგ (სასა მუხლი 34¹.13).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში გასაჩივრების ვადა – 2 სამუშაო დღე გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან. საკვალიფიკაციო პალატა საჩივარს იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს 2 სამუშაო დღის ვადაში (სასა მუხლი 34¹.5).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად რეგისტრირებულ პირთა სიისა და ავტობიოგრაფიის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნების ვადა – კანდიდატთა რეგისტრაციის დასრულებისთანავე (სასა მუხლი 34¹.4).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების გამოცხადებული ვაკანსიის აოდენობამდე დაყვანის ვადა – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ (კენჭისყრის შედეგად, რომელიც ტარდება კანდიდატების მოსმენის დასრულების შემდეგ საბჭოს უახლოეს სხდომაზე (სასა მუხლი 34¹.12).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების ვაკანსიის შეურჩევლობის შემთხვევაში შერჩევის პროცედურის ხელახლა დაწყების ვადა – 1 თვე (სასა მუხლი 34¹.17).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების მიერ მასზე მოძიებულ ინფორმაციაზე დამატებითი ინფორმაციის წარდგენის ვადა – მოძიებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობიდან 2 სამუშაო დღე (სასა მუხლი 34².9).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების პარლამენტში ვერ არჩევის შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ (კანონმდებლობის შესაბამისად) დარჩენილი ვაკანსიის რაოდენობამდე კანდიდატების კენჭისყრის ვადა – 2 კვირა (სასა მუხლი 34¹.15).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრირების შემდგომ ეტაპზე გადაყვანის ვადა – 5 სამუშაო დღე კანდიდატთა რეგისტრაციის გადამწყვეტილების გასაჩივრებისა და საჩივრის ვადების გასვლიდან (სასა მუხლი 34¹.7).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის მიერ ნარკოლოგიური შემონმების და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობების წარდგენის ვადა – 7 სამუშაო დღე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ რეგისტრაციის შემდგომი ეტაპის დამთავრებიდან. ნარკოლოგიური შემონმების შესახებ ცნობა კანდიდატის მიერ წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში ქვეყნდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე (სასა მუხლი 34¹.7).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისა და წარდგენის ვადა – 3 დღე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებიდან. დეკლარაცია საჯაროა და დაუყოვნებლივ ქვეყნდება ბიუროს ოფიციალურ ვებგვერდზე (სდიშკ მუხლი 14.5²).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის მოსმენის ვადა იუსტიციის უმაღლესი საბჭოში – კანონმდებლობით გათვალისწინებული შერჩევის შესაბამისი ეტაპის გავლიდან და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყ-

ნებიდან არაუადრეს 10 და არაუგვიანეს 20 სამუშაო დღე. მოსმენამდე 5 სამუშაო დღით ადრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეულ წევრს შესასწავლად გადაეცემა კანდიდატების შესახებ კანონით დადგენილი წესით მოძიებული ინფორმაცია (სასა მუხლი 34¹.8-9).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შენახვის ვადა – 1 წელი, დალუქულ მდგომარეობაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე (სასა მუხლი 34².9).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანსიაზე განცხადებების განხილვის ვადა (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ) – 5 სამუშაო დღე განცხადებების მიღების ვადის ამონურვიდან (სასა მუხლი 34¹.4).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანსიაზე განცხადებების მიღების ვადა – 3 კვირა შერჩევის პროცედურის დაწყებიდან (სასა მუხლი 34¹.3).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურის დაწყების ვადა – უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანსიის წარმოშობამდე არაუგვიანეს 3 თვე ან უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 თვე (სასა მუხლი 34¹.1).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლისთვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის ვადა – მოსამართლის უფლებამოსილების ვადის ამონურვა ან საპენსიო ასაკის მიღწევა (სასა მუხლი 70.1).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატის თავმჯდომარედ არჩევის ვადა – 5 წელი. სადისციპლინო და საკვალიფიკაციო პალატების თავმჯდომარეებისთვის – 3 წელი (სასა მუხლი 20.1).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატის თავმჯდომარის (გარდა სადისციპლინო და საკვალიფიკაციო პალატების თავმჯდომარეებისა) არჩევის (უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ, შესაბამისი პალატის შემადგენლობიდან) ვადა – 5 წელი (სასა მუხლი 20.1).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ საკვალიფიკაციო პალატის თავმჯდომარის არჩევის ვადა – 2 წელი (სასა მუხლი 20.1).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო პალატის წევრის კანდიდატურის ორჯერ ვერ არჩევის შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ სადისციპლინო პალატის წევრის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის ვადა – არაუმეტეს 6 თვით, საკვალიფიკაციო პალატის წევრის არჩევამდე (სასა მუხლი 19¹.3).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კონკრეტული საჩივრის განხილვის შემთხვევაში ამ საჩივართან დაკავშირებით საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული აცილების საფუძვლის არსებობისას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ პალატის წევრის ჩამოშორების ვადა – კონკრეტული საჩივრის განხილვის დროით. ამავე დროით ინიშნება უზენაესი სასამართლოს სხვა წევრი სადისციპლინო პალატის წევრის მოვალეობის შემსრულებლად (სასა მუხლი 19.4).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (სასა მუხლი 75⁶².4).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის (დამტკიცებული უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ 3 წევრის შემადგენლობით) უფლებამოსილების ვადა – 3 წელი (სასა მუხლი 19.1).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (სასა მუხლი 75⁶².5).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის თავმჯდომარის დამტკიცების (უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ) ვადა – 3 წელი (სასა მუხლი 20.1).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის არჩევის (უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ 3 წევრის შემადგენლობით) ვადა – 3 წელი (სასა მუხლი 19¹.2).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის წევრის კონკრეტული საქმის განხილვისგან ჩამოშორების ვადა – კონკრეტული საჩივრის განხილვის დროით, თუ კონკრეტული საჩივრის განხილვის შემთხვევაში ამ საჩივართან დაკავშირებით საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული აცილების საფუძველი არსებობს (სასა მუხლი 19^{1.5}).

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო კრედიტებით მოსარგებლე დაწესებულებისათვის გაცემულ კრედიტებზე კონტროლის განევის ხანგრძლივობა – კრედიტის სრულ დაბრუნებამდე (სემ მუხლი 10).

საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის გარდაცვალების შემდეგ მისი მშობლების, მეუღლის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილისათვის (შვილებისათვის) ყოველთვიური პენსიის გაცემის ვადა – სიცოცხლის ბოლომდე, არასრულწლოვანი შვილისათვის (შვილებისათვის) – სრულწლოვანების მიღწევამდე (სკსას მუხლი 22; ყუპ მუხლი 5.2).

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ნორმატიული აქტის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთვის“ ვადაცემისა და გამოქვეყნების ვადა – აქტის მიღებიდან არაუგვიანეს მე-2 დღე (ნოაშ მუხლი 27.5).

საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ დავის საგანთან დაკავშირებით დროებითი განჩინების მიღების ვადა – სარჩელის აღძვრამდე (სასკ მუხლი 31.1).

საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის კვოტირების და ლიცენზირების მოსაწესრიგებლად საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა – 15 დღემდე (ასკ მუხლი 177¹).

საშუალოვადიანი პერიოდი – იხ. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოქმედების ვადა.

საშუალოვადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოქმედების ვადა – იხ. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოქმედების ვადა.

საწარმოს საქმიანობის შემოწმების მაკონტროლებელი ორგანოს შუამლომლობის მოსამართლისათვის წარდგენის ვადა – მენარმის შემოწმების დაწყებამდე (სასკ მუხლი 21².1).

საწარმოს საქმიანობის შემოწმების საგნის ნაწილში შეჩერების შემთხვევაში მაკონტროლებელი ორგანოს მიერ მენარმის შემოწმების თაობაზე შუამლომლობით მოსამართლისათვის მიმართვის ვადა – დაუყოვნებლივ (სასკ მუხლი 21².2).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს პარლამენტის სახელზე სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მოხსენების წარდგენის ვადა – 50 დღე საქართველოს მთავრობის მიერ ანგარიშის მისთვის გადაცემიდან (საუდს მუხლი 31).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს პარლამენტისათვის თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებით ჩატარებული აუდიტების შესახებ ანგარიშის წარდგენის ვადა – 2 წელიწადში ერთხელ (საუდს მუხლი 31).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს პარლამენტისათვის თავისი საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის ვადა – არაუგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 ივნისამდე (საუდს მუხლი 31).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს მთავრობის მოხსენებასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის სახელზე თავისი მოხსენების წარდგენის ვადა – არაუგვიანეს 2 დღე საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის შემაჯამებელ სხდომამდე (საუდს მუხლი 31).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წინასწარი აუდიტის შედეგებზე შემუშავებული რეკომენდაციის საფუძველზე გატარებული ღონისძიებების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის შეტყობინების ვადა – 1 თვე (საუდს მუხლი 24).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა – 20 დღე მისი წარდგენიდან (საუდს მუხლი 29).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდენტის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელება – არაუმეტეს 20 დღე, საქმის სირთულის გათვალისწინებით (საუდს მუხლი 29).

სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში მოსამსახურისათვის რიგითის სამხედრო წოდების მინიჭების ვადა – სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში ჩარიცხვიდან (სდსს მუხლი 10.4¹).

სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში მოსამსახურისათვის (საატესტაციო პერიოდის უკანასკნელი წლის მანძილზე სამსახურებრივი მოვალეობის 6 თვეზე ნაკლები ვადით შესრულების შემთხვევაში) ატესტაციის გავლის ვადა – მომავალი კალენდარული წელი (სდსს მუხლი 15⁷.1).

სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში წვევამდელის მიერ სპეციალური მომზადების გავლის ვადა – სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის პირად შემადგენლობაში ჩარიცხვამდე (სდსს მუხლი 10²).

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ვადის გაგრძელებით დასაშვებ ზღვრულ ასაკს მიღწეული პირი სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში მიღების ან/და დატოვების (მხოლოდ სამოქალაქო პირად) ზღვრული ასაკი – საპენსიო ასაკის მიღწევამდე – განუსაზღვრელი ვადით, ხოლო შემდეგ – განსაზღვრული ვადით (სდსს მუხლი 10.3¹).

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა ზღვრული ასაკი – უმცროსი და საშუალო სპეციალური წოდებების მქონე პირთათვის – 45 წელი; უფროსი სპეციალური წოდების მქონე პირისათვის პოლკოვნიკამდე – 50 წელი; პოლკოვნიკისათვის – 55 წელი; უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე პირისათვის – 60 წელი (სდსს მუხლი 10¹).

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა ზღვრული ასაკის გაგრძელების ვადა – 5 წლამდე. ზღვრული ასაკი შეიძლება გაგრძელდეს რამდენჯერმე (ნაწილობრივ) (სდსს მუხლი 10¹).

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა – არაუმეტეს 4 თვე (სდსს

მუხლი 11¹.2).

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გაგრძელების ხანგრძლივობა – არაუმეტეს 2 თვე (სდსს მუხლი 11¹.3).

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ უფროსობისთვის შეტყობინების ვადა – პირველი შესაძლებლობისთანავე, რომლებიც აღნიშნულ ინფორმაციას დაუყოვნებლივ აცნობებენ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელ პირებს და შეტყობინებას გადასცემენ საქართველოს გენერალური პროკურატურის „ცხელ ხაზზე“ (სდსს მუხლი 15.9).

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კადრების განკარგულებაში მყოფი თანამშრომლისათვის კადრების განკარგულებამდე დაკავებული თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების დაკისრების ვადა – პირველი 2 თვე კადრების განკარგულებაში ყოფნისას (სდსს მუხლი 11¹.2).

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კადრების განკარგულებაში მყოფი მოსამსახურისათვის, შტატების შემცირების ან რეორგანიზაციისას, კადრების განკარგულებაში აყვანამდე დაკავებული თანამდებობის შესაბამისად სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დაკისრების ვადა – კადრების განკარგულებაში ყოფნის პირველი თვის განმავლობაში (სდსს მუხლი 11¹.1).

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურის და სამხედრო ფიცის დადების ვადა – სამხედრო სავალდებულო ან საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხვისას (სდსს მუხლი 10⁴.1).

სახელმწიფო ვალის რეესტრის განახლების პერიოდი – აუცილებლობიდან გამომდინარე (სვმ მუხლი 6).

სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მუნიციპალიტეტის ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების სფეროში მიღებული/გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადა – სახელმწიფო ზედამხედველობის

ორგანოს მითითების მიღებიდან 15 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ, თუ მუნიციპალიტეტი არ შეასრულებს ამ მითითებებს წლით. მუნიციპალიტეტის ორგანო/თანამდებობის პირი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს უგზავნის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის ან ამ აქტის გაუქმების შესახებ მიღებულ/გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ან მოტივირებულ წერილობით უარს. ამ ვადის გასვლის შემდეგ შესაბამისი სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების თაობაზე ან შეჩერების შესახებ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე (ათკ მუხლი 135).

სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტისთვის გაგზავნის ვადა – 15 დღე ოფიციალური ანგარიშის შედგენიდან (ათკ მუხლი 138.3).

სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ ზედამხედველობის სფეროში კალენდარული წლის განმავლობაში თავის მიერ განხორციელებული საქმიანობის გამოქვეყნების ვადა – ყოველი წლის 1 თებერვლამდე (ათკ მუხლი 138.1).

სახელმწიფო კომპენსაციის გაანგარიშების მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან და საგამოძიებო დეპარტამენტიდან, სასჯელაღსრულები-სა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან და საგამოძიებო დეპარტამენტიდან საჯარო თანამდებობებიდან გათავისუფლებულ სამხედრო წოდების (სახელმწიფო სპეციალური წოდების) მქონე პირების ნამსახურების ხანგრძლივობა – არანაკლებ 20 კალენდარული წელი. საერთო წელთა ნამსახურებაში შეიძლება ჩაითვალოს სამსახურში მიღებამდე უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდიც. 6 წლის ზემოთ სწავლის 1 წელი ჩაითვლება 6 თვედ (სკსას მუხლი 8.5-6).

სახელმწიფო კომპენსაციის გაანგარიშების მიზნით საქართველოს პროკურატურის თანამშრომლის სპეციალობით მუშაობის (კანონმდებლობით განსაზღვრულ ორგანოში/ორგანოებში) ხანგრძლივო-

ბა – არანაკლებ 20 წელი, მათ შორის პროკურატურის სისტემაში მუშაობის არანაკლებ 4 წელი (სკსას მუხლი 9.1; 9.3).

სახელმწიფო კომპენსაციის გაანგარიშების მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან დათხოვნილ სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირების ნამსახურების ხანგრძლივობა – არანაკლებ 20 კალენდარული წელი (სკსას მუხლი 8.7).

სახელმწიფო კრედიტებისათვის გაცემული სახელმწიფო გარანტიების რეესტრის განახლების პერიოდი – აუცილებლობიდან გამომდინარე (სვმ მუხლი 6).

სახელმწიფო საზღვარზე მიმოსვლის დროებითი შეწყვეტის ხანგრძლივობა – იხ. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიმოსვლის დროებითი შეწყვეტის ხანგრძლივობა.

სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გასაცემად პირის შემონმების პროცედურის (საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ) ჩატარების ვადა – 3 თვე სათანადო დოკუმენტაციის წარდგენიდან. ეს ვადა შეიძლება გააგრძელდეს არაუმეტეს 3 თვე (სახ.საიდ. მუხლი 22).

სახელმწიფო საიდუმლოებასთან თანამდებობის პირების დაშვების ვადის ათვლა – შემდეგი თანამდებობის პირების არჩევისთანავე (დანიშვნისთანავე): საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის წევრი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო დამცველი, ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრი, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი (სახ.საიდ. მუხლი 7).

სახელმწიფო საიდუმლოებასთან საქართველოს მოქალაქის ქმედუნარიანი პირის ინდივიდუალური დაშვების ასაკობრივი ზღვარი – 18 წელი (შემონმების პროცედურის შედეგების გათვალისწინებით) (სახ.საიდ. მუხლი 20).

სახელმწიფო საიდუმლოებასთან უმაღლესი თანამდებობის პირებისათვის ხელმისაწვდომობის უფლებამოსილების მინიჭება – თანამდებობაზე არჩევისთანავე (დანიშვნისთანავე) (სახ.საიდ. მუხლი 18).

სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის განსაიდუმლოების ვადა – არაუგვიანეს იმ ვადისა, რომლითაც ის დასაიდუმლოებული იქნა (სახ.საიდ. მუხლი 17).

სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის განსაიდუმლოებისა და საიდუმლოობის გრიფის მოხსნის თაობაზე (ობიექტური გარემოების შეცვლის გამო) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ინიციატორისათვის პასუხის გაცემის ვადა – არაუგვიანეს 1 თვე ინიციატორის მიერ შესაბამისი წინადადებით მიმართვიდან. საჭიროების შემთხვევაში ეს ვადა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ შეიძლება გაგრძელდეს 2 თვით. ვადის გაგრძელების თაობაზე ინიციატორისათვის წერილობითი შეტყობინების ვადაა 1 თვე. განსაიდუმლოების საკითხის გადაწყვეტილად ჩათვლის ვადა – მითითებული ვადების გაშვება (სახ.საიდ. მუხლი 17).

სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადა – „განსაკუთრებული მნიშვნელობის“ საიდუმლოობის გრიფის მქონე ინფორმაციისათვის – 20 წელი; „სრულიად საიდუმლო“ საიდუმლოობის გრიფის მქონე ინფორმაციისათვის – 10 წელი; „საიდუმლო“ საიდუმლოობის გრიფის მქონე ინფორმაციისათვის – 5 წელი; „შეზღუდული სარგებლობისათვის“ საიდუმლოობის გრიფის მქონე ინფორმაციისათვის – 3 წელი. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია ვადების გაგრძელება (სახ.საიდ. მუხლი 10).

სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადის ათვლა – მასზე საიდუმლოობის გრიფის აღნიშვნის თარიღიდან (სახ.საიდ. მუხლი 10).

სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დასაიდუმლოების საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებული ინფორმაციის ნუსხაში ცვლილების შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადა – 1 თვე ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის მიერ საექსპერტო შეფასებისათვის წინადადების წარდგენიდან (სახ.საიდ. მუხლი 11).

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის შესახებ ქონების მმართველის მიერ შემოსული განაცხადების განხილვის და საქართველოს მთავრობისათვის წინადადებების წარდგენის ვადა – ინტერესთა გამოხატვის ვადის დასრულების შემდეგ (სახ.ქონ. მუხლი 10.7).

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაწყების ვადა – დაინტერესებული პირის მიერ ინტერესის გამოხატვიდან (სახ.ქონ. მუხლი 10.4).

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას ქონების მმართველის მიერ, წარდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისა და მისი სისწორის შემთხვევაში, საპრივატიზებო საფასურის გადახდის თაობაზე მოიჯარისათვის შეტყობინების გაგზავნის ვადა – 10 სამუშაო დღე მოიჯარის განცხადების მიღებიდან (სახ.ქონ. მუხლი 12.7).

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების პირობების შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნება ქონების მმართველის მიერ, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში საქართველოს მთავრობის მიერ და ინტერესთა გამოხატვისათვის განსაზღვრული ვადა – არანაკლებ 30 კალენდარული დღე (სახ.ქონ. მუხლი 10.6).

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საფასურის სრულად ან ნაწილ-ნაწილ გადახდის (მოიჯარის მიერ) ვადა – 1 წლის განმავლობაში. საფასურის 50%-ის გადახდის შემთხვევაში იდება ნასყიდობის ხელშეკრულება (სახ.ქონ. მუხლი 13).

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული სამეურნეო და დამხმარე ნაგებობის (ნაგებობების) ან/და მრავალწლიანი ნარგავების ნასყიდობის ხელშეკრულების დადების (საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით ქო-

ნების მმართველის მიერ სახელმწიფო ქონების შემძენთან) ვადა – 15 კალენდარული დღე საპრივატიზებო საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან (სახ.ქონ. მუხლი 12.7).

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოთხოვნებისა და უფლებების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას პრივატიზების განმახორციელებელი ორგანოსა და ქონების შემძენს შორის ხელშეკრულების დადების ვადა – 45 კალენდარული დღე აუქციონის ჩატარებიდან, ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას – 3 თვე შესაბამისი აქტის მიღებიდან (სახ.ქონ. მუხლი 45².4).

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის სარგებლობაში გადაცემის ვადა – არაუმეტეს 49 წლის ვადით, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა (სახ.ქონ. მუხლი 36.1¹).

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მყიდველის მიერ საპრივატიზებო საფასურის გადახდისა და პრივატიზების განმახორციელებელ ორგანოსათვის საპრივატიზებო საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ვადა – დგინდება პრივატიზების განმახორციელებელი ორგანოს მიერ და უნდა იყოს აუქციონის ჩატარებიდან არანაკლები 7 კალენდარული დღე და არაუმეტეს 2 კალენდარული წელი (სახ.ქონ. მუხლი 3¹.4).

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას მყიდველის მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვადა – ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ვადა (სახ.ქონ. მუხლი 19.4).

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების განსაკუთრებული პირობების არსებობისას უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის ვადა – საინვესტიო ვალდებულების შესრულების ვადაზე არანაკლებ 4 თვეზე მეტი (სახ.ქონ. მუხლი 20.1).

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატი-

ზებისას მყიდველის მიერ უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობის შემცირების შემთხვევაში სრულ ოდენობამდე მისი შევსების ვადა – 1 თვე (სახ.ქონ. მუხლი 20.3).

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებისას მყიდველის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადა – მყიდველის მიერ წარდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს მოქმედების განმავლობაში (სახ.ქონ. მუხლი 20.2).

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობად საინვესტიციო ვალდებულების არსებობის შემთხვევაში პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას მყიდველის მიერ საინვესტიციო ვალდებულების არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენის ვადა – საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი განკარგულების მიღებიდან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე, ხოლო აუქციონის შემთხვევაში 1 თვე აუქციონის ჩატარებიდან ხელშეკრულების გაფორმებამდე (სახ.ქონ. მუხლი 20.1).

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის გადახდის (აუქციონში გამარჯვებულის მიერ) ვადა – დგინდება პრივატიზების განმახორციელებელი ორგანოს მიერ, რომელიც უნდა შეადგენდეს არანაკლებ 7 და არაუმეტეს 30 კალენდარულ დღეს აუქციონის ჩატარებიდან. თუ აუქციონი გამოცხადებულია პირობებით – პრივატიზების განმახორციელებელი ორგანოს მიერ საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვადა არ უნდა აღემატებოდეს აუქციონის ჩატარებიდან 2 წელს (სახ.ქონ. მუხლი 19.3).

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის შესახებ ქონების მმართველის დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისა და მოთხოვნის წარმდგენისათვის წერილობითი შეტყობინების ვადა – წარდგენიდან 45 დღე. ქონების მმართველის გადაწყვეტილება მიღებიდან 10 დღის ვადაში დასამტკიცებლად გადაეცემა საქართველოს მთავრობას. თუ საქართველოს მთავრობამ 45 დღის ვადაში არ მიიღო გადაწყვეტილება, მოთხოვნილი ქონება მოთხოვნის წარმდგენის საკუთრებაში გადაცემულ ქონებად ჩაითვლება (ათკ მუხლი 113.2).

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნიღებისა და აქციების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას პრივატიზების განმახორციელებელი ორგანოსა და ქონების შემძენს შორის ხელშეკრულების დადების ვადა – 45 კალენდარული დღე აუქციონის ჩატარებიდან, ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას – 3 თვე შესაბამისი აქტის მიღებიდან (სახ.ქონ. მუხლი 45.3).

სახელმწიფო სანომრო ნიშნის გარეშე ან სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის დადგენილი წესის დარღვევით მართვის შემთხვევაში, ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის გამო სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების ვადა – 6 თვე (ასკ მუხლი 122).

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოქმედების ვადა – მოკლევადიანი პერიოდი – ერთ წლამდე; საშუალოვადიანი პერიოდი – ერთიდან ათ წლამდე; გრძელვადიანი პერიოდი – ათ წელზე მეტი (სვშ მუხლი 1).

სახელმწიფო ფინანსური ვალდებულების შესრულებულად ჩათვლის ვადა – კრედიტორისათვის პროცენტების გადახდისა და ძირითადი თანხის დაბრუნებისთანავე (სვშ მუხლი 4).

სახელმწიფო ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის არმქონე მოსარგებლის მიერ, (კომერციული მიზნით ქონების სამენარმეო საქმიანობისათვის გამოყენებისას), ქონების მმართველის მოთხოვნის თანახმად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში სარგებლობაში გადაცემის საფასურის გადახდის პერიოდი – საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან სარგებლობის მთელი პერიოდისათვის (სახ.ქონ. მუხლი 36.1³).

სახელმწიფო ქონების განმკარგავი სუბიექტის მიერ (საჯარო რეესტრში შესაბამისი ვალდებულების გაუქმების ან ვალდებულების ცვლილების რეგისტრაციის მიზნით) ვალდებულების სრულად ან მისი ნაწილის შესრულების წერილობითი ან ელექტრონული ფორმით დადასტურების ვადა – 30 კალენდარული დღე ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან (სახ.ქონ. მუხლი 3¹.5).

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ინდივიდუალური ად-

მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებად ჩათვლის ვადა – აქტის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.nasp.gov.ge) გამოქვეყნებიდან (სახ.ქონ. მუხლი 5^{1.7}).

სახელმწიფო ქონების მმართველის მიერ სახელმწიფო ორგანოს (აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების) სახელმწიფო ქონების სარგებლობაში პირველადი გადაცემის შესახებ განცხადების განხილვის ვადა – 2 კვირა განცხადების წარდგენიდან (სახ.ქონ. მუხლი 35.1).

სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაციის ოფიციალურ გამოქვეყნებად ჩათვლის ვადა – იხ. აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაციის ოფიციალურ გამოქვეყნებად ჩათვლის ვადა.

სახელმწიფო ქონების საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს, ხოლო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ, ქონების მმართველის თანხმობით, სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა – არაუმეტეს 49 წლით (სახ.ქონ. მუხლი 36.1¹).

სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემისას ქონების მმართველსა და ქონების შემძენს შორის შესაბამისი ხელშეკრულების დადების ვადა – 3 თვე საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი აქტის მიღებიდან (სახ.ქონ. მუხლი 6³).

სახელმწიფო ქონების ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის სასყიდლით ან უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების დადების ვადა – 3 თვე საქართველოს მთავრობის განწყვეტილების მიღებიდან (სახ.ქონ. მუხლი 36.2²).

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით განხორციელებული და მიმდინარე არასაიდუმლო საქმიანობის შესახებ მოხსენების პარლამენტისთვის წარდგენის პერიოდულობა – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ არანაკლებ წელიწადში ერთხელ (სშმ მუხლი 22²).

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავის განმხილველი საბჭოს არჩევითი წევრების უფლებამოსილების ვადა – 1 წელი (სშმ მუხლი 23.3-4).

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავის განმხილველი საბჭოს გადანყვეტილების ოფიციალურ გაცნობად ჩათვლის ვადა – გადანყვეტილების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნებიდან (სშმ მუხლი 23¹.8).

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავის განმხილველი საბჭოს გადანყვეტილების შეჩერების ვადა გასაჩივრებით – არ ჩერდება (სშმ მუხლი 23³.4).

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავის განმხილველი საბჭოს მიერ გამოტანილი დასაბუთებული წერილობითი გადანყვეტილების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნების ვადა – სახელმწიფო შესყიდვის პროცესთან დაკავშირებული საჩივრის შემთხვევაში – საჩივრის დასაშვებად ცნობიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღე, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტთან დაკავშირებული საჩივრის შემთხვევაში – საჩივრის მისთვის გადაცემიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღე (სშმ მუხლი 23¹.8).

სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი პირის მიერ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი გამარტივებული წესით ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ანგარიშის წარდგენის ვადა – არაუგვიანეს მომდევნო წლის 30 იანვარი (თუ შესყიდვების წლიური გეგმის სავარაუდო ჯამური ღირებულება 50 000 ლარზე ნაკლებია) (სშმ მუხლი 22.3¹).

სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი პირის მიერ შესყიდვების წლიურ გეგმაში ცვლილებების შეტანისა და შეცვლილი შესყიდვების წლიური გეგმის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის წარდგენის ვადა – 10 კალენდარული დღე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ შესაბამისი ნორმატიული აქტის გამოქვეყნებიდან (სშმ მუხლი 9.4¹).

სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი პირის ხელმძღვა-

ნელის მიერ მომდევნო წლის შესყიდვების წლიური გეგმის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის წარდგენის ვადა – იხ. შემსყიდველი ორგანიზაციის (სახელმწიფო შესყიდვების განმხორციელებელი პირის) ხელმძღვანელის მიერ მომდევნო წლის შესყიდვების წლიური გეგმის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის წარდგენის ვადა.

სახელმწიფო შესყიდვების განმხორციელებელი პირის ხელმძღვანელის მიერ წერილობითი წესით პრემიერ-მინისტრის სახელზე 2000000 ლარზე მეტი ღირებულების ობიექტის შესყიდვის შესახებ ანგარიშის წარდგენის ვადა – 20 დღე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებიდან (სშშ მუხლი 22.5).

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით სატენდერო წინადადების წარდგენისა და ელექტრონული ვაჭრობის გზით წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ფასის შეცვლის ვადა – მომდევნო სამუშაო დღემდე, თუ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულება შაბათ-კვირის ან უქმე დღეს ემთხვევა (სშშ მუხლი 15¹.3).

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ თავისი საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის საქართველოს მთავრობისათვის წარდგენის ვადა – ყოველი მომდევნო წლის 15 მაისამდე (სშშ მუხლი 4.10).

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებთან დაკავშირებული ნორმების ამოქმედების ვადა – 2019 წლის 1 სექტემბრიდან (სშშ მუხლი 24¹.1).

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დანებსებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელად ყოფნის ვადა – არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის ხანგრძლივობის 2 ვადას (უგშ მუხლი 23.1).

სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ან განხორციელებული ქმედების გასაჩივრების ვადა – სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ან განხორციელებული ქმედების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 1 წლის მანძილზე (სახ.ქონ. მუხლი 28.2).

სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასისტენტი-პროფესორის თანამდებობაზე არჩევის ვადა – არანაკლებ 4 წელი (უგმ მუხლი 35.3).

სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასისტენტის თანამდებობაზე არჩევის ვადა – 2 ან 3 წელი (უგმ მუხლი 35.4).

სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევბი პირისთვის სამეცნიერო-პედაგოგიური ან/და სახელოვნებო (შემოქმედებითი) მუშაობის გამოცდილების მინიმალური ხანგრძლივობა – არანაკლებ 4 წელი (უგმ მუხლი 35.2).

სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევბი პირისთვის სამეცნიერო ან/და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების მინიმალური ხანგრძლივობა – არანაკლებ 8 წელი (უგმ მუხლი 35.1).

საჯარიმო ქვითრით გამონერილი ჯარიმის გადახდის ვადა – იხ. სატრანსპორტო ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო საჯარიმო ქვითრით გამონერილი ჯარიმის გადახდის ვადა.

საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა – იხ. საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა.

საჯარო დაწესებულებაში გადაყვანის მსურველი მოხელის გამოსავლენად შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის შესახებ ინფორმაციის ამ დაწესებულების ოფიციალურ შიდა ვებგვერდზე გამოქვეყნებისას ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის მიერ განაცხადის წარსადგენად განსაზღვრული ვადა – 2 სამუშაო დღე (სსმ მუხლი 48.1).

საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირის მიერ შრომის ანაზღაურების მიღების ვადა – სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე (სდშა მუხლი 5).

საჯარო დაწესებულებიდან განთავისუფლებული საჯარო მოსამსახურისთვის, იმ საჯარო დაწესებულებაში (საწარმოში), რომელ-

საც იგი სამსახურებრივად ბოლო 3 წლის განმავლობაში სისტემატურად ზედამხედველობდა, მუშაობის დანყების ან საქმიანობის განხორციელების, ასევე, ამ დანესებულებიდან (სანარმოდან) შემოსავლის მიღების აკრძალვის ვადა – 1 წელი განთავისუფლების დღიდან (სდიშკ მუხლი 13.10).

საჯარო დანესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელის (საამისოდ უფლებამოსილი პირის) მიერ საჯარო სამსახურის ბიუროსათვის პირის სადეკლარაციო თანამდებობაზე განწესების ან სადეკლარაციო თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ წერილობითი ინფორმაციის მიწოდების ვადა – 7 სამუშაო დღე სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან (სდიშკ მუხლი 14.10).

საჯარო დანესებულების მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის მიერ შესაბამისი ეტაპის გაუვლელობის შემთხვევაში მისი განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით საჯარო სამსახურის ბიუროსათვის მიმართვის ვადა – 2 სამუშაო დღე შეტყობინების მიღებიდან. ეტაპის გავლის შესახებ ბიურო გადანყვეტილებას იღებს 2 სამუშაო დღის ვადაში და დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის საკონკურსო კომისიას და კონკურსის მონაწილეს (სსშ მუხლი 117).

საჯარო დანესებულების მიერ გამოცხადებულ კონკურსში შესაბამისი ეტაპის გაუვლელობის შემთხვევაში კონკურსში მონაწილე კანდიდატის მიერ საჯარო სამსახურის ბიუროს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასამართლოში გასაჩივრების გამო სადავო აქტის მოქმედების შეჩერების ვადა – არ ჩერდება (სსშ მუხლი 117.4).

საჯარო დანესებულების მიერ ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადანყვეტილების გაუქმების შემთხვევაში მოხელის იმავე (ტოლფას თანამდებობაზე) აღდგენის ან საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით საჯარო სამსახურის ბიუროსათვის მიმართვის ვადა – დაუყოვნებლივ (სსშ მუხლი 118.3).

საჯარო დანესებულების მიერ სამ თვეზე მეტი ხანგრძლივობის პროფესიული განვითარების პროგრამის დაფინანსების შემთხვე-

ვაში მოხელის მიერ საკუთარი ინიციატივით სამსახურიდან გათავისუფლების მოთხოვნის შეზღუდვის ვადა – 1 წელი პროგრამის დასრულებიდან (სსმ მუხლი 54.6).

საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ან ჯანმრთელობის მდგომარეობის ან/და ხანგრძლივი შრომისუნარობის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მოხელის წერილობითი გაფრთხილების ვადა – 1 თვით ადრე გათავისუფლებამდე (სსმ მუხლი 114.2).

საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით მოხელის მობილობის შეუძლებლობის დროს მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვის შემთხვევაში მოხელის სტატუსის შენარჩუნების ვადა – მოხელეთა რეზერვში ყოფნის ვადის გასვლამდე (სსმ მუხლი 110.2).

საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის პერიოდი – არაუმეტეს 3 თვე (სსმ მუხლი 104.4).

საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო მოხელის მობილობის განუხორციელებლობისა და თავისივე სურვილით რეზერვში ჩარიცხვის შემთხვევაში მისთვის კომპენსაციის (თანამდებობრივი სარგოს ოდენობით) გაცემის ვადა – 3 თვე (სსმ მუხლი 105.1).

საჯარო დაწესებულების შინაგანანესის ამოქმედების ვადა – შინაგანანესის დამტკიცების მომდევნო სამუშაო დღე, თუ თვით შინაგანანესით არ არის დადგენილი მისი ამოქმედების უფრო გვიანდელი თარიღი (სსმ მუხლი 123.3).

საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის (საამისოდ უფლებამოსილი სხვა პირის) მიერ დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ერთეულის დასკვნის მიღების შემდეგ სათანადო გადანყვეტილების მიღების ვადა – 7 სამუშაო დღე (სსმ მუხლი 94.2).

საჯარო ინფორმაციაზე ანგარიშის წარდგენისა და გამოქვეყნე-

ბის დღე – ყოველი წლის 10 დეკემბერი. ამ დღეს საჯარო დაწესებულება საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ აქვეყნებს ანგარიშს საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის შესახებ, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად (ზაკ მუხლი 49).

საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების ვადა – იხ. კომერციული და პროფესიული ინფორმაციის გასაიდუმლოების ვადა.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადა – იხ. კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის ვადა (ზაკ მუხლი 41¹).

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შეტყობინების ვადა – დაუყოვნებლივ, საჯარო დაწესებულების მიერ. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში, საჯარო დაწესებულება პირს წერილობით განუმარტავს მის უფლებებს და გასაჩივრების წესს, ასევე მიუთითებს იმ სტრუქტურულ ქვედანაყოფზე ან საჯარო დაწესებულებაზე, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას (ზაკ მუხლი 41).

საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადა – დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს გარკვეულ ვადას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის 10-დღიანი ვადის საჭიროების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება მოთხოვნისთანავე აცნობებს ამის შესახებ განმცხადებელს (ზაკ მუხლი 40).

საჯარო ინფორმაციის საჯარო რეესტრში შეტანის ვადა – ამ ინფორმაციის მიღებიდან, შექმნიდან, დამუშავებიდან ან გამოცემიდან 2 დღე (ზაკ მუხლი 35).

საჯარო მოსამსახურის მიერ ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ საჯაროდ განცხადების ვადა – შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნამდე (არჩევამდე) ან დანიშვნის (არჩევის) შემდეგ, როგორც კი მისთვის ცნობილი გახდება ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტი (სდიშკ მუხლი 13^{4.2}).

საჯარო მოსამსახურის მიერ ინფორმაციის საჯაროობის შეზღუდვის შესახებ საკითხის აღძვრის (აუცილებლობის შემთხვევაში) ვადა – დაუყოვნებლივ (სდიშკ მუხლი 13³.4).

საჯარო მოსამსახურის მიერ მასთან დაკავშირებული პირის შესახებ (რომელიც მუშაობს იმავე საჯარო დაწესებულებაში, სადაც საქმიანობს საჯარო მოსამსახურე) ინფორმაციის საჯაროდ გაცხადების ვადა – შესაბამის თანამდებობაზე დანიშნიდან (არჩევიდან) 1 თვე, ხოლო შემდგომ – ყოველი მომდევნო კალენდარული წლის 1 თებერვლამდე (სდიშკ მუხლი 13⁴.3).

საჯარო მოსამსახურის მიერ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი, საჯარო მოსამსახურის რეპუტაციასთან დაკავშირებული, სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მოპოვებული, პერსონალური მონაცემების შემცველი და სხვა კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის ვადა – საჯარო სამსახურში ყოფნის პერიოდში და სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგაც (სდიშკ მუხლი 13³).

საჯარო მოსამსახურის (მისი ოჯახის წევრის) მიერ მიღებული საჩუქრის კანონით გათვალისწინებული ღირებულების გადამეტების დადგენის (სარჩელის მიღების შემდეგ) ან/და გარკვეული მიზეზით (საჩუქრის ფოსტით მიღება, საჯაროდ გადაცემა) მის მიღებაზე უარის თქმის შეუძლებლობის შემთხვევაში საჯარო სამსახურის ბიუროსთვის ინფორმაციის მიწოდების ან აკრძალული საჩუქრის მიღებისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთვის საჩუქრის გადაცემის ვადა – 3 სამუშაო დღე (სდიშკ მუხლი 5²).

საჯარო მოსამსახურისათვის აკრძალული სარგებლის შეთავაზების შემთხვევაში უშუალო ხელმძღვანელის და საჯარო სამსახურის ბიუროსათვის შეტყობინების ვადა – 3 სამუშაო დღე. თუ საჩუქარზე უარის თქმა ან მისი დაბრუნება შეუძლებელია, საჯარო მოსამსახურე საჩუქარს 3 სამუშაო დღის ვადაში გადასცემს შესაბამის სახელმწიფო სამსახურს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (სდიშკ მუხლი 13⁵.3).

საჯარო მოხელე ქალის შეფასების შედეგების საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო მისი სამსახურიდან გათავისუფ-

ლების აკრძალვის ვადა – ქალის ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდი (სსმ მუხლი 116).

საჯარო მოხელის გამოსაცდელი ვადა – 12 თვე (სსმ მუხლი 45.3).

საჯარო მოხელის გამოსაცდელი ვადის დინების შეჩერების ხანგრძლივობა – სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების ვადით (სსმ მუხლი 45.3).

საჯარო მოხელის (დიპლომატიურ წარმომადგენლობაში და საკონსულო დაწესებულებაში როტაციის წესით სამუშაო მივლინებით წარგზავნილის) მეუღლის (რომელიც როტაციის წესით სამუშაო მივლინებით მეუღლის წარგზავნის გამო პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლდა პირადი განცხადების საფუძველზე) მოხელეთა რეზერვში ყოფნის ვადის ათვლა – მისი მეუღლის როტაციის წესით სამუშაო მივლინების დასრულების დღიდან (სსმ მუხლი 105.2¹-2²).

საჯარო მოხელის დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ პირად ჩათვლის ვადის ათვლა – მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან (სსმ მუხლი 87.5)

საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირისათვის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის წარგენის ვადა – 5 კალენდარული დღე მისი შედგენიდან, ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა – მომდევნო სამუშაო დღე (სსმ მუხლი 41.6).

საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი თითოეული კანდიდატისთვის საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ელექტრონულად ან/და წერილობით შეტყობინების ვადა – გადაწყვეტილების მიღებიდან 5 კალენდარული დღე, ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა – მომდევნო სამუშაო დღე (სსმ მუხლი 42.2).

საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის კანდიდატის მიერ განაცხადის წარდგენის ვადა – არანაკლებ 10 კალენდარული დღე კონკურსის გამოცხადებიდან (სსმ მუხლი 35.3).

საჯარო მოხელის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილე კანდიდატისთვის კონკურსის ეტაპის ვერ გავლის შესახებ შეტყობინების (ელექტრონულად ან/და წერილობით) ვადა – კონკურსის მომდევნო ეტაპამდე 7 კალენდარული დღით ადრე, თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა – მომდევნო სამუშაო დღის ჩათვლით (სსმ მუხლი 40.2).

საჯარო მოხელის თანამდებობაზე პირის დანიშვნის ვადა – განუ-საზღვრელი ვადით (სსმ მუხლი 33).

საჯარო მოხელის თანამდებობაზე საკონკურსო კომისიის მიერ წარდგენილი კანდიდატის დანიშვნის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა – სა-კონკურსო კომისიის მიერ შესაბამისი საჯარო დაწესებულების ხელ-მძღვანელისათვის სათანადო გადაწყვეტილების წარდგენიდან 14 კალენდარული დღის გავლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 30 სამუ-შაო დღისა, ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა – მომდევნო სამუშაო დღისა (სსმ მუხლი 43.3).

საჯარო მოხელის მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასამართლოში გასაჩივრებისას სადავო აქტის მოქმედების შეჩე-რების ვადა – არ ჩერდება (სსმ მუხლი 118.2).

საჯარო მოხელის მიერ ანაზღაურებისგარეშე შვებულებით სარ-გებლობის ხანგრძლივობა – არაუმეტეს 1 წელი, თუ ეს არ ეწინააღ-მდეგება საჯარო დაწესებულების ინტერესებს (სსმ მუხლი 62.5).

საჯარო მოხელის მიერ ერთ წლამდე ასაკის ახალშობილის შვი-ლად აყვანის შემთხვევაში ბავშვის მოვლის გამო მისთვის ან ფაქ-ტობრივი მომვლელი მშობლისათვის განსაზღვრული შვებულების ხანგრძლივობა – 550 კალენდარული დღე ბავშვის დაბადებიდან (ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა – 90 კალენდარული დღე) (სსმ მუხლები: 64.4; 64.6).

საჯარო მოხელის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში გა-მოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების ვადა – მომდევნო კალენდარული წელი – დაწესებულების ხელმძღვანელ-თან შეთანხმებით (სსმ მუხლი 62.4).

საჯარო მოხელის მიერ მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შეს-

რულებასთან დაკავშირებით გაცნობილი (ხელმისაწვდომი, მინდობილი) სახელმწიფო, კომერციული და პროფესიული საიდუმლოებების, სხვა პირის ოჯახურ და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული და სხვა საიდუმლო ინფორმაციის დაცვის (გაუვრცელებლობის) ვადა – სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას და სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ (სსმ მუხლი 75).

საჯარო მოხელის მიერ ნახევარ განაკვეთზე მუშაობის ხანგრძლივობა – ჯანმრთელობის მდგომარეობით გათვალისწინებული, 1 წლამდე ასაკის ბავშვის აღზრდისა და ორსულობის პერიოდი (სსმ მუხლი 61.4).

საჯარო მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით მისთვის მინდობილი საჯარო დაწესებულების ქონების დასაბრუნებლად საამისოდ უფლებამოსილი პირისათვის ჩაბარების მიზნით მიმართვის დრო – შვებულებაში გასვლამდე; თანამდებობიდან გათავისუფლებამდე (სსმ მუხლი 76).

საჯარო მოხელის მიერ სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე პირადი განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ მოთხოვნის ვადა – განცხადების რეგისტრაციიდან სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე (სსმ მუხლი 109.3).

საჯარო მოხელის მიერ შრომითი გასამრჯელოს მიღების ვადა – სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე (სსმ მუხლი 57.2).

საჯარო მოხელის მიერ შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის დრო – თანამდებობაზე დანიშნიდან 11 თვის გასვლის შემდეგ, ან ამ ვადის გასვლამდეც უფლებამოსილი პირის თანხმობით. თანამდებობაზე დანიშნიდან 1 წლის გასვლის შემდეგ მოხელეს შვებულება მიეცემა კალენდარული წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს (სსმ მუხლი 62.2).

საჯარო მოხელის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის – თანამდებობრივი სარგოს 10 პროცენტიდან 50 პროცენტამდე დაკავების ხანგრძლივობა – 1-დან 6 თვემდე (სსმ მუხლი 96.1).

საჯარო მოხელის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების ვადა – დისციპლინური გადაცდომის გამოვლენიდან 1 თვე, თუ დისციპ-

ლინური გადაცდომის ჩადენიდან 3 წელი არაა გასული (სსმ მუხლი 88.4).

საჯარო მოხელის მიმართ დისციპლინური წარმოების ვადა – არაუმეტეს 1 თვე. თუ აუცილებელია 1 თვეზე მეტი ვადა, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი ან საამისოდ უფლებამოსილი სხვა პირი 1-თვიანი ვადის გასვლამდე 10 სამუშაო დღით ადრე იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების ვადის დამატებით არაუმეტეს 2 თვით გაგრძელების თაობაზე (სსმ მუხლი 65).

საჯარო მოხელის მოხელეთა რეზერვში ყოფნის ვადა – 2 წელი (სსმ მუხლი 105.3).

საჯარო მოხელის პირადი განცხადების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლების ვადა – სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალურად გაცნობისთანავე (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისთვის გადაცემის ან ფოსტის მეშვეობით გაგზავნის შემდეგ) (სსმ მუხლი 109.4; სზაკ მუხლი 58.1).

საჯარო მოხელის პირადი განცხადების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლებისას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა – 14 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან (სსმ მუხლი 109.2).

საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების სავალდებულო პროგრამაში მონაწილეობისათვის მოხელის ანაზღაურებადი შვებულების ვადა – პროფესიული განვითარების პროგრამის ხანგრძლივობით (სსმ მუხლი 63.1).

საჯარო მოხელის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან სხეულის დაზიანების (რის გამოც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად იქნა აღიარებული ან დასახიჩრდა) შემთხვევაში ოჯახისთვის ან მისთვის ფულადი დახმარების განწვევის პერიოდულობა – ერთჯერადად 10 000 ლარის ან არაუმეტეს 5 000 ლარის ოდენობით (სსმ მუხლი 69).

საჯარო მოხელის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების ვადა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსებისას – მოხე-

ლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის წელიწადში არაუმეტეს 30 კალენდარული დღის შესრულების შეიძლებლობის შემთხვევაში, (სსმ მუხლი 55.3).

საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების სავალდებულო საფუძვლების არსებობისას სამსახურიდან გათავისუფლების ვადა – შესაბამისი გარემოების გამოვლენის დღიდან (სსმ მუხლი 107.2).

საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადანყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, მისი სამსახურში აღდგენის შეუძლებლობისას და რეზერვში ჩარიცხვისას ბოლო თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობით კომპენსაციის გაცემის ხანგრძლივობა – 6 თვე (სსმ მუხლი 118.5).

საჯარო მოხელის სამუშაო დრო – კალენდარული დროის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც მოხელე ახორციელებს სამსახურებრივ უფლებამოსილებას (სსმ მუხლი 60).

საჯარო მოხელის სამუშაო დროის ხანგრძლივობა – არაუმეტეს 48 საათი კვირაში ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების დროსთან ერთად (სსმ მუხლი 61.3).

საჯარო მოხელის სერტიფიკატის მოქმედების ვადა – 5 წელი. ამ ვადაში მოხელის თანამდებობაზე მოხელის სერტიფიკატის მფლობელის დანიშვნის შემთხვევაში მოხელის სერტიფიკატი უვადოა (სსმ მუხლი 32).

საჯარო მოხელის სერტიფიცირებაში მონაწილეობის ზღვრული ასაკი – ქმედუნარიანი, საშუალო განათლების მქონე 18 წელს მიღწეული მოქალაქე (სსმ მუხლი 31).

საჯარო მოხელის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა – 24 სამუშაო დღე (სსმ მუხლი 62.1).

საჯარო მოხელის შესაფასებლად აუცილებელი შესაბამის თანამდებობაზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მინიმალური ვადა – 3 თვე (სსმ მუხლი 53.5).

საჯარო მოხელის შეფასების პერიოდულობა – წელიწადში ერთხელ, საჯარო დაწესებულების მიერ (სსმ მუხლი 53.1).

საჯარო მოხელის შვებულების ხანგრძლივობა (მისი მოთხოვნის საფუძველზე) ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო – 730 კალენდარული დღე. აქედან ანაზღაურებადია 183 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 200 კალენდარული დღე. მოხელეს უფლება აქვს შვებულება თავისი შეხედულებისამებრ გადაანაწილოს ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდებზე (სსმ მუხლი 64).

საჯარო მოხელის ჯანმრთელობის მდგომარეობის ან/და ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო სამსახურიდან გასათავისუფლებლად სამსახურში გამოუცხადებლობის ვადა – ზედიზედ 4 თვე ან 6 თვე კალენდარული წლის განმავლობაში სამედიცინო დასკვნით დადასტურებული ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო (სსმ მუხლი 111.1).

საჯარო მოხელისათვის დადგენილი სამუშაო დრო და ხანგრძლივობა – 5 სამუშაო დღე კვირაში. დღეში არაუმეტეს 8 საათი, ხოლო კვირაში – 40 საათი (სსმ მუხლი 60.2).

საჯარო მოხელისათვის დაკისრებული დამატებითი ფუნქციების შესრულების საერთო ვადა – დგინდება შესაბამისი დანესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. დროებითი ფუნქციების დაკისრება შესაძლებელია მხოლოდ მოხელის თანხმობით (სსმ მუხლი 50).

საჯარო მოხელისათვის დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულების (ძირითადი ფუნქციების შესრულებისაგან გათავისუფლების შემთხვევაში) ვადა – არაუმეტეს 3 წელი. 1 თვეზე მეტი ვადით დროებითი ფუნქციების დაკისრება შესაძლებელია მხოლოდ მოხელის თანხმობით (სსმ მუხლი 50).

საჯარო მოხელისათვის მინიჭებული მოხელის კლასის ხანგრძლივობა – მუდმივი. მინიჭებული მოხელის კლასის ჩამორთმევა დაუშვებელია (სსმ მუხლი 26.3).

საჯარო რეესტრის სააგენტოს (მარეგისტრირებელ ორგანოს) გადანყვეტილების გასაჩივრების ვადა – 30 დღე, დაინტერესებული პირის მიერ გადანყვეტილების ოფიციალურად გაცნობიდან ან გადანყვეტილების გამოქვეყნებისას – გამოქვეყნებიდან (სრემ მუხლი 29.1).

საჯარო რეესტრის სააგენტოს (მარეგისტრირებელ ორგანოს) გადაწყვეტილების გასაჩივრებისას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერების ვადა – არ ჩერდება (სრემ მუხლი 29.5).

საჯარო რეესტრის სააგენტოს (მარეგისტრირებელ ორგანოს) გადაწყვეტილების მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით გამოცემისას ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ვადების ათვლა – გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან (სრემ მუხლი 27.8).

საჯარო რეესტრის სააგენტოს (მარეგისტრირებელ ორგანოს) მიერ დაინტერესებული პირის განცხადების განხილვის ვადის დინების შეჩერების დასაწყისი – დამატებითი ინფორმაციის (დოკუმენტის) წარდგენის ვადის განსაზღვრიდან, სასამართლოს (სხვა უფლებამოსილი პირის (ორგანოს) შესაბამისი გადაწყვეტილებიდან) (სრემ მუხლი 6¹.2).

საჯარო რეესტრის სააგენტოს (მარეგისტრირებელ ორგანოს) მიერ ინფორმაციის გაცემის მოთხოვნისას დაინტერესებული პირისათვის განსაზღვრული დამატებითი ინფორმაციის (დოკუმენტის) წარდგენის ვადა – 30 დღე (სრემ მუხლი 6¹.1).

საჯარო რეესტრის სააგენტოს (მარეგისტრირებელ ორგანოს) მიერ რეგისტრირებულ მონაცემებში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის შესწორების ვადა – აღმოჩენისთანავე (სრემ მუხლი 28).

საჯარო რეესტრის სააგენტოს (მარეგისტრირებელ ორგანოს) მიერ სარეგისტრაციო წარმოების განახლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადა – სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი ინფორმაციის ან დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ (სრემ მუხლი 21.4).

საჯარო რეესტრის სააგენტოს (მარეგისტრირებელ ორგანოს) რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრებისას რეგისტრირებული მონაცემების მოქმედების შეჩერებისა და ამ მონაცემების საფუძველზე ამონაწერის (სხვა სამართლებრივი აქტის) გაცემის ვადა – არ ჩერდება და არ იკრძალება (სრემ მუხლი 29.4).

საჯარო რეესტრის სააგენტოში (მარეგისტრირებელ ორგანოში) დაცული დოკუმენტაციის ან ნებისმიერი დოკუმენტის დედნის ან ასლის გამოთხოვისას რეგისტრირებული მონაცემების მოქმედების და მათ საფუძველზე საჯარო რეესტრიდან ამონაწერის (სხვა დოკუმენტის ან ინფორმაციის) გაცემის აკრძალვის და/ან შეჩერების ვადა – არ იკრძალება და არ ჩერდება (სრემ მუხლი 6.3).

საჯარო რეესტრის სააგენტოში (მარეგისტრირებელ ორგანოში) ერთი სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში შეჩერების ერთდროულად რამდენიმე სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადა – შეჩერების სამართლებრივი საფუძვლების აღმოფხვრამდე (სრემ მუხლი 21.3¹).

საჯარო რეესტრის სააგენტოში (მარეგისტრირებელ ორგანოში) რეგისტრაციის საკითხზე გადაწყვეტილების ძალაში შესვლის ვადა – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე ან მარეგისტრირებელი ორგანოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან (სრემ მუხლი 27.6).

საჯარო რეესტრის სააგენტოში (მარეგისტრირებელ ორგანოში) სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადა – 30 კალენდარული დღე. სააგენტოს მიერ განეული მომსახურის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში – 3 სამუშაო დღე; სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტების, მათი კანონიერების შესწავლის მიზნით შესაბამის სამართალდამცავ ორგანოში გადაგზავნისას – 60 კალენდარული დღე; საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის წარმოშობის დამადასტურებელი სამართლებრივი აქტის წარუდგენლობისას – 3 სამუშაო დღე; სააპელაციო სასამართლოში საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის გამოყენების თაობაზე დავის მიმდინარეობისას – სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე (სრემ მუხლი 21).

საჯარო რეესტრის სააგენტოში (მარეგისტრირებელ ორგანოში) სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადების ათვლის მომენტი – დაინტერესებული პირის მიერ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების ოფიციალურად გაცნობიდან, ხოლო ამ გადაწყვეტილების სააგენტოს შესაბამის ვებგვერდზე გამოქვეყნებისას – მისი გამოქვეყნებიდან. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადის გაგრძელება დაუშვებელია (სრემ მუხლი 21.3²).

საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების უტყუარობის

პრეზუმფცია – იქამდე, ვიდრე ისინი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი (სრემ მუხლი 5).

საჯარო სამსახურიდან დისციპლინური გადაცდომისათვის გათავისუფლებული მოხელის საჯარო სამსახურში საქმიანობის შეზღუდვის ვადა – 1 წელი გათავისუფლებიდან (სსმ მუხლი 27.2).

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ თავის ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე გამოცხადებული გამარტივებული საჯარო კონკურსში მისაღებად განაცხადების წარდგენის ვადა – 10 კალენდარული დღე (სსმ მუხლი 83.1).

საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის უფლებამოსილების ვადა – 5 წელი (სსმ მუხლი 20).

საჯარო სამსახურის დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ერთეულის მიერ დისციპლინური გადაცდომის სავარაუდოდ ჩამდენი პირისათვის წერილობითი ახსნა-განმარტების წარსადგენად განსაზღვრული ვადა – არანაკლებ 3 სამუშაო დღე (სსმ მუხლი 91.2).

საჯარო სამსახურის დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ერთეულის მიერ დისციპლინური გადაცდომის სავარაუდოდ ჩამდენი პირისათვის დამატებითი დოკუმენტაციის შესახებ ინფორმირებისა და წარსადგენად განსაზღვრული ვადა – აცყობინებს დაუყოვნებლივ, რათა დოკუმენტები წარადგინოს არანაკლებ 2 სამუშაო დღეში (სსმ მუხლი 91.3).

საჯარო სამსახურის საბჭოს სხდომის მონვევის პერიოდულობა – არანაკლებ ექვს თვეში ერთხელ. ინვევს საქართველოს პრემიერ-მინისტრი (სსმ მუხლი 19.3).

საჯარო სამსახურის საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა – 4 წელი (სსმ მუხლი 19.2).

საჯარო სამსახურის სისტემის გარეთ არსებულ პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობისათვის საჯარო მოხელის მიერ შევებულებით სარგებლობის ვადა – 5 წელიწადში ერთხელ

არაუმეტეს 3 თვე თანამდებობრივი სარგოს და საკლასო დანამატის შენარჩუნებით ან/და შვებულებით არაუმეტეს 1 წლისა, თანამდებობრივი სარგოს და საკლასო დანამატის შენარჩუნები გარეშე (სსმ მუხლი 63.2).

საჯარო სამსახურის სისტემის გარეთ არსებულ პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობისათვის საჯარო მოხელისთვის გათვალისწინებული შვებულების ვადების გაგრძელება – არ დაიშვება (სსმ მუხლი 63.3).

საჯარო სამსახურის სისტემის გარეთ არსებულ პროფესიული განვითარების პროგრამის ხანგრძლივობის კანონით გათვალისწინებული შვებულების ვადის გადამეტების შემთხვევის გამო თანამდებობიდან გათავისუფლებული საჯარო მოხელის მოხელეთა რეზერვში ყოფნის (მისივე სურვილით) ვადის ათვლის დასაწყისი – შესაბამისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულებიდან (სსმ მუხლი 63.4).

საჯარო სამსახურში ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა – ადმინისტრაციული ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა, აგრეთვე სხვა საფუძვლები (სსმ მუხლი 82.1).

საჯარო სამსახურში გამოცხადებულ დახურულ კონკურსში მონაწილეობისათვის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისგან მოთხოვნილი საჯარო სამსახურის სისტემაში მუშაობის სტაჟი – არანაკლებ 1 წელი (სსმ მუხლი 34.3).

საჯარო სამსახურში დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენი პირისათვის დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ ინფორმაციის გაგზავნის ვადა – 5 სამუშაო დღე დისციპლინური წარმოების დაწყებიდან ან პირის იდენტიფიცირებიდან (სსმ მუხლი 91.1).

საჯარო სამსახურში ერთ-ერთი მხარის ინიციატივით ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარის შეტყობინების ვადა – 1 თვით ადრე შეწყვეტამდე (სსმ მუხლი 82.2).

საჯარო სამსახურში პირის მიღების მიზნით დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების მოქმედების ვადა – არაუმეტეს შესაბამისი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადისა (სსმ მუხლი 81.2).

საჯარო სამსახურში სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის ინიციატივით ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირისათვის კომპენსაციის მიცემის ოდენობა – 1 თვის თანამდებობრივი სარგო (სსშ მუხლი 82.2).

საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განხორციელების ვადა – ახალი დირექტორის არჩევამდე ან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დირექტორის დანიშვნამდე. იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ახორციელებს სამხედრო მომზადებასა და განათლებას, ახალი დირექტორის დანიშვნამდე დირექტორის უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი (ზგშ მუხლი 14.3-4).

საჯარო სკოლის დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის ვადა – შესაბამისი გადაწყვეტილების განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ რეგისტრაციის მომენტიდან (ზგშ მუხლი 44.2).

საჯარო სკოლის მიერ გასული წლის საქმიანობის ანგარიშის სამინისტროსთვის წარდგენის ვადა – მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე (ზგშ მუხლი 49.3).

სერტიფიცირებულ ბუღალტერთა განგრძობითი განათლების მიმართ წაყენებული მოთხოვნების ვერ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების (ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის შეტყობინების ვადა – არაუგვიანეს 5 სამუშაო დღე ამ გადაწყვეტილების მიღებიდან (ბაააშ მუხლი 11.9).

სექსუალური შევიწროების განმეორებითი (1 წლის განმავლობაში) სამართალდარღვევის ჩადენის გამო გამასწორებელი სამუშაოების ვადა – 1 თვემდე (ასკ მუხლი 166¹).

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დამოუკიდებელი ჯგუფების ჩამოყალიბების ასაკობრივი კატეგორიები – ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების დაწესებულების მიერ ჩამოაყა-

ლიბებუღიჯგუფები შემდეგი ბავშვებისგან: ა) 2-დან 3 წლამდე – სკოლამდელი განათლების პირველი წელი; ბ) 3-დან 4 წლამდე – სკოლამდელი განათლების მე-2 წელი; გ) 4-დან 5 წლამდე – სკოლამდელი განათლების მე-3 წელი; დ) 5 წლიდან სკოლის დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე – სკოლამდელი განათლების მე-4 წელი – ხორციელდება სასკოლო მზაობის პროგრამა (ასაგ მუხლი 20.1).

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სასწავლო-სააღმზრდელო წლისა და დღის ხანგრძლივობა – საჯარო დაწესებულების სასწავლო-სააღმზრდელო წლის დასაწყისსა და დასასრულს ადგენს მუნიციპალიტეტი. საჯარო დაწესებულების სასწავლო-სააღმზრდელო დღის ხანგრძლივობაა 9 საათი, სამჯერადი კვებით. სასკოლო მზაობის პროგრამის ხანგრძლივობაა დღეში 3 საათი (ასაგ მუხლი 21).

სკოლიდან მოსწვლის დათხოვნის ვადა – 5 დღემდე (გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი); 5-10 დღემდე (გადაწყვეტილებას იღებს დისციპლინური კომიტეტი (ზგშ მუხლი 19.12)).

სკოლის დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის ვადა – იხ. საჯარო სკოლის დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის ვადა.

სკოლის დირექტორისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის ან დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ვადა, რომლიც გამოც შესაძლებელია დირექტორის გათავისუფლება და მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა – 60 სასწავლო დღე (ზგშ მუხლი 41.4).

სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის მოსწავლისათვის დაკისრების ხანგრძლივობა – დაწყებითი საფეხურის მოსწავლისათვის არაუმეტეს დღეში 1 საათი; საბაზო საფეხურის მოსწავლისათვის – არაუმეტეს დღეში 2 საათი; საშუალო საფეხურის მოსწავლისათვის არაუმეტეს დღეში 3 საათი (ზგშ მუხლი 19.12²).

სოციალური დახმარების სპეციალიზებული დაწესებულების მიერ სოციალური მომსახურების ხანგრძლივობა – მთელი დღე-ღამე ან/და დღე-ღამის განსაზღვრული პერიოდი (სოცდშ მუხლი 13).

სპეციალიზებული პროკურატურების პროკურორების უფლებამოსილების ვადა – სპეციალიზებული პროკურატურის უფლებამოსილების ვადით (პრშ მუხლი 7).

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს წევრის ინიშვნის ვადა – 1 წელი (პატ.კ. მუხლი 41.5).

სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის მიერ მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოსახდელად თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების რომელიმე ტიპის არჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადა – სასამართლოს მიერ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებიდან არაუგვიანეს 20 დღე. სამსახური უზრუნველყოფს სასჯელის მოსახდელად მსჯავრდებულის გაგზავნას გენერალური დირექტორის გადაწყვეტილების ასლის მიღებიდან არაუგვიანეს 20 დღისა (პატ.კ. მუხლი 47.1-2).

სპეციალური პენიტენციური სამსახურის დირექტორის მიერ მსჯავრდებულის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში რისკის გადასაფასებლად გადაყვანის (შესაბამისი ქცევის ან სხვა პირობების გამო) ვადა – არაუმეტეს 20 სამუშაო დღე (პატ.კ. მუხლი 47.2²).

სპეციალური პენიტენციური სამსახურის სოციალური სამსახურის მოსამსახურის კომპენსაციის დაენიშვნისათვის სავალდებულო ასაკობრივი ზღვარი და შრომითი სტაჟი – 65 წლის ასაკის მიღწევიდან, თუ მოსამსახურეს აქვს არანაკლებ 25 წლის შრომის საერთო სტაჟი, მათ შორის, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის სოციალურ სამსახურებში (მიუხედავად მათი სამართლებრივი სტატუსისა და ორგანიზაციული დაქვემდებარებისა) სოციალურ მოსამსახურედ მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟი (სკსას მუხლი 15³.1).

სპეციალური საპოლიციო კონტროლის განხორციელების შესახებ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში შსს მინისტრის (მისი ბრძანებით განსაზღვრული თანამდებობის პირის) მიერ შესაბამისი ზეპირი განკარგულების წერილობით გაფორმების ვადა – ზეპირი განკარგულებიდან 24 საათი (პოლმ მუხლი 24).

სპეციალური უფლების შეჩერების გამოანგარიშების ვადა – იხ. ად-მინისტრაციული სახდელის გამოანგარიშების ვადა.

სპეციფიკური საჭიროების მქონე პირის მიერ მათთვის წარდგენილი საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესაბამისი სამინისტ-

როსთვის გადაგზავნის ვადა – დაუყოვნებლივ (სდმ მუხლი 25.1).

სრულიად საიდუმლოს გრიფის მქონე ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადა – იხ. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადა.

სრულწლოვნობის ვადა – 18 წლის ასაკიდან (ზაკ მუხლი 74; სკ მუხლი 12).

სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადა – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ავტორიზაციაზე (აკრედიტაციაზე) უარის თქმის ან ავტორიზაციის (აკრედიტაციის) გაუქმების შემთხვევაში – 5 წლის განმავლობაში. ამავ ეპერიოდით სტუდენტს უნარჩუნდება მობილობის უფლება (უგმ მუხლი 56⁴.3; 66.4).

ტ

ტერორიზმთან დაკავშირებული და გაეროს რეზოლუციებით განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილების მიღების ვადა – დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 3 დღე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობის წარდგენიდან (სასკ მუხლი 21³².1).

ტერორიზმთან დაკავშირებული და გაეროს რეზოლუციებით განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადების ვადა – უვადოდ, ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმებამდე (სასკ მუხლი 21³².6).

ტერორიზმთან დაკავშირებული და გაეროს რეზოლუციებით განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე მოსამართლის ბრძანების მხარისათვის ჩაბარებულად ჩათვლის ვადა – მესამე დღე საჯაროდ გამოქვეყნებიდან (სასკ მუხლი 21³².7).

ტერორიზმთან დაკავშირებული და გაეროს რეზოლუციებით განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე მოსამართლის ბრძანების ძალაში შესვლის ვადა – გამოცემისთანავე (სასკ მუხლი 21³³.1).

ტერორიზმთან დაკავშირებული და გაეროს რეზოლუციებით განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გასაჩივრებით, ამ ბრძანების მოქმედების შეჩერების ვადა – არ ჩერდება (სასკ მუხლი 21³³.1).

ტერორიზმთან დაკავშირებული და გაეროს რეზოლუციებით განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადების გამო მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე ბრძანების გამომცემ სასამართლოში საჩივრის შეტანის ვადა – 48 საათი მხარისათვის ბრძანების ეგზეკუციის გადაცემიდან (სასკ მუხლი 21³³.2).

ტერორიზმთან დაკავშირებული და გაეროს რეზოლუციებით განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ მოსამართლის ბრძანებაზე შეტანილი საჩივრის თბილისის სააპელაციო სასამართლოში განხილვის ვადა – 15 დღე საჩივრის შეტანიდან (სასკ მუხლი 21³³.3).

ტერორიზმთან დაკავშირებული და გაეროს რეზოლუციებით განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გადაცემის შეუძლებლობის შემთხვევაში საჩივრის შეტანის (ბრძანების გამომცემ სასამართლოში) ვადა – 5 დღე საჯაროდ გამოქვეყნებიდან. მოსამართლე საჩივარს და საქმის მასალებს უგზავნის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს დაუყოვნებლივ (სასკ მუხლი 21³³.2).

ტერორიზმთან დაკავშირებული და გაეროს რეზოლუციებით განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე თბილისის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (სასკ მუხლი 21³³.4).

ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმის სასამართლო წესით განხილვისა და გადანყვეტილების მიღების ვადა – 48 საათი შესაბამისი მიმართვის წარდგენიდან (სასკ მუხლი 21⁵⁴.1).

ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანებაზე (დადგენილებაზე) საჩივრის შეტანის ვადა – 48 საათი მხარისათვის ბრძანების (დადგენილების) ასლის გამოცემიდან (სასკ მუხლი 21⁵⁶.2).

ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანებაზე სააპელაციო საჩივრის განხილვის ვადა – 1 კვირა მისი შეტანიდან (სასკ მუხლი 21⁵⁶.4).

ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრებისას ამ ბრძანების/ დადგენილების მოქმედების შეჩერების ვადა – არ ჩერდება (სასკ მუხლი 21⁵⁶.3).

ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანების მოქმედების ვადა – ბრძანების გამოცხადებისთანავე პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საფუძვლის ამონურვამდე, მაგრამ არაუმეტეს 6 თვე (სასკ მუხლები: 21⁵⁴.7; 21⁵⁴.12; 21⁵⁵.1).

ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ სააპელაციო სასამართლოს ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (სასკ მუხლი 21⁵⁶.6).

ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციისა და მისი სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მოთავსების ვადა – არანებაყოფლობითი იზოლაციის საფუძვლის ამონურვამდე, მაგრამ არაუმეტეს 6 თვე (სასკ მუხლი 21⁵⁴.5).

ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციისა და მისი სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მოთავსების ვადის გაგრძელება – არაუმეტეს 2 თვე. ვადის გაგრძელების შესახებ საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის მიმართვის სასამართლოს მიერ განხილვის ვადაა 72 საათი (სასკ მუხლი 21⁵⁵.2).

ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციისა და მისი სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მოთავსების მიზნით საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის მიერ ბრძანების გამოცემის თხოვნით მაგისტრატი მოსამართლისთვის (სასამართლოსთვის) მიმართვის ვადა – 72 საათი შუამდგომლობით მიმართვიდან (სასკ მუხლი 21⁵³.2).

ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის არანებაყოფლობითი

იზოლაციისა და მისი შესაბამის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მოთავსების მიზნით საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის მიერ მიმართვის უკან გამოთხოვის ვადა – მოსამართლის საათათბირო ოთახში გასვლამდე (სასკ მუხლი 21⁵⁴.10).

ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციისა და მისი შესაბამის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში ყოფნის ვადის ათვლის მომენტი – მოსამართლის ბრძანების საფუძველზე პაციენტის დაწესებულებაში მოთავსების დღე (სასკ მუხლი 21⁵⁵.1).

ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის შესაბამის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მყოფი პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის კანონით დადგენილი საფუძვლების არარსებობისას დაწესებულებიდან განერის ვადა – დაუყოვნებლივ (სასკ მუხლი 21⁵⁴.6).

უ

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საშუალოდ 60 კრედიტი გასავლელი ვადა – 1 სასწავლო წელი (უგმ მუხლი 46.2¹).

უმაღლესი განათლების გავლის თაობაზე შესაბამისი დიპლომის (სტანდარტული დანართით) გაცემის ვადა – სწავლის ყოველი საფეხურის გავლის შემდეგ (უგმ მუხლი 46.3).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა – ემთხვევა ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის ხანგრძლივობას, რაც მიეთითება წესდებაში (უგმ მუხლი 20.4).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე არჩევის ვადა – 3 ან 4 წელი (უგმ მუხლი 35.3).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ასისტენტის თანამდებობაზე არჩევის ვადა – 3 ან 4 წელი (უგმ მუხლი 35.4).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევბი პირისთვის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების მინიმალური ხანგრძლივობა – არანაკლებ 3 წელი (უგმ მუხლი 35.2).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის არჩევის ვადა – 5 წელი (უგმ მუხლი 29^ა.2).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდისათვის კოეფიციენტების განსაზღვრის ვადა – სასწავლო წლის დასაწყისი (უგმ მუხლი 10).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორის თანამდებობაზე 5 წელზე მეტი ვადით არჩევის შემთხვევაში პროფესორის ატესტაციის გავლის პერიოდულობა – 5 წელინადში ერთხელ. ატესტაციის გავლას არ ექვემდებარება როფესორი, რომელიც პროფესორის თანამდებობაზე არჩეულია 5 წელზე მეტი ვადით, მაგრამ პროფესორის თანამდებობაზე არჩევიდან 5 წლის შემდეგ დარჩენილი აქვს უფლებამოსილების 5 წელზე ნაკლები ვადა (უგმ მუხლი 35.4¹).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევბი პირისთვის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების მინიმალური ხანგრძლივობა – არანაკლებ 6 წელი (უგმ მუხლი 35.1).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე რექტორის ვერარჩევის შემთხვევაში რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის ვადა – 14 დღე აკადემიური საბჭოს მიერ, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. რექტორის მოვალეობის შემსრულებელი აირჩევა 6 თვით. ერთი და იგივე პირი რექტორის მოვალეობის შემსრულებლად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ (უგმ მუხლი 21.9).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულის) ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არჩეული (დანიშნული) პირის ზღვრული ასაკი – 65 წელი (უგმ მუხლი 40.2).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული) აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული (ასარჩევ) პირის ზღვრული ასაკი – 65 წელი (უგმ მუხლი 36.2).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დეკანის არჩევის ვადა – არა უმეტეს 4 წელი. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ (უგმ მუხლი 29.1).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის არჩევის ვადა – არა უმეტეს წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადით. სპიკერის არჩევის ვადა მიეთითება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებაში (უგმ მუხლი 19.1).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადა – იგივეა, რაც სწავლების ძირითადი საფეხურის დადგენილი ხანგრძლივობა, რომელიც მითითებულია წესდებაში (უგმ მუხლი 17.3).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ განცხადების გამოქვეყნების ვადა – კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე (უგმ მუხლი 21.7).

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა) აკრედიტაციის ვადა – პირველი აკრედიტაციის ვადაა 4 წელი. აკრედიტებულ რეჟიმში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ყოველი მომდევნო აკრედიტაციის ვადა, აგრეთვე იმ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი აკრედიტაციის ვადა, რომელსაც დაწესებულება ავტორიზებულ რეჟიმში უწყვეტად ახორციელებს არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში, არის 7 წელი. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 2 წლისა. ავტორიზაციის ვადის გასვლის ან ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში აკრედიტაცია უქმდება (უგმ მუხლი 66.3).

უნებართვო გარე ვაჭრობისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა – 7 დღემდე (ასკ მუხლი 153³; 153⁶).

უპირატესი შესყიდვის უფლების რეგისტრაციის გაუქმების ვადა – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ 10 სამუშაო დღის ვადაში უარყოფითი პასუხის გაცემის ან პასუხის გაუცემლობიდან (სრემ მუხლი 15³.3).

უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსათვის განცხადების გადაგზავნის ვადა – არაუგვიანეს 5 დღე მასზე დართულ საბუთებთან ერთად. გადაგზავნის შესახებ 2 დღის განმავლობაში, წერილობით ეცნობება განმცხადებელს (ზაკ მუხლი 80).

უცხო სახელმწიფოს არასამხედრო, სამხედრო და ატომური გემების მიერ საქართველოს ტერიტორიულ და შიდა წყლებში იძულებითი შემოსვლისა და ყოფნის ან ცურვის წესების იძულებითი დარღვევის შესახებ საქართველოს უახლოესი პორტის ადმინისტრაციისათვის შეტყობინების ვადა – დაუყოვნებლივ. შეუტყობინებლობის შემთხვევაში ხორციელდება გემის დროებითი დაკავება (სახ.საზ. მუხლი 20).

უცხო სახელმწიფოს ატომურ, სამხედრო ან სპეციალური დანიშნულების გემის (გარდა იმ გემებისა, რომლებიც მონაწილეობენ ადამიანთა გადასარჩენად წარმოებულ სამაშველო სამუშაოებში), რომელიც სახელმწიფო დავალებას ასრულებს, საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში მშვიდობიანი გავლისათვის (ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე) შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსათვის შეტყობინების (დიპლომატიური არხებით) ვადა – შემოსვლამდე 48 საათით ადრე (სახ.საზ. მუხლი 42).

უცხო სახელმწიფოს ატომური გემის საქართველოს პორტებსა და შიგა წყლებში შემოსვლის ნებართვის მისაღებად (დიპლომატიური არხებით) გემის მფლობელი ქვეყნის მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე შუამდგომლობის აღძვრის ვადა – გემის შემოსვლამდე არაუგვიანეს 30 დღე. საქართველოს შსს 1 კვირის ვადაში განიხილავს შუამდგომლობას და დასკვნას წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს. ამ სახელმწიფოს თანხმობის ან უარის შესახებ ეცნობება გემის შემოსვლამდე არაუგვიანეს 14 დღისა (სახ.საზ. მუხლი 18.5).

უცხო სახელმწიფოს სამხედრო გემის საქართველოს პორტებსა და შიგა წყლებში შემოსვლის ნებართვის მისაღებად (დიპლომატიუ-

რი არხებით) საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე შუამდგომლობის აღძვრის ვადა – არაუგვიანეს 1 თვე შემოსვლამდე. საქართველოს შსს 1 კვირის ვადაში განიხილავს შუამდგომლობას და დასკვნას წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2 კვირის ვადაში (სახ.საზ. მუხლი 18.4).

უცხო სახელმწიფოს სპეციალური დანიშნულების გემის საქართველოს პორტებსა და შიდა საზღვაო წყლებში შემოსვლის ნებართვის მისაღებად (დიპლომატიური არხებით) შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს წინაშე შუამდგომლობის აღძვრის ვადა – შემოსვლამდე არაუგვიანეს 14 დღე. უფლებამოსილი ორგანო თავის გადაწყვეტილებას აცნობებს გემის მფლობელს (მის წარმომადგენელს) შემოსვლამდე არაუგვიანეს 7 დღისა (სახ.საზ. მუხლი 18.3).

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სახელმწიფო პენსიის დასანიშნად საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერ საფუძველზე მუდმივად ცხოვრების ვადა – ბოლო 10 წელი პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტიდან (სახ.პენ. მუხლი 1).

უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოში ყოფნის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩათვლის ვადა – საქართველოში კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვის დღიდან (ასკ მუხლი 191).

უცხოელის მიერ საქართველოდან გაძევების თაობაზე სასამართლოსათვის თავისი მოსაზრებების წარდგენის ვადა – 72 საათი საქართველოდან გაძევების თაობაზე შეტყობინებიდან და საქმის მასალების გადაცემიდან (სასკ მუხლი 21⁴⁰.2).

უცხოელის საქართველოდან გაძევებასთან დაკავშირებით დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გაუქმების მოთხოვნით სააპელაციო საჩივრის განხილვის ვადა – 14 დღე სააპელაციო საჩივრის შეტანიდან (სასკ მუხლი 21⁴³.2).

უცხოელის საქართველოდან გაძევებასთან დაკავშირებით დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების შესახებ სააპელაციო სასამართლოს ბრძანების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (სასკ მუხლი 21⁴³.5).

უცხოელის საქართველოდან გაძევებასთან დაკავშირებით მოსა-

მართლის ბრძანების სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა – 5 დღე მხარისათვის ბრძანების გადაცემიდან (სასკ მუხლები: 21⁴³.1; 21⁴⁴).

უცხოელის საქართველოდან გაქვევებასთან დაკავშირებით მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადა – 30 დღე შსს უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობის წარდგენიდან (სასკ მუხლი 21⁴⁰.1).

უცხოელის საქართველოდან გაქვევებასთან დაკავშირებით მოსამართლის მიერ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე შუამდგომლობის განხილვის თაობაზე შუამდგომლობის წარმდგენ შსს უფლებამოსილი ორგანოსათვის და უცხოელისათვის შეტყობინებისა და საქმის მასალების გადაგზავნის ვადა – 48 საათი შუამდგომლობის მიღებიდან (სასკ მუხლი 21⁴⁰.2).

უცხოელის საქართველოდან გაქვევების გადავადების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (სასკ მუხლი 21⁴¹.2).

უცხოელის საქართველოდან გაქვევების გადავადების თაობაზე მოსამართლის მიერ ბრძანების გამოცემის ვადა – 48 საათი შსს უფლებამოსილი ორგანოს ან უცხოელის შუამდგომლობის წარდგენიდან (სასკ მუხლი 21⁴¹.1).

უცხოელის საქართველოდან გაქვევების თაობაზე მოსამართლის ბრძანების მოქმედების შეჩერების დაწყების დრო – მოსამართლის ბრძანების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებიდან (სასკ მუხლი 21⁴¹.6).

უცხოელის საქართველოდან გაქვევების თაობაზე მოსამართლის ბრძანების ძალაში შესვლის ვადა – ბრძანების გასაჩივრების ვადის ამონურვის შემდეგ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე წერილობით დაადასტურებს, რომ არ ასაჩივრებს მოსამართლის ბრძანებას) (სასკ მუხლი 21⁴¹.5).

უცხოელის საქართველოდან გაქვევების მიზნით დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ვადის გაგრძელების შუამდგომლობის სასამართლოსათვის წარდგენის ვადა – 48 საათით ადრე უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ვადის გასვლამდე (სასკ მუხლი 21⁴².2¹).

უცხოელის საქართველოდან გაძევების მიზნით დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების, მოთავსების ვადის გაგრძელების ან უცხოელისათვის ალტერნატიული ზომის შეფარდების შესახებ მოსამართლის ბრძანების მოქმედების შეჩერების ვადა – არ ჩერდება სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებით (სასკ მუხლი 21⁴².5).

უცხოელის საქართველოდან გაძევების მიზნით დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების, მოთავსების ვადის გაგრძელების საკითხის მოსამართლის მიერ განხილვისა და ბრძანების გამოცემის ვადა – 24 საათი შესაბამისი შუამდგომლობის წარდგენიდან (სასკ მუხლი 21⁴².3).

უცხოელის საქართველოდან გაძევების მიზნით დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა – 5 დღე ბრძანების მხარისათვის გადაცემიდან. სააპელაციო საჩივარი (საქმის მასალებთან ერთად) ბრძანების გამომტანი სასამართლოს მიერ დაუყოვნებლივ გადაეგზავნება სააპელაციო სასამართლოს (სასკ მუხლი 21⁴³.1).

უცხოელის საქართველოდან გაძევების მიზნით დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების შესახებ შსს უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობის სასამართლოსათვის წარდგენის ვადა – 48 საათი უცხოელის დაკავებიდან ან უცხოელის მიერ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის რეგისტრაციიდან (სასკ მუხლი 21⁴².2; 2¹).

უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვებულად ცნობის მომენტი – საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ უძრავ ნივთზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციიდან (სრემ მუხლი 14.1).

უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების სახელმწიფოზე გადასვლის მომენტი – უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვებიდან (სრემ მუხლი 14.1).

ფ

ფასიანი ქალაქების მოქმედების ვადა – იხ. სახელმწიფო ფასიანი ქალაქების მოქმედების ვადა.

ფაქტობრივი გარემოებების და მტკიცებულებების სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით შეგროვების შემთხვევაში მხარის მიერ მათ თაობაზე საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა – ამ ფაქტობრივი გარემოებების გამოყენებამდე და მტკიცებულებების შემოწმებამდეც (სასკ მუხლი 19).

ფიზიკური პირის ადმინისტრაციული ქმედუნარიანობის წარმოშობის დრო – სრულწლოვანების მიღწევისთანავე ან 18 წლის ასაკამდე დაქორწინების შემთხვევაში (ზაკ მუხლი 74; სკ მუხლი 12).

ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების მწარმოებლის ან/და იმპორტიორის მიერ შესაბამისი სამინისტროსთვის ასეთი სიგარეტებისგან გამოფრქვეული ნივთიერებების გაზომვის სტანდარტების შესაბამისად ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის ვადა – საქართველოს ბაზარზე განთავსებამდე არაუგვიანეს 3 თვე (ასკ მუხლი 155⁷.2-4).

ფინანსური ანგარიშგების (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგების), მმართველობის ანგარიშგების (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგების), სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების აუდიტორულ დასკვნასთან ერთად სუბიექტის (გარდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა) მიერ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისათვის წარდგენის ვადა – დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა (ბაააშ მუხლი 9.2).

ფინანსური ანგარიშგების სუბიექტის (საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები, სხვა ქვეყნის საწარმოს ფილიალი, ინდივიდუალური მენარმე) მიერ მომზადების პერიოდულობა – წელიწადში ერთხელ (ბაააშ მუხლი 5.2).

ფინანსური ვალდებულების შესრულებულად ჩათვლის ვადა – იხ. სახელმწიფო ფინანსური ვალდებულების შესრულებულად ჩათვლის ვადა.

ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების ვადა – 1 თვე სასამართლოსთვის მიმართვიდან (ფსგერ მუხლი 13.5).

ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარდგენის ვადა – იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლება-

თა დაცვის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის, ნაძების წინააღმდეგ ან რასობრივი დისკრიმინაციის კომიტეტების გადანყვეტილების საფუძველზე კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით პირის (მისი წარმომადგენლის) მიერ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარდგენის ვადა.

ქ

ქალ მსჯავრდებულთან ერთად მცხოვრები (კანონმდებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში) ბავშვის ასაკი – 3 წლამდე (პატ.კ. მუხლი 72.3).

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ/სისხლის სამართალწარმოების პროცესში სავარაუდო მოძალადე მშობლის, ბავშვის წარმომადგენლად ყოფნის უფლებამოსილების შეჩერების ვადა – სასამართლოში საქმის წარმოების განმავლობაში, დავის საბოლოო გადანყვეტილების გამოტანამდე (სასკ მუხლი 21^{12.5}; ქმოძა მუხლი 17.3).

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადანყვეტილების მხარეებისათვის გადაცემის ვადა – 24 საათი გადანყვეტილების მიღებიდან (სასკ მუხლი 21^{13.71}; 21^{14.5}; 21^{14.9}).

ქალი მსჯავრდებულის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების ხანგრძლივობა – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასვენების და უქმე დღეებში, თუ მის 3 წელს მიღწეულ შვილს დატოვებული აქვს ქალთა სპეციალური დაწესებულება 1 წლის განმავლობაში (პატ.კ. მუხლი 72.3³).

ქალი მსჯავრდებულისთვის საოჯახო პაემნის ვადა – 1 საოჯახო პაემანი 1 თვის განმავლობაში, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი საოჯახო პაემანი. გარდა ამისა, 10 კალენდარული დღის განმავლობაში ჰქონდეს 1 ვიდეოპაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ვიდეოპაემანი. აგრეთვე, 1 წლის განმავლობაში – 3 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 2 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი (პატ.კ. მუხლი 72.8-10).

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა – პირველი სასწავლო წლის განმავლობაში (უგმ მუხლი 47^{3.2}).

ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ვადა – იხ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე დამრღვევის მიერ ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ვადა.

ქონებრივი ზარალის ანაზღაურების თაობაზე დადგენილების აღსრულების ვადა – იხ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე ქონებრივი ზარალის ანაზღაურების თაობაზე დადგენილების აღსრულების ვადა.

ქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე დადგენილების იძულებითი აღსრულების შეჩერების ან შეწყვეტის ვადა – ნებისმიერ დროს (დაზარალებულის და სამართალდამრღვევის მიერ წერილობითი მორიგების საფუძველზე) – დადგენილების მიღებამდე, სააღსრულებო ფურცლის გაცემამდე ან/და მის აღსრულებამდე (ასკ მუხლი 40).

ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვადა – იხ. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვადა.

შ

შეზღუდული ადმინისტრაციული ქმედუნარიანობის ვადა – 7-დან 18 წლის ასაკამდე და ქმედუნარიანობაში არასრულწლოვანთან გათანაბრებული პირები (ზაკ მუხლი 74; სკ მუხლი 12).

შეზღუდული სარგებლობისათვის საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადა – იხ. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადა.

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მისანიჭებლად ბავშვის ზღვრული ასაკი – 18 წლის მიღწევამდე (სსემ მუხლი 10).

შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარებისას კანონით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა – 15 დღემდე, აგრეთვე იარალის ტარების უფლების ჩამორთმევა 3 წლამდე (ასკ მუხლი 174¹; შმ მუხლები: 9; 11; 11¹).

შემაკავებელ ორდერთან დაკავშირებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების ვადა – 3 დღე მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან (სასკ მუხლი 21¹⁴.10).

შემაკავებელ ორდერთან დაკავშირებით პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ სარჩელში მითითებულ საკითხებზე წერილობით პასუხისა და მტკიცებულებების წარდგენის ვადა – სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე (სასკ მუხლი 21¹⁴.6).

შემაკავებელ ორდერთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (სასკ მუხლი 21¹⁴.12).

შემაკავებელ ორდერთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადა – 7 დღე სააპელაციო საჩივრის წარდგენიდან (სასკ მუხლი 21¹⁴.11).

შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების ვადა – ადმინისტრაციული პატიმრობა – 7 დღემდე ან გამასწორებელი სამუშაოები – ერთ თვემდე (ასკ მუხლი 175²).

შემაკავებელი ორდერის ამოქმედების ვადა – გამოცემისთანავე (ქმოდა მუხლი 10.3⁶).

შემაკავებელი ორდერის გამომცემ უფლებამოსილ ორგანოსა და დაინტერესებული პირისთვის (რომლის დასაცავადაც გამოიცა შემაკავებელი ორდერი) სასამართლოს მიერ სარჩელთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებებისა და მტკიცებულებების წარადგენის ვადა – 24 საათი სარჩელის წარდგენიდან (სასკ მუხლი 21¹⁴.5).

შემაკავებელი ორდერის გაუქმების თაობაზე სარჩელის წარდგენითა და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებით გამოცემული შემაკავებელი ორდერის მოქმედების შეჩერების ვადა – არ ჩერდება (სასკ მუხლი 21¹⁴.13).

შემაკავებელი ორდერის გაუქმების (ნაწილობრივ გაუქმების) ან მის გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების

მიღების ვადა – 3 დღე სარჩელის წარდგენიდან (სასკ მუხლი 21¹⁴.4).

შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა – არა უმეტეს 1 თვე (ქმოდა მუხლი 12.4; სასკ მუხლი 21¹⁴.1).

შემაკავებელი ორდერის მსხვერპლის ან მოძალადის მიერ გასაჩივრების ვადა – მისთვის ამ ორდერის გადაცემიდან (ჩაბარებიდან) 3 დღე (ქმოდა მუხლი 10⁸).

შემაკავებელი ორდერის მსხვერპლსა და მოძალადისთვის გაგზავნის (ჩაბარების) ვადა – გამოცემიდან 24 საათი (ქმოდა მუხლი 10.3⁶).

შემაკავებელი ორდერის შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურული ერთეულებისთვის გაგზავნის ვადა – დაუყოვნებლივ (ქმოდა მუხლი 10.3⁷).

შემამსუბუქებელ გარემოებად ჩათვლის ასაკი – იხ. ასაკი, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის პასუხისმგებლობისთვის.

შემსყიდველი ორგანიზაციის (სახელმწიფო შესყიდვების განმხორციელებელი პირის) ხელმძღვანელის მიერ მომდევნო წლის შესყიდვების წლიური გეგმის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის წარდგენის ვადა – არაუგვიანეს მიმდინარე წლის 20 ნოემბერი (სშშ მუხლი 9.4).

შემსყიდველი ორგანიზაციის შექმნის (დაფუძნების) ან დამატებითი დაფინანსების წყაროს მიღების შემთხვევაში ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის წარდგენის ვადა – ორგანიზაციის შექმნის ან დამატებითი დაფინანსების მიღების თვიდან მომდევნო თვის არაუგვიანეს 20 რიცხვი (სშშ მუხლი 9.5).

შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის ბავშვობიდან დადგენის დრო – იხ. ბავშვობიდან შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დასადგენად განსაზღვრული ასაკი.

შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის გადამოწმების გარეშე (უვადოდ) დადგენის მიზნით სამედიცინო დაწესებულებაში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დაკვირვების (დარ-

ღვეული ქმედობაუნარიანობის აღდგენის ან გაუმჯობესების მიზნით) ვადა – 5 წელი (სსემ მუხლი 14.ა).

შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის დრო სამხედრო სამსახურის გავლისას (როდესაც დაავადება ან ტრავმა დაკავშირებული არ არის სამხედრო ვალდებულების შესრულებასთან) – სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდი, 3 თვე და მეტი დემობილიზაციის შემდეგ (თუ ტრავმა ან დაავადება მიღებულია სამხედრო სამსახურის პერიოდში ან დემობილიზაციიდან 3 თვის განმავლობაში) (სსემ მუხლი 16.7).

შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის ვადა – იმ მომდევნო თვის პირველ რიცხვამდე, რომელ თვეშიც დანიშნულია გადამონმება (სსემ მუხლი 13).

შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის თარიღი – სამედიცინო დანესებულებაში შემონმებისათვის საჭირო საბუთების წარდგენის დღე (სსემ მუხლი 57).

შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის პერიოდი – იხ. პირის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის პერიოდი.

შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენისათვის (გადამონმების გარეშე (უვადოდ)) განსაზღვრული ასაკობრივი ზღვარი – საპენსიო ასაკი. ზოგიერთ შემთხვევაში 55 წელი – მამაკაცისთვის, 50 წელი – ქალისთვის (სსემ მუხლი 14).

შინაური ცხოველის (რომელმაც თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ბუღვარში, პარკში ან სკვერში მწვანე წარგავები დააზიანა ან/და გაანადგურა) მესაკუთრისათვის დაბრუნების ვადა – მხოლოდ ჯარიმის, მისი სპეციალურ ადგილზე გადაყვანისა და მოვლა-პატრონობის ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ (ასკ მუხლი 151).

შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების, ნაწილობრივ დამტკიცების ან დამტკიცებაზე სასამართლოს მიერ უარის თქმის განჩინებაზე საჩივრის შეტანის ვადა – მხარისთვის განჩინების ასლის გადაცემიდან 48 საათი (სასკ მუხლი 21⁶².2).

შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით

სამუშაო პროცესის შეჩერების შესახებ სააპელაციო სასამართლოს განწყვეტილების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (სასკ მუხლი 21⁶².5).

შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით სამუშაო პროცესის შეჩერების შესახებ სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივრის ერთპიროვნულად განხილვის ვადა – 48 საათი საჩივრის შეტანიდან (სასკ მუხლი 21⁶².4).

შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევისათვის სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების შესახებ სასამართლოს მიერ შესაბამისი სამინისტროს შუამდგომლობის განხილვის ვადა – 48 საათი შუამდგომლობის წარდგენიდან (სასკ მუხლი 21⁶¹.1).

ც

ცეცხლსასროლი იარაღის აქტიური გამოყენების დრო – იხ. პოლიციელის მიერ სიტყვიერი გაფრთხილების – „პოლიციაა, სდექ, თორემ გესვრი!“ გამოყენების დრო.

ცივი იარაღის ტარებისათვის (ქუჩაში, ეზოში, სტადიონზე, სკვერში, პარკში, საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სასამართლოში, აეროპორტში, კინოთეატრში, თეატრში, საკონცერტო დარბაზში, კაფეში, რესტორანში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ავტოსადგურში, რკინიგზის სადგურში და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა) ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა – 15 დღე (ასკ მუხლი 181¹).

ძ

ძალადობის მსხვერპლის (სავარაუდო მსხვერპლის) კონსულტაციის გასაწევად შექმნილი უფასო, საგანგებო მომსახურების სატელეფონო ნომრის მუშაობის ხანგრძლივობა – 24 საათი (ქმოდა მუხლი 19¹.1).

ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მოქმედების ვადა – მინიჭებიდან 18 თვე (ქმოდა მუხლი 16¹.1).

ძალოვან სტრუქტურაში მომუშავე გარდაცვლილი მოსამსახურის

(მუშაკის) ოჯახისთვის კომპენსაციის დასანიშნად გარდაცვლილის ნამსახურობის მინიმალური სტაჟი – 20 წელი. კომპენსაცია ენიშნება გარდაცვლილის შვილებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე, მის შრომისუუნარო მეუღლეს, მშობლებს და შვილებს (სკსას მუხლი 19.1).

6

წარმომადგენლის დანიშვნის ვადა – იხ. სავალდებულო წარმომადგენლის დანიშვნის ვადა.

წვევამდელის მიერ დაზვერვის სამსახურში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდისათვის სპეციალური მომზადებას გავლის ვადა – დაზვერვის სამსახურის პირად შემადგენლობაში ჩარიცხვამდე (სდას მუხლი 11¹.3).

წვევამდელის მიერ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში სპეციალური მომზადებას გავლის ვადა – იხ. სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში წვევამდელის მიერ სპეციალური მომზადების გავლის ვადა.

წვრილმანი ხულიგნობისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა – 15 დღემდე და იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა 3 წლამდე (ასკ მუხლი 166).

წინა მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების შეწყვეტის ვადა – ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი შეკრების შემდგარად ჩაითვლის მომენტიდან (ათკ მუხლი 25.3).

წინასწარი ლიცენზიის (ნებართვის) გაცემის ვადები – განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა (ისმხ. მუხლი 5).

წინასწარი ლიცენზიის (ნებართვის) მისაღებად განსაზღვრული საქმიანობის (ქმედების) ტექნიკური პროექტის დაზუსტებისათვის დადგენილი ვადა – არანაკლებ 15 დღე (ისმხ. მუხლი 5).

წინასწარი ლიცენზიის (ნებართვის) მფლობელზე მისი თანხმობის გარეშე აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეცვლილი, ინვესტორისთვის გაუარესებული სალიცენზიო (სანებართვო) პირობების არ გავრცელების ვადა – 5 წელი წინასწარი ლი-

ცენზიის (ნებართვის) გაცემიდან (ისმხ. მუხლი 5).

წინასწარი ლიცენზიის (ნებართვის) ძალაში შესვლა – ლიცენზიის (ნებართვის) მფლობელის მიერ სალიცენზიო (სანებართვო) პირობების დაკმაყოფილების ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი დაკუმენტების წარდგენიდან (ისმხ. მუხლი 5).

წლებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დამთავრება – ვადის უკანასკნელი წლის შესაბამის თვესა და რიცხვში (ზაკ მუხლი 94; სსკ მუხლი 61).

წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენის დაწყება – იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი (ზაკ მუხლი 94; სსკ მუხლი 60).

ს

სანგრძლივი პაემნის მოთხოვნის თაობაზე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის წერილობით ინფორმირების ვადა – არანაკლებ 2 კვირით ადრე, ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით (პატ.კ. მუხლი 17².3).

სანგრძლივი პაემნის ორგანიზებაზე მოტივირებული უარის თქმის შესახებ განმცხადებლის ინფორმირების ვადა – 10 დღე (პატ.კ. მუხლი 17².4).

სანგრძლივი პაემნის ორგანიზების (თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მიერ) ვადა – არაუგვიანეს 2 კვირა განცხადების მიღებიდან (პატ.კ. მუხლი 17².4).

სანგრძლივი პაემნის ხანგრძლივობა – არაუმეტეს 23 საათი, მაგრამ წელიწადში ერთხელ შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 47 საათამდე (პატ.კ. მუხლი 17².5).

სანმოკლე პაემნის ვადა – ერთიდან ორ საათამდე (პატ.კ. მუხლი 17.7).

სარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგების რეესტრში შეტანის ვადა – 5 სამუშაო დღე (ბააშ მუხლი 19.13).

ხელფასის შენახვის ვადა – იხ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებაში მონაწილე პირებისთვის (დაზარალებული, მოწმე, ექსპერტი, თარჯიმანი) თავის სამუშაო ადგილზე ხელფასის შენახვის ვადა.

ჟ

ჯარიმის გადაუხდელობის გამო საურავის დარიცხვის ვადა – იხ. საურავის დაკისრებისა და გადახდის ვადა.

ჯარიმის გადახდის ვადა – იხ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ჯარიმის გადახდის ვადა.

ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში პირის სახდელდაუდებლად ჩათვლის ვადა – იხ. ადმინისტრაციულ სახდელდაუდებლად პირის ჩათვლის ვადა.

ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების იძულებითი აღსრულების ვადა – იხ. ადმინისტრაციულ სახდელად ჯარიმის დადების შესახებ დადგენილების იძულებითი აღსრულების ვადა.

ჰ

ჰუმანიტარული დახმარების პროდუქციის (უფასოდ გასაცემად განკუთვნილის) გაყიდვისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა – 15 დღემდე (ასკ მუხლი 157).

ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გაცემული დროებითი ბინადრობის მოწმობისა და სამგზავრო პასპორტის მოქმედების ვადა – შესაბამისი სტატუსის მოქმედების პერიოდი (სდმ მუხლი 58.3).

ჰუმანიტარული სტატუსის უცხოელისთვის ან მოქალაქეობის არმქონე პირისთვის მინიჭების ვადა – 1 წელი. ეს ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს შესაბამისსამინისტროს გადაწყვეტილებით, იმავე ვადით, არაერთგზის, თუ კვლავ არსებობს გარემოებები, რომელთა საფუძველზედაც პირს ეს სტატუსი მიენიჭა (სდმ მუხლი 19.2).

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 299-04-18

www.supremecourt.ge